

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს განჩინებათა კრებული
საქართველოს საქმეებზე**

2012 წელი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2013

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
JUDGMENTS v. GEORGIA
2012

The Supreme Court Of Georgia
Human Rights Centre

Tbilisi
2013



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბაჟაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

რედაქტორი

თინათინ ქოქრაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

TINATIN BEZHASHVILI

Style Editor

TINATIN KOKRASHVILI

Graphics Editor

MARIKA MAGHALASHVILI

საკიეპელი

წინასიტყვაობა	7
მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №35254/07	9
ბექაური საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №14102/02	24
დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №8252/08	28
ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №17767/08	36
კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №1484/07	47
მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №18996/06	65
გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №45566/08	78
ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №35887/05	82
მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №17012/09	88
დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №19634/07	92
ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №39804/04	97
ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №1871/08	101
თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №46055/06	105
დანართი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სტატისტიკური მაჩვენებლები (1999-2012)	111

Contents

Preface	7
Case of Makharadze and Sikharulidze v. Georgia	9
Case of Bekauri v. Georgia	24
Case of Dadiani and Machabeli v. Georgia	28
Case of Khoniakina v. Georgia	36
Case of Kakabadze and others v. Georgia	47
Case of Mikiashvili v. Georgia	65
Case of Goloshvili v. Georgia	78
Case of Janiashvili v. Georgia	82
Case of Mindadze v. Georgia	88
Case of Dvalishvili v. Georgia	92
Case of Baisuev and Anzorov v. Georgia	97
Case of Jeladze v. Georgia	101
Case of Taktakishvili v. Georgia	105
Appendix	
Statistical data (in Georgian)	111

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი ტრადიციულად განაგრძობს საქართველოს საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს განჩინებათა ყოველწლიური კრებულის გამოცემას. მასში შესულია 2012 წელს განხილული საქმეები. ჩვენი მიზანია, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, რომ გაეცნოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტია ეფექტიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემების არსებობა. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო მრავალი სამართლებრივი ინსტრუმენტი სასამართლო სისტემების სამართლიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ევროპის საბჭოს პოლიტიკა ამ სფეროში მოიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების ზომებს, საქმეთა გასაჩივრების პროცედურების გასაუმჯობესებლად უფრო სრულყოფილ მექანიზმებს, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების, პროცედურების გამარტივებისა და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის სფეროებში. ამას გარდა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მხარს უჭერს, აგრეთვე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის ეფექტიანობა და ხარისხი.

ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

წინამდებარე კრებულში წარმოადგენილია 13 გადაწყვეტილება, რომელთაგან 9 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები, 2 საქმეზე მიიჩნია, რომ არ დარღვეულა აღნიშნული კონვენციის მუხლები, 1 საქმეზე მიიჩნია, რომ საჭირო არ იყო მისი არსებითი განხილვა, ხოლო 1 საქმეზე, კონვენციის 37-ე §1 (გ) მუხლის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ, იმ ფარგლებში, რაც ეს ეხება კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიას.

P R E F A C E

Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia published the fourth annual edition of European Court of Human Rights judgments concerning Georgia. The present publication contains the judgments delivered in 2012.

An efficient independent judicial system is one of the Council of Europe's first priorities and its Committee of Ministers has adopted many instruments to make them fair and effective. Its policy includes measures to reinforce judicial independence and impartiality, improved appeal procedures, better mechanisms for executing court decisions, simplifying procedure and extending legal aid. It also encourages the use of new information technologies to ensure speed effectiveness and quality of the judicial system.

All these judgments about Georgia are to the utmost important for our country and each of them must be treated with due attention by national courts, for it is not only expedient, but necessary to exercise the European Court's Case Law together with the Convention.

The publication contains 13 judgments. Among of them the European Court of Human Rights decided that in nine cases there were violations of the certain articles of the Convention and only in two cases the Court established no violation of the Convention. In one case the Court upheld the Government's preliminary objection as to abuse of the right of petition and held that it is unable to take cognizance of the merits of the case. In one case the Court decided to strike the application, in so far as it relates to the complaint under Article 6§1 of the Convention, out of its list of cases in accordance with Article 37§1(c) of the Convention.

მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №35254/07

2007 წლის 16 ივლისს ნიკო მახარაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად. 2009 წლის 29 იანვარს ნიკო მახარაძე გარდაიცვალა და 2009 წლის 3 ივნისს მისმა მეუღლემ, დალი სიხარულიძემ ქმრის სახელით გააგრძელა პროცესი.

2011 წლის 22 ნოემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№35254/07) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და 34-ე მუხლები.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ა. შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოება

2006 წლის 14 მარტს, კრიმინალურ სამყაროსთან სავარაუდო კავშირისა და ნარკოტიკების შენახვის სავარაუდო ფაქტის გამო, დანაშაულები, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 223(1)§2 და 260§2 (ა) მუხლებით, დააპატიმრეს 1967 წელს დაბადებული პირველი განმცხადებელი. 16 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, რის შემდგომაც მოათავსეს ქსნის №7 საპყრობილეში.

2006 წლის 17 მარტს პირველმა განმცხადებელმა გაასაჩივრა 2006 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება მისი დაკავების შესახებ და აღნიშნა, რომ ციხის მძიმე პირობებისა და მისი ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობის გათვალისწინებით, წინასწარი პატიმრობა წარმოადგენდა გაუმართლებლად მძიმე და ზედმეტ ღონისძიებას. აღნიშნულის დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა 2005 წლის 11 მაისსა და 2006 წლის 16 მარტს გაცემული სამედიცინო დოკუმენტები, რომელთა თანახმად, იგი დაავადებული იყო ფილტვების ფიბრო-კავერნოზული ტუბერკულოზით და დასტურდებოდა ტუბერკულოზის სამკურნალო სამოქალაქო კლინიკაში - აბასთუმნის საავადმყოფოში მისი რეგისტრაციის ფაქტით.

2006 წლის 24 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა 2006 წლის 17 მარტით დათარიღებული პირველი განმცხადებლის სარჩელი. სამედიცინო სარჩელის საპასუხოდ სააპელაციო სასამართლომ განმარტა: „წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტებში მითითებულია მხოლოდ დიაგნოზი; არ არის წარმოდგენილი არანაირი დოკუმენტი [პირველი განმცხადებლის] ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის, ან მისი დაავადების სახეობისა და სტადიის შესახებ...“. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ციხის ადმინისტრაციას აცნობა, რომ პირველი განმცხადებელი საჭიროებდა პატიმრობის შესაბამის პირობებსა და ციხეში სამედიცინო ზრუნვას.

ქსნის მე-7 საპყრობილეში ყოფნის შემდგომი 11 დღის განმავლობაში განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. კერძოდ, მას დაეწყო მწვავე რესპირატორული უკმარისობა, აღენიშნებოდა სახსრების მტკივნეული შეშუპებები და ვერ გადაადგილდებოდა სხვისი დახმარების გარეშე. სახალხო დამცველის ჩარევის შედეგად, 2006 წლის 25 მარტს, განმცხადებელი გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო დაწესებულებაში („ციხის ძველი საავადმყოფო“).

ციხის საავადმყოფოში ყოფნის მხოლოდ ორი დღის შემდეგ, 2006 წლის 27 მარტს, პირველი განმცხადებელი დააბრუნეს ქსნის №7 საპრობილემში, სადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 30 მარტს იგი კვლავ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც იგი თავდაპირველად იყო მოთავსებული.

2006 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ პირველი განმცხადებელი გაასამართლა ბრალდების სახით წარდგენილი დანაშაულებისათვის. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით.

2006 წლის 22 და 24 აგვისტოს წერილებით იუსტიციის სამინისტრომ აღიარა, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს („ეებ“) მიერ 2006 წლის 1-ლი მაისიდან 20 ივნისამდე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად დადგინდა, რომ პირველი განმცხადებელი დაავადებული იყო მულტირეზისტენტული ფიბრო-კავერნოზული ტუბერკულოზის ღია ფორმით და იმყოფებოდა ინფლიტრაციისა და დეკომპენსაციის სტადიაში; ფილტვებში მიმდინარეობდა ჰემორაგიის პროცესი.

დამატებით, ექსპერტიზის შედეგებმა უჩვენა, რომ პირველი განმცხადებელი ინფიცირებული იყო C ჰეპატიტის ვირუსით და აწუხებდა რიგი კარდიალური და ნეიროსენსორული მძიმე მოშლილობები. ზემოაღნიშნულ წერილებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 2006 წ. 4 აპრილიდან პირველი განმცხადებელი სარგებლობდა DOTS (პირდაპირ კონტროლირებადი მკურნალობა, მოკლე კურსი – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მკურნალობის სტრატეგია ტუბერკულოზის აღმოჩენისა და მკურნალობის მიზნით) პროგრამის ფარგლებში დანერგილი მკურნალობის კურსით.

2006 წლის 12 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2006 წ. 24 ივლისის პირველი განმცხადებლის მიმართ გამოტანილი განაჩენი. 2007 წლის 10 აპრილს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო სარჩელი.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი და სახალხო დამცველის წარმომადგენელი – ყველა ერთხმად, მრავალჯერ ითხოვდა სამედიცინო დანესებულებაში ავადმყოფის გადაყვანას, სადაც მას აღმოუჩენდნენ შესაბამის მკურნალობას, სასამართლომ არც ერთხელ არ გაიზიარა მათი შუამდგომლობები.

2008 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა განმცხადებლის სარჩელი 2008 წლის 30 ივლისით დათარიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სასამართლოზე მოწვეულმა ექსპერტმა დაადასტურა განმცხადებლის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და განაცხადა, რომ მისი მკურნალობა საპრობილემში უშედეგო იყო შესაბამისი მედიკამენტების არქონის გამო. ექსპერტმა აგრეთვე დასძინა, რომ განმცხადებელს ესაჭიროებოდა სპეციალური კვება, სუფთა ჰაერი და გამოთქვა ვარაუდი, რომ საპრობილის გარეთ არსებობდა გარკვეული შანსი ტუბერკულოზის აღნიშნული ფორმის სამკურნალოდ. სააპელაციო სასამართლომ მოუსმინა სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენელს, რომელმაც წარმოადგინა საპრობილემში განმცხადებლის მკურნალი ექიმის, თ.ჯ.-ს მიერ 2008 წლის 1-ლ დეკემბერს გაცემული ცნობა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, 2008 წლის 22 ივნისიდან განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო დაუზუსტებელი SLD-ს კომბინაციით, რომელთა წინააღმდეგაც ტუბერკულოზი ინარჩუნებდა მგრძობელობას. სასამართლო სხდომისას სხვადასხვა მხარის დაკითხვით გაირკვა, რომ განმცხადებელს გერმანიიდან ჩამოტანილი მედიკამენტებით მხოლოდ მისი ოჯახი უზრუნველყოფდა.

2008 წლის 1-ლი დეკემბრის სამედიცინო ცნობაზე დაყრდნობით, 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოების გამო უარყო განმცხადებლის მიერ 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი.

2008 წლის 9 დეკემბერს პირველმა განმცხადებელმა შიმშილობა შეწყვიტა.

სამედიცინო ისტორიის თანახმად, 2009 წლის იანვრის დასაწყისიდან ციხის ადმინისტრაციის მიერ, მისი მდგომარეობის შესაბამისი დიეტით არუზრუნველყოფის გამო, განმცხადებელმა უარი განაცხადა PAS-ის, ციკლოსერინისა და ოჯახის მიერ მიწოდებული SLD-ის მიღებაზე. 2009 წლის 20 იანვარს აღნიშნული პრობლემის შესახებ სახალხო დამცველის აპარატმა უკმაყოფილება გამოხატა ციხის ადმინისტრაციის მიმართ.

იმავე დღეს, 2009 წლის 20 იანვარს, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, განმცხადებელი მოათავსეს ციხის ახალი საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. აღნიშნულის მიუხედავად, განმცხადებლის მდგომარეობა დამძიმდა და 2009 წლის 29 იანვარს, შუალამისას, გარდაიცვალა.

ბ. სასამართლომდე განხორციელებული საპროცესო ღონისძიებები

სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, 2008 წ. 24 ოქტომბერს განმცხადებელმა მთავრობას მოსთხოვა ტუბერკულოზის სამკურნალო სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა, შესაბამისი მკურნალობით უზრუნველყოფა და მკურნალობის განმავლობაში სასჯელის მოხდის შეჩერება.

2008 წლის 10 ნოემბერს სასამართლოს პალატის პრეზიდენტმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ზემოაღნიშნული მოთხოვნა და მთავრობას მოსთხოვა პირველი განმცხადებლის ტუბერკულოზის შესაბამისი მკურნალობით უზრუნველმყოფელ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა. აღნიშნული ღონისძიება ძალაში რჩებოდა შემდგომ შეტყობინებამდე. ვინაიდან მოცემული მომენტისათვის საქმის მასალებიდან არ ირკვეოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, პალატის პრეზიდენტმა მთავრობას მისი აღსრულების უზრუნველყოფისკენ მოუწოდა. შემდგომში მთავრობას ეთხოვა, 2008 წლის 1 დეკემბრისათვის მოემზადებინა ანგარიში მითითებული სამედიცინო ღონისძიებების გატარების შესახებ.

2008 წლის 1 დეკემბრის წერილით მთავრობამ სასამართლოს მიანოდა 2008 წლის 31 ოქტომბრისა და 7 ნოემბრის სამედიცინო რეკომენდაციები, რათა დაედასტურებინა 2008 წლის 25 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი.

პირველი განმცხადებლის ტუბერკულოზის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ შემდეგ მიზეზთა გამო, აღნიშნული არ წარმოადგენდა აუცილებლობას: პირველ რიგში – 2008 წლის 27 ნოემბერს განმცხადებელი გადაყვანილ იქნა ციხის ახალ საავადმყოფოში, სადაც არსებული პირობები არ ჩამოუვარდებოდა სამოქალაქო პროფილის ტუბერკულოზის სამკურნალო კლინიკის პირობებს. მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელს მიეცემოდა საპრობილის ფარგლებს გარეთ მკურნალობის უფლება, ნებისმიერ შემთხვევაში იგი განხორციელდებოდა DOTS პროგრამის ფარგლებში, რომელიც მისთვის საპრობილემშიც იყო ხელმისაწვდომი.

მთავრობამ განაცხადა, რომ SLD-ის დეფიციტი წარმოადგენდა საერთო ფარმაცევ-

ტულ პრობლემას ეროვნულ დონეზე და აღნიშნული არ უნდა დაბრალდებოდა მხოლოდ საპრობილეს. მან პირობა დადო, რომ როგორც კი ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტები – ოფლოქსაცინი, PAS და ციკლოსერინი ხელმისაწვდომი გახდებოდა, ისინი დაუყოვნებლივ მიენოდებოდა განმცხადებელს. ამავდროულად, მთავრობამ უფლება დართო განმცხადებლის ოჯახს, მისთვის მედიკამენტები საპრობილეში შეეგზავნა.

იუსტიციის მინისტრისადმი მიმართულ 2009 წლის 27 იანვრის წერილში სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოხატა პირველი განმცხადებლის სპეციალიზებულ სამედიცინო დანებებულებაში არგადაყვანის გამო, მიუხედავად 2008 წლის 10 ნოემბერს ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული დროებითი ღონისძიებისა; მინისტრს ეთხოვა აღნიშნული ღონისძიების დაუყოვნებლივ შესრულება.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების სავარაუდო დარღვევა

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პირველი განმცხადებლის ჯანმრთელობის, ფსიქიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა.

ა. მთავრობის არგუმენტები

მთავრობამ განაცხადა, რომ პირველი განმცხადებლის გარდაცვალება არ უნდა შეე-რაცხოს სახელმწიფოს, ვინაიდან შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყვეს იგი იმ დროისათვის ქვეყანაში ხელმისაწვდომი ყველანაირი სამედიცინო დახმარებით. მან ასევე დასძინა, რომ ციხის სამედიცინო პერსონალმა მსჯავრდებულის დაავადების – ტუბერკულოზის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენა ყველანაირი ზომა და, აქედან გამომდინარე, მისი გარდაცვალება არ შეიძლება წარმოადგენდეს სამედიცინო დაუ-დევრობის შედეგს.

პირველი განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის ამონარიდების თანახმად, იგი აღ-რიცხვაზე იყო ტუბერკულოზის სამკურნალო სხვადასხვა სამოქალაქო პროფილის კლინიკაში, საქართველოსა და უკრაინაში, რაზეც მთავრობამ აღნიშნა, რომ იგი ტუ-ბერკულოზით ციხეში არ დაავადებულა, პირიქით, 2006 წლის 16 მარტს, მის წინააღ-მდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, პირველი განმცხადებელი 16 წლის გან-მავლობაში იყო ტუბერკულოზით დაავადებული; საპრობილეში განთავსების დრო-ისათვის, დაავადება უკვე ინფილტრაციისა და დეკომპენსაციის საშიშ სტადიაში იყო გადასული.

და ბოლოს, იმის დასადასტურებლად, რომ პირველი განმცხადებლის გარდაცვალება არ წარმოადგენდა სამედიცინო დაუდევრობის შედეგს, მთავრობამ აგრეთვე წარმო-ადგინა საპრობილეში განმცხადებლის მკურნალი ექიმის თ.ჯ.-ს 2010 წლის 16 აპრი-ლის ახსნა-განმარტება. ყველა სამედიცინო ტესტის, შესაბამის სამედიცინო პერსო-ნალთან კონსულტაციებისა და ციხის საავადმყოფოში განმცხადებლისთვის დანიშ-ნული მედიკამენტების სხვადასხვა დოზის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარ-მოდგენის შემდეგ ექიმმა განაცხადა, რომ განმცხადებლის გარდაცვალების ძირი-თად მიზეზს წარმოადგენდა მის მიერ სამჯერ შიმშილობის გამოცხადება და SLD მე-დიკამენტების მიღებაზე უარის თქმა და არა – სამედიცინო გულგრილობა. ექიმმა აგრეთვე დასძინა, რომ: „საპრობილეში [განმცხადებელი] უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი მკურნალობით SLD-ს მედიკამენტების მეშვეობით, რომლებიც ინარჩუ-

ნებდნენ მგრძობელობას ტუბერკულოზის არსებული ფორმის მიმართ მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში. ამიტომ, ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმის ეფექტური მკურნალობის მოკლე პერიოდის გამო, მკურნალობის კურსის დროს, შეუძლებელი იყო დადებითი შედეგის გათვალისწინება. აღნიშნული ოთხი თვის შემდგომ განმცხადებელმა მისივე სურვილით შეწყვიტა მედიკამენტების მიღება და დაიწყო შიმშილობა, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება...“

ბ. განმცხადებლის არგუმენტები

პასუხად, მეორე განმცხადებელმა, ყოველგვარი ახალი არგუმენტის ან დამატებითი მტკიცებულების გარეშე, უბრალოდ განმარტა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა საპრობილემში შესაბამისი სამედიცინო მზრუნველობის ნაკლებობის გამო. მან აგრეთვე დასძინა, რომ მისი მეუღლის გადაწყვეტილება შიმშილობის დაწყების შესახებ უკავშირდებოდა სახელმწიფოს მიერ ტუბერკულოზის საინააღმდეგო აუცილებელი მკურნალობის ჩაუტარებლობას. კერძოდ, იგი დროულად უნდა ყოფილიყო გადაყვანილი ტუბერკულოზის სამკურნალო სამოქალაქო კლინიკაში.

გ. სასამართლოს შეფასება

აღნიშნული საქმის გარემოებების, კერძოდ, პირველი განმცხადებლის ტუბერკულოზით გარდაცვალების გათვალისწინებით, სასამართლო, კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, პირველ რიგში განიხილავს პრეტენზიას საპრობილემში შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის არარსებობის თაობაზე.¹ აღნიშნულის შემდგომ კი გაირკვევა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების დამატებითი განხილვის საჭიროება.

(ა) კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ზოგადი პრინციპები

კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს განსაკუთრებული სიფრთხილით და გათვალისწინებული უნდა იქნეს არამხოლოდ სახელმწიფო მოხელეების ქმედება, არამედ – არსებული ვითარებაც. საპრობილემში მოთავსებული პირები იმყოფებიან მონყვლად პოზიციაში და მთავრობა ვალდებულია, დაიცვას ისინი, კერძოდ: მთავრობა ვალდებულია, დაიცვას თავისუფლება აღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.² საპრობილემში მყოფ პირთა სიცოცხლის დაცვა ასევე გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას მათი სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.³

ამასთანავე, სახელმწიფო პასუხისმგებელია თავისუფლება აღკვეთილ პირთა მკურნალობაზე. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება აუცილებლად წარმოშობს სერიოზულ ეჭვს დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობის შესახებ.⁴ ამრიგად, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალების შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი განმარტება როგორც გარდაცვალების მიზეზების, ისე ამ პირისთვის გარდაცვალებამდე დანიშნული სამედიცინო მკურნალობის შესახებ.⁵

¹ Gagi v. Romania, no.63258/00, §54, 24 February 2009; and Geppa v. Russia, no.8532/06, §74, 3 February 2011.

² Naumenko v. Ukraine, no.42023/98, §112, 10 February 2004; and Dzieciak v. Poland, no.77766/01, §91, 9.12.2008

³ Talls v. France, no.39922/03, §98, 1 June 2006; and Huylu v. Turkey, no.52955/99, §58, 16 November 2006.

⁴ Farbutuhs v. Latvia, no.4672/02, §57, 2 December 2004; and Khudobin v. Russia, no.59696/00, §84, ECHR 2006-XII.

⁵ Kats and Others v. Ukraine, no.29971/04, §104, 18 December 2008.

დამატებით, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები სახელმწიფოსგან მოითხოვს რეგულაციების შემუშავებას, რომლებითაც როგორც სამოქალაქო პროფილის, ისე ციხის საავადმყოფოები ვალდებული იქნებიან, მიიღონ შესაბამისი ზომები პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად.⁶ აღნიშნული მოითხოვს ეფექტური და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, რათა პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დადგინდეს ამის სამედიცინო მიზეზები და დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი.⁷ როდესაც საავადმყოფო წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებას, მისი სამედიცინო პერსონალის ქმედებამ და უმოქმედობამ, შესაძლოა, კონვენციის თანახმად, გამოიწვიოს მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.⁸

(ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებელი გარდაიცვალა საპრობილემო ფილტვის ტუბერკულოზით. იმის დადგენის მიზნით, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, სასამართლომ უნდა განიხილოს, დროულად და კეთილსინდისიერად მიიღეს თუ არა ეროვნულმა უწყებებმა ყველა შესაძლო ზომა ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია, წარმოადგინა თუ არა საკმარისი არგუმენტები მოპასუხე სახელმწიფომ ციხეში განმცხადებლის გარდაცვალების მიზეზების შესახებ.⁹

i. მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა საპრობილემო განმცხადებლის ეფექტური მკურნალობისათვის

სასამართლოს პირველი შენიშვნა იყო ის, რომ მოცემულ საქმეში პირველი განმცხადებლის ტუბერკულოზით დაავადება არ არის საქართველოს ციხეებში მისი ყოფნის შედეგი და არ უნდა შეერაცხოს სახელმწიფოს.¹⁰ სინამდვილეში სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საპრობილემო მოთავსების მომენტისთვის, განმცხადებელი ტუბერკულოზით უკვე დაავადებული იყო 16 წლის განმავლობაში. აგრეთვე, სამედიცინო დოკუმენტები არ მიუთითებს იმაზე, რომ ტუბერკულოზის ჩვეულებრივი ბაცილის მულტირეზისტენტულ ბაცილად მუტაცია, რომელიც ხშირად გამოწვეულია სამედიცინო ხარვეზებით, საპრობილემო მოხდა.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც ციხის ხელმძღვანელობამ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება შენიშნა, იგი მალევე იქნა გადაყვანილი ციხის ძველ საავადმყოფოში. ასევე, შეუძლებელია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ როგორც უკვე მთავრობის მიერ აღინიშნა, პათიმრობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში ავადმყოფმა ჩვეულებრივ საპრობილემო მხოლოდ 11 დღე გაატარა, სიცოცხლის დანარჩენი პერიოდი კი ციხის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდა. სასამართლომ საფუძვლიანად შეისწავლა განმცხადებლის სამედიცინო ისტორია და დაასკვნა, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ყოფნის დროს მის მდგომარეობას რეგულარულად ამოწმებდნენ სხვადასხვა ექიმები, ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სკრინინგი და ლაბორატორიული ანალიზები, ეძლეოდა საზოგადოდ მიღებული ტუბერკულოზის სანინაალმდეგო მედიკამენტები DOTS-ის მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, დანიშნული ჰქონდა მისი მდგომარეობის შესაბამისი დიეტა, ანტი-ოქსიდანტური მედიკამენტები, ვიტამინები, უტარდებოდა სისხლის გადასხმა და ა.შ.

⁶ Tarariyeva v. Russia, no.4353/03, §74, 85 and 87, ECHR 2006-XV.

⁷ Vo v. France [GC], no.53924/00, §89, ECHR 2004-VIII; and Calvelli and Ciglio v. Italy [GC], no.32967/96, §49.

⁸ Glass v. the United Kingdom, no.61827/00, §71, ECHR 2004-II.

⁹ Tsintsabadze v. Georgia, no.35403/06, §95, 15 February 2011.

¹⁰ I.T. v. Romania (dec.), no.40155/02, 24 November 2005, and, Melnik, §105; and Hummatov, §108.

შესაბამისად, შეუძლებელია ითქვას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ავადმყოფი განმცხადებელი უყურადღებოდ დატოვა. თუმცა, რჩება კითხვა, ეფექტური აღმოჩნდა თუ არა სახელმწიფოს მიერ განეული მკურნალობა, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იყო თუ არა განმცხადებლისათვის ციხის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული მკურნალობა მისი მდგომარეობის ადეკვატური.¹¹ მართლაც, წარმოდგენილი განაცხადის ძირითადი არსი მდგომარეობს არა ზოგადად, სამედიცინო მკურნალობის ჩატარებლობაში, არამედ – სპეციფიკური ტიპის დაავადების, კერძოდ, მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის ადეკვატური მკურნალობის სავარაუდო ნაკლებობაში, რამაც განმცხადებლის სიკვდილი გამოიწვია. სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის განსაზღვრა ყოველთვის რთულ საკითხს წარმოადგენს. ზოგადად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სასამართლო საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს, რათა განსაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის საჭირო სტანდარტი, რაც უნდა აკმაყოფილებდეს პაციენტობის ლეგიტიმურ მოთხოვნებს, თუმცა, ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადამიანის ღირსების დაცვა და სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოვალეობების შესრულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹²

სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის ეფექტური მკურნალობა წარმოადგენს სპეციფიკურ და კომპლექსურ სამედიცინო პროცესს, რომელიც დამოკიდებულია, სულ მცირე, სამი ძირითადი ელემენტის არსებობაზე, კერძოდ:

- i. სათანადოდ აღჭურვილ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებზე შეუზღუდავი დაშვება, რაც სათანადო სპეციფიკურ ტესტებზე დაყრდნობით (დამუშავება, კულტურა და მგრძობელობა) განაპირობებს ადრეულ და ზუსტ დიაგნოზს, რათა შეძლებისდაგვარად სწრაფად განხორციელდეს შესაბამისი – მეორე რიგის ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტებით მკურნალობის დაწყება;
- ii. მარაგში მეორე რიგის მედიკამენტების ექვსივე კლასის არსებობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური პაციენტისათვის ნებისმიერი სახის მკურნალობის ჩატარება; და
- iii. ექიმებს, რომლებსაც ევალებათ შესაბამისი SLD მედიკამენტების დანიშვნა, უნდა გააჩნდეთ მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობის სათანადო გამოცდილება, რათა უზრუნველყონ მკურნალობის კომპლექსური და მრავალმხრივი პროცესის მონიტორინგი.

რაც შეეხება მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობისათვის საჭირო პირველ ელემენტს, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 26 ივნისისთვის შესაბამისი უწყებებისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ განმცხადებლის კოხის ბაქტერია შეუვალი აღმოჩნდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი რიგის მედიკამენტების მიმართ და შესაბამისად, აღნიშნული მედიკამენტებით მისი განკურნება შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, სათანადო უწყებებს დაუყოვნებლივ უნდა ჩაეტარებინათ მგრძობელობის ლაბორატორიული ტესტები, რათა შეემოწმებინათ ავადმყოფის მიკობაქტერიის მგრძობელობა SLD მედიკამენტების მიმართ. თუმცა, განმცხადებლის ავადმყოფობის ისტორიის თანახმად, პირველი ამგვარი ტესტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ – 2007 წლის 24 სექტემბერს ჩატარდა. მთავრობას არ წარმოუდგენია აღნიშნული ტესტის ჩატარებლობის ასე ხანგრძლივად დაყოვნების რაიმე გამამართლებელი მიზეზი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან-

¹¹ Holomiov v. Moldova, no.30649/05, §115, 7 November 2006.

¹² Aleksanyan v. Russia, no.46468/06, §140, 22 December 2008.

ნი იყო ზუსტი დიაგნოსტიკებისა და პაციენტისათვის შემდგომი ინდივიდუალური სამედიცინო დანიშნულების შერჩევისათვის.

მგრძობელობის ტესტის მნიშვნელობა ეფექტური მკურნალობის დასაწყებად კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტესტის შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა, რადგან დადგინდა პაციენტის მიკობაქტერიის მგრძობელობა ორი სახის SLD-ს – ციკლოსერინისა და PAS-ის მიმართ. ექიმმა, რომელიც პაციენტს ციხეში მკურნალობდა, ფორმალურად დაუნიშნა კიდევ მას ამ მედიკამენტების დღიური დოზა 2007 წ. 8 ოქტომბერს, თუმცა დანიშნული მკურნალობა მაშინვე არ დაწყებულა, სავარაუდოდ, ქვეყანაში აღნიშნული მედიკამენტების დეფიციტის გამო. მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ, 2008 წლის ივნისში, დაიწყო განმცხადებელმა აღნიშნული SLD მედიკამენტების მიღება. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო მედიკამენტები ხელმისაწვდომი არ არის, როდესაც ფარმაცევტული დეფიციტი ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის პირდაპირ გაუარესებას იწვევს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სახის შესაბამისი სამედიცინო დახმარების განევა.¹³

რაც შეეხება საკითხს, ფლობდა თუ არა განმცხადებლის მკურნალობაზე პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალი ექსპერტიზის საჭირო დასკვნას მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობის შესახებ, რაც ეფექტური მკურნალობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, პასუხი უარყოფითია. ამგვარად, მთავრობა აღიარებს, რომ შესაბამისი პროგრამა, რომელიც ექიმებისა და მედღების სპეციალურ წინასწარ ტრენინგს მოიცავდა, მხოლოდ 2009 წლის აპრილში დაიწყო ციხის ახალ საავადმყოფოში, ესე იგი, განმცხადებლის სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ. სხვა სიტყვებით, განმცხადებლის მკურნალობისას სამედიცინო პერსონალი ვერ იქნებოდა საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი. თუმცა, დღეისათვის ციხის ხელმძღვანელობის მიერ უკვე აღიარებული და ცნობილი ფაქტია, რომ მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის კომპლექსური სამედიცინო მკურნალობა ადეკვატური ცოდნით აღჭურვილი მედიკოსების მხრიდან უწყვეტ მეთვალყურეობას მოითხოვს, ხოლო ასეთი მეთვალყურეობის გარეშე მეორე რიგის მედიკამენტების მიღებამ შესაძლოა, უფრო მეტი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე – სასიკეთო ცვლილება. ამგვარად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი სახის მედიკამენტები მეტად ტოქსიკურია და შესაძლოა, გამოიწვიოს მთელი რიგი გვერდითი მოვლენები, მათ შორის – ჰეპატიტი, დეპრესია, ჰალუცინაციები და სხვა სახის ფსიქიკური აშლილობა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედიკოსები, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშაც მიმდინარეობს მკურნალობა, იყვნენ სათანადო გამოცდილებით აღჭურვილნი, ფლობდნენ ინფორმაციას რისკ ფაქტორების შესახებ და მიიღონ შესაბამისი ზომები მათი შემცირების მიზნით.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს პირველი განმცხადებლის მიერ შიმშილობის გამოცხადების თაობაზე, სასამართლო ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში თუ დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოწვეულია მის მიერ გამოცხადებული შიმშილობით და/ან მკურნალობის მიღებაზე უარის თქმით, შეუძლებელია ჯანმრთელობის გაუარესებაში მთავრობის ავტომატურად დადანაშაულება. თუმცა, სასამართლო, იზიარებს რა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის (WMA) მიერ 1991 წლის ნოემბერში 43-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეაზე მიღებულ და 2006 წლის ოქტომბერში WMA-ს 57-ე გენერალურ ასამბლეაზე შესწორებულ „მალტის დეკლარაციას შიმშილობის შესახებ“, მიიჩნევს, რომ ამგვარ რთულ სიტუაციაში ციხის ხელმძღვანელობა ვერ იქნება სრულად გათავისუფლებული საკუთარი პოზიტიური ვალდებულებისგან და პასიურად ვერ დააკვირდება პატიმრის შიმშილით სიკვდილს.

¹³ Pitalev v. Russia, no.34393/03, §57, 30 July 2009; and Mirilashvili v. Russia (dec.), no.6293/04, 10 July 2007.

კერძოდ, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად სერიოზულია პატიმრის გადაწყვეტილება შიმშილობის დაწყების თაობაზე, ციხის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, სრული ინფორმაცია მიანოდოს პატიმარს იმ სამედიცინო შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა შიმშილობამ გამოიწვიოს. სამედიცინო პერსონალი ასევე ვალდებულია, შეამოწმოს, ნამდვილად ნებაყოფლობითია თუ არა გადაწყვეტილება შიმშილობის დაწყების შესახებ, ხომ არ არის იგი პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებით, ანდა გარეშე ზეწოლით გამოწვეული. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შიმშილობის დროს შენარჩუნებულ იქნეს კომუნიკაცია მედიკოსებსა და პაციენტს შორის, რა დროსაც მედიკოსები ყოველდღიურად შეამოწმებენ, რამდენად ძლიერია პატიმრის სურვილი, უარი თქვას საკვების მიღებაზე. სასამართლოს აზრით, ასევე საყურადღებოა, დადგინდეს პატიმრის პროტესტის ნამდვილი მიზეზები და რეალური განზრახვა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული მიზეზები და განზრახვა არ არის ახირებული და უცნაური, არამედ, პირიქით, ამხელს სერიოზულ სამედიცინო დარღვევებს, კომპეტენტურმა უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკება მოშიმშილესთან პრობლემის მოგვარების მიზნით, რა თქმა უნდა, პატიმრობის ლეგიტიმური შეზღუდვების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი საქმის გარემოებებისა და განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის გათვალისწინებით, სასამართლო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ციხის საავადმყოფოს მედიკოსებმა თავდაპირველად გააფრთხილეს განმცხადებელი იმ სავალალო შედეგებისა და ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ, რასაც შიმშილობა გამოიწვევდა, ხოლო შემდეგ ისინი ყოველდღიურად განაგრძობდნენ პატიმრისთვის აღნიშნულის შეხსენებას. თუმცა, პაციენტის სამედიცინო ისტორიიდან სასამართლოსათვის ძნელი გასარჩევია, სამედიცინო პერსონალი ცდილობდა თუ არა დაედგინა, ხომ არ უკავშირდებოდა პაციენტის ქცევა, მაგალითად, SLD-ს მიღებით გამოწვეულ ფსიქიკურ აშლილობას. აღნიშნულის დასადგენად კი საჭირო იყო, ჩატარებულიყო ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული გამოკვლევა. რაც შეეხება მის მიერ 2008 წლის ნოემბერში გამოცხადებულ მეორე შიმშილობას, ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ციხის ხელმძღვანელობა არ ასრულებდა მედიკოსთა 2008 წლის 31 ოტომბრისა და 7 ნოემბრის რეკომენდაციებს ავადმყოფის სპეციალიზებულ, ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ გამოთქმული პროტესტის მიზეზები დაკავშირებული იყო სამედიცინო სფეროს ექსპერტების მიერ მისთვის განსაზღვრულ ზომებთან და, შესაბამისად, ეს მიზეზები ახირებულად ან უცნაურად ვერ ჩაითვლება. პირიქით, ეს არაადეკვატური სამედიცინო დახმარების დამატებითი დასაბუთებაა, როდესაც ციხის ხელმძღვანელობა უარს ამბობს კვალიფიციური სამედიცინო რეკომენდაციის შესრულებაზე.¹⁴ აღსანიშნავია, რომ მოცემული მომენტისათვის ორი სამოქალაქო პროფილის საავადმყოფო – ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი და აბასთუმნის საავადმყოფო წარმოადგენდა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც მიმდინარეობდა შესაბამისი მკურნალობის პროგრამა. შესაბამისად, მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის მკურნალობის მიზნით ამ დაწესებულებების გამოყენება სავსებით შესაძლებელი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დაუშვებელ ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ მთავრობამ არ მიმართა მითითებულ სპეციალიზებულ საავადმყოფოებს.¹⁵

და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის თანახმად, განსაკუთრებულ სიტუაციაში შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს მძიმედ ავადმყოფი პატიმრის პირო-

¹⁴ Siawomir Musiai, cited above, §92; Sarban v. Moldova, no.3456/05, §84, 4 October 2005; Holomiov, §117; Hummatov, §116).
¹⁵ Akhmetov v. Russia, no.37463/04, §81, 1 April 2010.

ბით გათავისუფლება,¹⁶ სასამართლოს არ შეუძლია, არ შეეხოს განმცხადებლის სასა-
ჯელის მოხდის გადავადებასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ
დაკავებულ პოზიციას. სასამართლო შენიშნავს, რომ ტუბერკულოზის ის ტიპი, რი-
თაც განმცხადებელი იყო დაავადებული, ქმნიდა მისი პირობითი გათავისუფლების
საფუძველს შემდგომი მკურნალობის მიზნით. ცხადია, რომ აღნიშნული გარემოება
არ წარმოადგენდა აბსოლუტურ საფუძველს პატიმრობიდან გათავისუფლებისათვის
და სასამართლოებმა ძალაუფლება საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენეს.

თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი გადაწყვეტილებები სათანადოდ
არ ითვალისწინებდა ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის თავსებადობას მი-
სი პატიმრობის განგრძობადობის შესაბამის ელემენტებთან. ამგვარად, სასამარ-
თლოს მიაჩნია, რომ როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლო-
ებმა თვალი დახუჭეს განმცხადებლის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაზე, რო-
მელიც, კვალიფიციური სამედიცინო ექსპერტების შეფასებით, ციხის პირობებში კი-
დევ უფრო უარესდებოდა. ამასთან, ციხეში აღმოჩენილი სამედიცინო დახმარება უძ-
ლური აღმოჩნდა პატიმრის ტუბერკულოზის წინააღმდეგ.¹⁷ ეროვნულმა სასამართლო-
ებმა ასევე არ განიხილეს პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი,
სხვა სახის ლეგიტიმური პირობების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მთავ-
რობა საკუთარ მიმოხილვებში აცხადებდა, რომ განმცხადებლის გათავისუფლება შე-
უძლებელი იყო, რადგან იგი საზოგადოებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და
ამასთან, მას ბრალად ედებოდა ციხის გარკვეული წესების დარღვევა, სასამართლო
შენიშნავს, რომ ზემოხსენებული მიზეზები ეროვნულ სასამართლოებს არ დაუსახე-
ლებიათ მიღებულ გადაწყვეტილებში. შესაბამისად, სასამართლო ვერ მიიღებს მთავ-
რობის არგუმენტებს, რომლებიც მის წინაშე მიმდინარე პროცედურის ფარგლებში
იქნა მოყვანილი.¹⁸

ii. წარმოადგინა თუ არა სახელმწიფომ საკმარისად დამაჯერებელი არგუმენ- ტაცია პირველი განმცხადებლის ციხეში გარდაცვალების თაობაზე

სასამართლო შეშფოთებულია იმის გამო, რომ, როგორც მთავრობის მიერ წარმოდ-
გენილი მასალებით ირკვევა, მას ადეკვატურად არ გამოუძიებია პირველი განმცხა-
დებლის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზი. თუმცა, მსგავსი სახის სამედიცინო შემ-
თხვევის დროს, როდესაც პატიმარი ავადმყოფობის შედეგად იღუპება, კონვენციის
მე-2 მუხლის დებულებების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს მთავრობის მხრი-
დან ნებაყოფლობითი და დაუყოვნებელი ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს,
ხომ არ გამოუჩენიათ სამედიცინო გულგრილობა.¹⁹ აღნიშნული ვალდებულება არ ით-
ვალისწინებს ყოველი შემთხვევის დროს სისხლის სამართლის კანონების გამოყენე-
ბას; გარკვეული გარემოებების დროს მიმდინარე გამოძიებისას საკმარისია მხოლოდ
დისციპლინური ზომების მიღება.²⁰

თუმცა, მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ციხის საავად-
მყოფოში გარდაიცვალა (რომელიც სახელმწიფო დანესებულებაა და პასუხისმგებ-
ლობა პირდაპირ მთავრობას ეკისრება), საქმის მასალებიდან გამომდინარე, პატიმ-
რის მკურნალი ექიმების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი არ გამხდარა
დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიების საგანი.

ასეთი მნიშვნელოვანი კვლევის შედეგების მონოდების ნაცვლად, მთავრობამ სასა-

¹⁶ იხ.: Aleksanyan, მითითებული ზემოთ; and Papon v. France (no. 1) (dec.), no. 64666/01, ECHR 2001-VI.

¹⁷ Mouiel v. France, no.67263/01, §40-42, ECHR 2002-IX.

¹⁸ Sakkopoulos v. Greece, no.61828/00, §44, 15 January 2004; and Sarban, §82.

¹⁹ იხ.: Tarariyeva, §§74-75 and 103; Gagi, §68; Kats and Others, §§116 and 120.

²⁰ იხ.: Mastromatteo v. Italy [GC], no.37703/97, §90, ECHR 2002-VIII.

მართლოს მხოლოდ სასჯელადსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელისა (რომელსაც პირდაპირ ევალებოდა ციხის საავადმყოფოს ზედამხედველობა) და ციხის საავადმყოფოში პატიმრის მკურნალი ექიმის ახსნა-განმარტებები წარუდგინა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პირებს, საკუთარი მოვალეობებიდან გამომდინარე, პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ პატიმრისთვის განუვლი მკურნალობის ხარისხზე, მათი ახსნა-განმარტებები იმის თაობაზე, რომ ავადმყოფის გარდაცვალება მისივე ქცევამ გამოიწვია, ცალსახად ვერ იქნება მიღებული სასამართლოს მიერ, როგორც სანდო და დამაკმაყოფილებელი პასუხი.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის მკურნალობაში დაშვებულ ზემოაღნიშნულ ხარვეზებს დაემატა ისიც, რომ მან ვერ წარმოადგინა დამაკმაყოფილებელი არგუმენტაცია პატიმრის გარდაცვალების თაობაზე. საქმე ეხება სერიოზულ ხარვეზს, რადგან კონვენციის მე-2 მუხლით თითოეული ინდივიდუალური შემთხვევისთვის გარანტირებული უფლებების დარღვევის გამო შემოფოთების გარდა, საქმე ასევე ეხება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მკურნალობისას დაშვებული შესაძლო შეცდომებისა და ფაქტების შესახებ ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სათანადო დანესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის საქმიანობაში, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული პოტენციური გართულებები და მსგავსი სახის შეცდომები.²¹

iii. დასკვნა

წარმოდგენილი საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს: შეუძლებელია ითქვას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მიიღო დროული და ადეკვატური ზომები ლეტალური შედეგის პრევენციის მიზნით პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, რომელიც ციხეში ყოფნის დროს დაავადებული იყო მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტიპის ტუბერკულოზით. ამგვარად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პატიმრისათვის შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზების დროულად ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა ადრეულ ეტაპზე ზუსტი დიაგნოზის დასმას და განმცხადებლის მიკობაქტერიის ტიპის ეფექტური მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნას. სახელმწიფომ ასევე არ მიიღო ზომები, რათა პაციენტისათვის დროულად მიეწოდებინათ SLD მედიკამენტები; დადგინდა, რომ აღნიშნული მედიკამენტებით შესაძლებელი იქნებოდა მისი ავადმყოფობის მკურნალობა. შესაბამისად, ავადმყოფობის ეფექტური მკურნალობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტი გამოტოვებულ იქნა. კიდევ ერთი შემამოფოთებელი ფაქტია, რომ როდესაც განმცხადებლის ოჯახმა ბოლოს და ბოლოს შეძლო ტუბერკულოზის სანინალმდეგო საჭირო მედიკამენტების შოვნა, სახელმწიფომ არ უზრუნველყო, რომ აღნიშნული მედიკამენტების ავადმყოფისათვის მიცემა განხორციელებულიყო სპეციალურად მომზადებული მედიკოსების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. სასამართლო შეშფოთებით შენიშნავს, რომ ყველა აღნიშნული ხარვეზი გამონვეული იყო იმ ფაქტით, რომ მიუხედავად წლების მანძილზე საქართველოს ციხეებში არსებული მედიკამენტების მიმართ მდგრადი ტუბერკულოზის ფორმების მზარდი რაოდენობისა, რასაც შესაბამისად მზარდი სიკვდილიანობაც ახლავს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები არ ნერგავენ ჯანმრთელობის დაცვის ზოგად სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია WHO-ს მიერ 1997 წლიდან 2008 წლის მარტამდე პერიოდში. სამედიცინო სფეროში ასეთი ცუდი მართვა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ან ხელი შეუწყო პირველი განმცხადებლის გარდაცვალებას, არ შეიძლება, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით.

²¹ იხ. Byrzykowski v. Poland, no.11562/05, §117, 27 June 2006.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ხარვეზებიდან რამდენიმეს დროული აღმოფხვრა მაინც იყო შესაძლებელი, თუკი პირველ განმცხადებელს ნებას დართავდნენ, ემკურნალა სპეციალიზებულ, ტუბერკულოზის მკურნალობისათვის განკუთვნილ ორი სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოდან ერთ-ერთში, სადაც, პენიტენციურ სისტემასთან შედარებით, უფრო ადრე დაინერგა შესაბამისი მკურნალობის პროგრამა; ანდა გაცემულიყო განკარგულება პატიმრის პირობითი გათავისუფლების თაობაზე, სრული ან ნაწილობრივი განკურნების მიზნით. აღნიშნული შესაძლებლობებიდან მოპასუხე სახელმწიფოს არც ერთი არ გამოუყენებია. თუმცა, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უწყებები იღებენ მძიმედ დაავადებული პირის პატიმრობაში დატოვების გადაწყვეტილებას, ისინი ვალდებული არიან, უზრუნველყონ პატიმრის სპეციალური მოვლა და მისი ავადმყოფობის მდგომარეობის შესაბამისი პირობები.²² კიდევ ერთ სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა დამოუკიდებელი და დამაჯერებელი გამოძიების შედეგად მიღებული დამაკმაყოფილებელი ანგარიში პირველი განმცხადებლის გარდაცვალების თაობაზე.

საერთო ჯამში, რომელიმე ზემოაღნიშნული დარღვევა, ცალკე აღებული, შესაძლოა, არ ყოფილიყო საკმარისი სახელმწიფოს დასადასაშაულებლად პოზიტიური ვალდებულებების არაადეკვატურ შესრულებაში ციხეში მყოფი პირველი განმცხადებლის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით, თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დარღვევათა თანაარსებობა და კუმულაციური ეფექტი ამისათვის საკმარისზე მეტია.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პირველი განმცხადებლის სიცოცხლის დაცვა ციხეში.

(გ) კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით

კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის შემოწმდეს, მოცემულ საქმეში დაირღვა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან, პირველი განმცხადებლისათვის ციხეში ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაუნწევლობის თვალსაზრისით.

II. შესაბამისობა კონვენციის 34-ე მუხლთან

პირველმა განმცხადებელმა სასამართლოსთან წარმოებულ კორესპონდენციაში აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა სასამართლოს რეგულამენტის 39-ე წესის თანახმად, 2008 წლის 10 ნოემბერს სასამართლოს მიერ დაკისრებული დროებითი ღონისძიება. მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე განმცხადებელი კვლავ იმავს აღნიშნავდა და ასაჩივრებდა სახელმწიფოს უარს მისი მეუღლის სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნაზე, რამაც განაპირობა პატიმრის გარდაცვალება.

მთავრობა სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ სასამართლოს მიერ 2008 წლის 10 ნოემბერს დაკისრებული დროებითი ღონისძიება არ შესრულებულა. თუმცა, აცხადებს, რომ აღნიშნული ღონისძიების შეუსრულებლობა წარმოადგენდა ერთადერთ შესაძლებლობას, გადაერჩინათ პირველი განმცხადებელი. აღნიშნული განცხადების გან-

²² იხ. Farbtuhs, §56; Isayev v. Ukraine, no.28827/02, §20756/04, 28 May 2009.

მტკიცების მიზნით, მთავრობამ დაასახელა მის მიერ სასამართლოსათვის 2008 წლის 1-ლ დეკემბერს მიწოდებული არგუმენტები.

მეორე განმცხადებელი კვლავ აცხადებდა, რომ მთავრობის მიერ მისი მეუღლის სპეციალიზებულ კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნაზე უარის თქმამ განაპირობა ფატალური შედეგის დადგომა.

სასამართლოს შეფასება

1.ზოგადი პრინციპები

სასამართლო აღნიშნავს, რომ 34-ე მუხლი შესაძლოა დაირღვეს, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ მიიღებს ყველა იმ ზომას, რომელთა განხორციელებაც გონივრული იქნებოდა რეგლამენტის 39-ე წესის თანახმად დაკისრებული დროებითი ღონისძიების შესასრულებლად.²³ როდესაც სარწმუნოდ მიიჩნევა, რომ არსებობს განმცხადებლისთვის გარდაუვალი ზიანის მიყენების რისკი კონვენციით დაცული რომელიმე ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის კუთხით, დანიშნული დროებითი ღონისძიების მიზანია, დაიცვას სასამართლოში მიმდინარე დავის მხარეთა უფლებები და ინტერესები საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. შესაბამისად, თვით დროებითი ღონისძიების ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ მისი დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დროის მეტად მცირე შუალედში ხდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პოტენციური საფრთხე. შესაბამისად, საქმის სრული მასალების შესწავლა ხშირად სრულად ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანამდე, რომელიც ეხება დროებითი ღონისძიების მოქმედების ქვეშ მოქცეული პრეტენზიის არსებით მხარეს. სწორედ იმისთვის ხდება დროებითი ღონისძიების დაკისრება, რომ სასამართლოს ჰქონდეს განჩინების გამოტანის შესაძლებლობა იმ პრეტენზიის ძირეული განხილვის შემდეგ, რომელსაც აღნიშნული ღონისძიება ეხება. მანამდე, შესაძლოა, სასამართლო იძულებული გახდეს, დროებითი ღონისძიება მხოლოდ ფაქტების საფუძველზე მიუთითოს, რომლებიც საქმის წინასწარი შესწავლით გახდა ცნობილი; შესაბამისად, შესაძლებელია, საქმის შემდგომმა შესწავლამ დროებითი ღონისძიების დანიშნვის ეს საფუძველები კიდევ უფრო გაამყაროს ან პირიქით, შეასუსტოს.²⁴

შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფო თავისი მოსაზრებით ვერ ჩაანაცვლებს სასამართლოს მოსაზრებას იმის შესამოწმებლად, არსებობდა თუ არა განმცხადებლისთვის დაუყოვნებელი და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რეალური რისკი დროებითი ღონისძიების დანიშნვის მომენტისათვის. არც ადგილობრივი ორგანოების გადასაწყვეტია დროებითი ღონისძიების შესრულების დროის ან მასშტაბის განსაზღვრა. სასამართლო ამოწმებს დროებითი ღონისძიების შესრულებას, ხოლო სახელმწიფო, რომელიც ფლობს სათანადო მასალებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სასამართლოს დარწმუნება, გააუქმოს დროებითი ღონისძიება, ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია მიანოდოს სასამართლოს. 34-ე მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დროებითი ღონისძიების შეუსრულებლობის შესახებ მიღებული საჩივრის განხილვისას, სასამართლო ხელმეორედ არ შეისწავლის მის მიერ დროებითი ღონისძიების დანიშნვის მართებულობის საკითხს. მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ დროებითი ღონისძიება შესრულებულია, ანდა, გამონაკლის შემთხვევაში, არსებობდა ობიექტური სახის დაბრკოლება. სახელმწიფო ასევე ვალდებულია, წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომ მან მიიღო სათანადო ზომები არსებული დაბრკოლების აღმოფხვრის მიზნით და შეე-

²³ იხ.: Mamatkulov and Askarov v. Turkey ([GC], nos.46827/99 and 46951/99, §92 et seq., ECHR 2005).

²⁴ იხ.: Paladi v. Moldova [GC], no.39806/05, §89, ECHR 2009.

ცადა, შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა სასამართლო-სათვის.²⁵

2. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

სასამართლო მიიჩნევს, რომ ამოსავალი წერტილი იმის გასარკვევად, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ დაკისრებული დროებითი ღონისძიება, მდგომარეობს თავად დროებითი ღონისძიების ფორმულირებაში. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 10 ნოემბერს, მთავრობას, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მიეცა მითითება, მოცემული მომენტისათვის ციხის ახალ საავადმყოფოში მყოფი პირველი განმცხადებელი ისეთ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაეყვანა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისთვის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო შესაბამისი მკურნალობის ჩატარება.

როგორც აღნიშნული დროებითი ღონისძიების ფორმულირებიდან ირკვევა, სასამართლოს არ გაუცია ბრძანება სამოქალაქო საავადმყოფოში განმცხადებლის აუცილებლად გადაყვანის შესახებ. არამედ, დროებითი ღონისძიების მთავარ მახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდა საკითხი, სამოქალაქო ან პენიტენციურ სექტორში არსებობდა თუ არა ტუბერკულოზის სამკურნალო სპეციალიზებული დაწესებულება. შესაბამისად, დგება სამართლებრივი საკითხი: მოცემული მომენტისათვის ასეთი სახის სპეციალიზებულ დაწესებულებად დასახელებული უნდა ყოფილიყო თუ არა ციხის ახალი საავადმყოფო. თუმცა, პასუხი აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითია, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ საავადმყოფოს არც საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობა გააჩნდა და არც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მეორე რიგის მედიკამენტები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოცემული მომენტისათვის აღნიშნული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი არ ფლობდა მედიკამენტების მიმართ მეტად მდგრადი ტუბერკულოზის კომპლექსური მკურნალობისათვის საჭირო უნარჩვევებს. ციხის საავადმყოფოში არსებული აღნიშნული სერიოზული ხარვეზების შესახებ ცნობილი უნდა ყოფილიყო მოპასუხე მთავრობისათვის, რადგან მანამდე კვალიფიციურმა სამედიცინო ექსპერტებმა რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ პენიტენციურ სისტემაში განმცხადებლისათვის განეული მკურნალობა არასაკმარისი იყო, მათ აღნიშნეს ავადმყოფის მდგომარეობის სწრაფი გაუარესება და გაიცა რეკომენდაციები მისი ტუბერკულოზის სამკურნალო სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

მეორე საკითხია, შესაძლებელია თუ არა, რომ ყოფილიყო ობიექტური შეფერხება, რამაც განმცხადებლის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას ხელი შეუშალა, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიიღო თუ არა მთავრობამ ყველა ზომა აღნიშნული შეფერხების დროულად აღმოფხვრის მიზნით.²⁶ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ დროებითი ღონისძიების შესრულების ერთადერთი ობიექტური შეფერხება შესაძლოა, ყოფილიყო მოცემული მომენტისათვის საქართველოში ასეთი სახის სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულების არარსებობა. თუმცა, სასამართლო მოპოვებული მასალების საფუძველზე ასკვნის, რომ 2008 წლის 10 ნოემბრის დროებითი ღონისძიების დანიშვნის მომენტისათვის სამოქალაქო სექტორში არსებობდა ტუბერკულოზის სამკურნალო ორი კლინიკა – ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრი და ფილტვის დაავადებათა აბასთუმნის საავადმყოფო – სადაც უკვე მოქმედებდა შესაბამისი მკურნალობის პროგრამა. ეს ფაქტი კი იმას ადასტურებს, რომ მოცემული მომენტისათვის

²⁵ იხ.: *Olaechea Cahuas v. Spain*, no.24668/03, §70, ECHR 2006-X (extracts); and *Paladi*, §§90 and 91.

²⁶ იხ.: *Grori v. Albania*, no.25336/04, §188, 7 July 2009.

ორივე დაწესებულება ფლობდა საჭირო სამედიცინო აღჭურვილობასა და სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პერსონალს. შესაბამისად, ობიექტურად შესაძლებელი იყო აღნიშნული ორი სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებიდან ერთ-ერთში განმცხადებლის მოთავსება. მართლაც, ეს იქნებოდა ერთადერთი ბუნებრივი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან და შესაძლოა, კონვენციითაც პირდაპირ ყოფილიყო მოთხოვნილი ავადმყოფის სამოქალაქო სექტორში არსებულ სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაყვანა, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული იყო, ხოლო სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა პენიტენციურ სექტორში – შეუძლებელი.²⁷

რაც შეეხება მთავრობის მტკიცებას, რომ თითქოს განმცხადებელი ვერ მიიღებდა გადაუდებელ მკურნალობას ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში მკურნალობის მომლოდინე პაციენტთა დიდი რაოდენობის გამო, სასამართლო შეახსენებს მთავრობას, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც პაციენტის მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო, ასეთი დაბრკოლების წარმოშობის შემთხვევაში, კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო უწყებები ვალდებული იყვნენ, მიეღოთ ყველა ზომა დაბრკოლების დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ, მკურნალობის მომლოდინე ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სია უნდა განიხილებოდა კლინიკური პრიორიტეტების შესაბამისად. პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, ადგილობრივი ექსპერტების ცალსახა შეფასებით, ავადმყოფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საკითხი დამოკიდებული იყო მის სპეციალიზებულ კლინიკაში მოთავსებაზე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ მთავრობას არ აღუნიშნავს მასზე დაკისრებული დროებითი ღონისძიების შესრულების შემაფერხებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შესახებ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. აცხადებს დასაშვებად კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, ხოლო განაცხადის დანარჩენ ნაწილს კი - დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი;
3. ადგენს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის განცალკევებით განხილვის საჭიროება;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი;
5. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ, მეორე განმცხადებელს უნდა გადაუხადოს: 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

²⁷ იხ.: Aleksanyan , §§155-157, and Akhmetov, §81.

ბექაური საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №14102/02

2002 წლის 31 მარტს ფრიდონ ბექაურმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 10 აპრილს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№14102/02) და ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ მხარს უჭერს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ იგი ვერ განიხილავს საქმის არსებით მხარეს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი ფრიდონ ბექაური დაიბადა 1977 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის ქსნის №7 საპატიმროში.

I. საქმის გარემოებები – სასამართლოს 2010 წლის 29 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებამდე

2005 წლის 2 მაისს სასამართლომ გასაცნობად წარადგინა განაცხადი და მხარეებს სთხოვა, გამოეთქვათ მოსაზრება, თუ რამდენად თავსებადია განმცხადებლის მიმართ გამოტანილი სამუდამო პატიმრობა კონვენციის მე-3 მუხლთან. აღნიშნული სასჯელი განმცხადებელს მიესაჯა პოლიციის ოფიცრის მკვლელობის გამო.

2005 წლის 30 აგვისტოს მთავრობამ წარადგინა თავისი მოსაზრებები დასაშვებობისა და საქმის გარემოებების შესახებ, რომლებიც სასამართლომ გადაუგზავნა განმცხადებელს, ვის ინტერესებსაც იმ დროისათვის იცავდა ქალბატონი ბუთხუზი („აპლიკანტის პირველი წარმომადგენელი“). წარმომადგენელს უფლება ჰქონდა დასაშვებობისა და საქმის გარემოებების თაობაზე მოსაზრებები წარედგინა 2005 წლის 24 ნოემბრისათვის, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. შემდეგ სასამართლომ თავისი ინიციატივით გაახანგრძლივა შესაბამისი ვადები 2006 წლის 10 თებერვლამდე, თუმცა წარმომადგენლებმა ამ დროისთვისაც ვერ შეძლეს რაიმე მოსაზრებების წარდგენა.

2006 წლის 14 თებერვლის წერილით სასამართლომ, აღნიშნა რა აპლიკანტის მხრიდან შენიშვნების გამუდმებული წარმოუდგენლობა, შეატყობინა ქალბატონ ბუთხუზს, რომ სასამართლო გააგრძელებდა საქმის განხილვას წარმოდგენილი მასალებით.

2006 წლის 10 მაისს აპლიკანტის პირველმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მან დაკარგა საქმის მასალები და თხოვნით მიმართა სასამართლოს საქმეში არსებული მასალების ასლების მიღების თაობაზე. 2006 წლის 16 მაისს სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

2006 წლის 3 ივლისს ქალბატონმა მუხაშავერიამ და ბატონმა ვახტანგიძემ სასამართლოს აცნობეს, რომ ისინი განმცხადებლის ადვოკატები იყვნენ („ახალი წარმომადგენლები“) და გამოთქვეს მზაობა, რომ უახლოეს მომავალში წარუდგენდნენ სასამართლოს თავიანთ შენიშვნებს დასაშვებობასა და საქმის არსებით გარემოებებზე. 2006 წლის 10 ივლისს სასამართლომ გამოგზავნა პასუხი, რომლითაც ახალ წარმომადგენლებს შეახსენა აპლიკანტის მიერ წინა პერიოდში მოსაზრებების დაუსაბუთებელი წარმოუდგენლობისა და გაზრდილი ვადების თაობაზე. სასამართლომ განაცხ-

ხადა, რომ ამ ეტაპზე არ მოხდებოდა შესაბამისი ვადების შემდგომი გაგრძელება და ახალ წარმომადგენლებს აცნობა, რომ დაკავშირებოდნენ თავიანთ კოლეგას, ქალბატონ ბუთხუზს, რათა მიეღოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დამატებითი ინფორმაცია განხილვების თაობაზე.

2006 წლის 12 ივლისს ახალმა წარმომადგენლებმა ხელახლა მიმართეს სასამართლოს დამატებითი დროის მიცემის თხოვნით შენიშვნების წარდგენისათვის. 2006 წლის 31 ივლისს სასამართლომ უარყო მათი განმეორებითი მოთხოვნა.

2007 წლის 15 თებერვალს ახალმა წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს საქმის მასალების ასლების გაცემის თაობაზე, რაც იმით ახსნეს, რომ პირველი წარმომადგენელი არ აძლევდა მათ საქმის გაცნობის საშუალებას. ამის პასუხად სასამართლომ, აღნიშნა რა, რომ შესაბამისი მასალები უკვე გადაგზავნილი იყო პირველ წარმომადგენელთან, გამონაკლისის სახით 2007 წლის 6 მარტს მაინც დააკმაყოფილა ახალი წარმომადგენლების მოთხოვნა და გადასცა საქმის მასალების ასლები.

2007 წლის 7 მაისს აპლიკანტის ახალმა წარმომადგენლებმა მესამედ განაცხადეს, რომ მზად იყვნენ განმცხადებლის სახელით წარმოედგინათ მოსაზრებები.

2010 წლის 21 იანვარს განმცხადებლის მამამ სასამართლოსგან მოითხოვა ინფორმაცია საქმის განხილვების მიმდინარეობის შესახებ. იგი ჩიოდა, რომ იმყოფებოდა სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და ასევე მოითხოვა საქმის მასალების ასლების მიწოდება.

II. გარემოებები, რომლებიც აღმოჩნდა სასამართლოს 2010 წლის 29 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ

2010 წლის 5 ოქტომბერს მთავრობამ წარმოადგინა უზენაესი სასამართლოს მიერ 2007 წლის 12 მაისს გამოტანილი საბოლოო და სამართლებრივად უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების (the final and enforceable decision) ასლი, როგორც ნაწილი თავიანთი შენიშვნებისა და მოსაზრებებისა არსებით საკითხებზე.

როგორც ამ გადაწყვეტილებით გაირკვა, უზენაესმა სასამართლომ, დააკმაყოფილა რა ქალბატონი ბუთხუზის 2006 წლის 28 აპრილის თხოვნა, განმცხადებლის მიმართ გამოტანილი სამუდამო პატიმრობის სასჯელი შეამცირა 16 წლით პატიმრობამდე, სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ამსუბუქებდა სასჯელს. შესაბამისად, განმცხადებლის ახალი საპატიმრო ვადა იწურება 2014 წლის 7 აგვისტოს და იგი ამ დღეს გათავისუფლდება.

სასამართლოს შეფასება

განმცხადებელი ჩივის, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამუდამო პატიმრობის სასჯელის მოხდის რეჟიმი შეუსაბამო იყო კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ამ ნორმის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას“.

მთავრობის წინასწარი პრეტენზიები

A. მხარეთა არგუმენტები

თავიანთ შენიშვნებში, რომლებიც ეხება განმცხადებლის საჩივრის არსებით გარემოებებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე, მთავრობამ წამოაყენა ორი წინასწარი პრეტენზია. **პირველი**, 2007 წლის 12 მარტს უზენაესი სასამართლოს მიერ სამუდამო პატიმრობის სასჯელის კომუტაციაზე (სასჯელის ზომის შეცვლაზე) მითითებით, მათ აღნიშნეს, რომ განმცხადებელმა დაკარგა მსხვერპლის სტატუსი. **მეორე**, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მიერ სასამართლოსთვის მის საქმეში არსებული ამგვარი არსებითი გარემოების შეუტყობინებლობა, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითებებიდან გამომდინარე, თავის მხრივ, წარმოადგენდა ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენებას.

ამის პასუხად, განმცხადებლის ახალი წარმომადგენლები, რომ არაფერი ვთქვათ საჩივრის არსებითი ნაწილის დაცვაზე, მოკლე კომენტარით შემოიფარგლნენ და აღნიშნეს, რომ თავიანთი კლიენტის მიმართ გამოტანილი სასჯელის კომუტაციის თაობაზე პირველად მასთან შეხვედრისას შეიტყვეს, რომელიც 2010 წლის მაისის ბოლოს შედგა. ასევე დაამატეს, რომ თავად განმცხადებელმა უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე მხოლოდ 2007 წლის ნოემბერში შეიტყუა.

B. სასამართლოს შეფასებები

სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის VI ნაწილის თანახმად, განმცხადებლებს – თავად იცავენ თავს, თუ ადვოკატების მეშვეობით – იცავს კონსტიტუციური ვალდებულება, სრულად მიეწოდოს სასამართლოს ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი გარემოების თაობაზე, რომლებიც მათ განსახილველ საქმეს ეხება. სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაცხადი, შესაძლოა, უარყოფილ იქნეს უფლების ბოროტად გამოყენებისათვის, თუ სხვა მიზეზებთან ერთად ის შეგნებულად დაფუძნებულია ტყუილ ფაქტებზე.¹ არასრული და, შესაბამისად, მცდარი ინფორმაცია, შესაძლოა, ასევე განიხილებოდეს, როგორც განაცხადის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება, განსაკუთრებით, თუ ინფორმაცია ეხება საქმის ყველაზე არსებით მხარეს და არ არსებობს ჯეროვანი ახსნა, თუ რატომ არ იქნა წარმოდგენილი ან გამჟღავნებული ეს ინფორმაცია.² ამას გარდა, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მის მოვალეობას არ წარმოადგენს, დაკავდეს მთელი რიგი დაუსაბუთებელი და უკმაყოფილო პრეტენზიებით, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, განმცხადებლებისა, თუ მათი წარმომადგენლების მხრიდან ამკარად შეურაცხმყოფელი ქმედებების განხილვით, რაც უზარმაზარ სამუშაოს უქმნის სასამართლოს; ე სკი, კონვენციის თანახმად, ყოველად შეუთავსებელია მის ნამდვილ ფუნქციებთან.³

წარმოდგენილი საქმის გარემოებებს რომ დავუბრუნდეთ, სასამართლო უპირველესად ადგენს, რომ განმცხადებლის პირველი წარმომადგენლის, ქალბატონი ბუთხუზის ქცევა უაღრესად სამწუხარო იყო. გარდა იმისა, რომ მან არ წარმოადგინა შენიშვნები დასაშვებობასა და საქმის არსებით გარემოებებზე, მიუხედავად დადგენილი ვადების გაგრძელებისა, ორჯერ დაკარგა საქმის მასალები, არ ითანამშრომლა გან-

¹ *Keretchashvili v. Georgia* (dec.), no.5667/02, 2 May 2006; and *Rehak v. Czech Republic* (dec.), no.67208/01, 18 May 2004).

² *Pirtskhalaishvili v. Georgia* (dec.), no.44328/05, 29 April 2010; and *Khvichia v. Georgia* (dec.), no.26446/06, 23 June 2009).

³ *Petrović v. Serbia* (dec.), no. 56551/11, 18 October 2011; and *The Georgian Labour Party v. Georgia* (dec.), no. 9103/04, 22 May 2007).

მცხადებლის სხვა წარმომადგენლებთან და, სავარაუდოდ, დატოვა განმცხადებლის ოჯახი სრულ უმეცრებაში საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ამ შეცდომებმაც დამატებით ბუნებრივად გამოიწვია სასამართლოს ადმინისტრაციული დატვირთვა. მისი გულგრილი დამოკიდებულება იმდენად შორს წავიდა, რომ სასამართლოს არ აცნობა უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია განმცხადებლის მიმართ გამოტანილი სამუდამო პატიმრობის სასჯელის განსაზღვრული ვადით კომუტაციის შესახებ, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული წარმოდგენილი განაცხადის სადავო საკითხის ყველაზე არსებით ნაწილთან.

რაც შეეხება განმცხადებლის ახალ წარმომადგენლებს, სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია, რომ მათ, როგორც ადვოკატებმა, რომლებმაც 2006 წლის 3 ივლისიდან იტვირთეს საქმეზე პასუხისმგებლობა, 2010 წლის მაისის ბოლომდე არ იცოდნენ მათი კლიენტის მიმართ გამოტანილი სამუდამო პატიმრობის განაჩენის კომუტაციის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის VI ნაწილის თანახმად, განმცხადებელიცა და მისი წარმომადგენლებიც ვალდებული იყვნენ, როგორც კი ეს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მათთვის ცნობილი გახდა, დაუყოვნებლივ ეცნობებინათ სასამართლოსთვის. აღნიშნულ მნიშვნელოვან გარემოებას სასამართლო გაითვალისწინებდა განაცხადის დასაშვებობის საკითხის გადანყვეტისას, 2010 წლის 29 ივნისს. სამწუხაროდ, მათ ეს არ გააკეთეს და რაიმე დასაბუთებული განმარტებაც კი ვერ წარმოადგინეს ასეთ სერიოზულ პროცედურულ შეცდომაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლების ქმედება, განსაკუთრებით კი ქალბატონი ბუთხუზის მოქმედება, იყო „უპასუხისმგებლობის საშინელი გამოვლინება“ (იხ.: *The Georgian Labour Party*), კონვენციით დადგენილი ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლებებთან შეუსაბამო და სასამართლოს გამართული საქმიანობისათვის მნიშვნელოვნად ხელის შემშლელი. საერთოდ, ადვოკატებს უნდა ესმოდეთ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი მოვალეობები სასამართლოს წინაშე ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების განსახილველად, რა დროსაც მათ უნდა წარმოაჩინონ პროფესიული კეთილგონიერების მაღალი დონე და სასამართლოსთან ღირებული თანამშრომლობის მზაობა. ეს კი უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სასამართლოს აარიდონ შეუსაბამო საჩივრები და თუკი საქმის განხილვები დაიწყება, ზედმინვენად ზუსტად დაიცვან პროცედურის ყველა შესაბამისი წესი და თავიანთ კლიენტებსაც იგივე მოსთხოვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს რესურსების თვითნებურმა თუ გულგრილმა, არასწორმა გამოყენებამ, შესაძლებელია დააზარალოს ადვოკატებისადმი ნდობა სასამართლოს წინაშე და თუკი ეს სისტემატურ ხასიათს მიიღებს, სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლოა, აეკრძალოთ კიდევ სასამართლოში განაცხადის შეტანა (იხ.: *Petrovic*).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის წინასწარი პრეტენზია საკმარისად დასაბუთებულია და წარმოდგენილი განაცხადი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, *in fine* წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ერთსულოვნად

მხარს უჭერს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ იგი ვერ განიხილავს საქმის არსებით მხარეს.

დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ

ბანაცხადი №8252/08

2008 წლის 4 იანვარს ელენე დადიანმა და დავით მაჩაბელმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 12 ივნისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№8252/08) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები, ელენე დადიანი და დავით მაჩაბელი, დაიბადნენ შესაბამისად 1923 და 1964 წლებში, თბილისში. მეორე განმცხადებელი პირველის დისშვილია. პირველი განმცხადებლის დედას საბჭოთა კავშირის შესაბამისმა ორგანოებმა 1920-იან წლებში ჩამოართვეს მიწა და ამ მიწით სარგებლობის უფლება.

ა. პირველი სამართალწარმოება

2004 წელს განმცხადებლებმა სარჩელი შეიტანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინააღმდეგ მათი სამკვიდრო მიწის რესტიტუციის მიზნით. სარჩელის საფუძვლიანობის განსამტკიცებლად მათ წარმოადგინეს საარქივო მასალები, რომლებითაც დასტურდება მათი წინაპრების საკუთრების უფლება სადავო მიწაზე. სამართლებრივი კუთხით, განმცხადებლები დაეყრდნენ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საკუთრებისა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების დაცვის ზოგად წესებს, საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ სოფელ ბაკურციხეში არსებულ მიწის ნაკვეთზე განმცხადებლების თანამფლობელობა დაადგინა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც მიწა №604. მოპასუხე მხარემ არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა.

2005 წლის 15 თებერვალს განმცხადებლების ადვოკატმა გურჯაანის რაიონული სასამართლოდან მოიპოვა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც:

„ელენე დადიანი და დავით მაჩაბელი ცნობილ იქნენ სოფელ ბაკურციხეში არსებული №604 მიწის თანამფლობელებად.“...

2005 წლის 26 ოქტომბერს განმცხადებლებმა, მოქმედებდნენ რა ადვოკატის მეშვეობით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გურჯაანის საჯარო რეესტრში წარადგინეს სააღსრულებლო ფურცლის ასლი 2005 წლის 31 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. 2005 წლის 2 ნოემბრის საპასუხო წერილში გურჯაანის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო განმცხადებლების სახელზე ამ მიწის რეგისტრაცია, ვინაიდან მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. როგორც აღმოჩნდა, ადვოკატის გამოისობით, საბოლოო გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული №604 მიწის ნაკვე-

თის არც ზომა და არც კატეგორია: იყო ეს სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. გარდა ამისა, ადვოკატს ეთხოვა, წარმოედგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე რწმუნებულება, რომელიც დაადასტურებდა მის უფლებას, დაეცვა განმცხადებელთა ინტერესები, სააღსრულებო ფურცლის ორიგინალი და სადავო მიწის საკადასტრო გეგმა.

ადვოკატების მიერ წარმოდგენილ, შესაბამისი პერიოდის ანგარიშზე დაყრდნობით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ 2005 წლის 2 ნოემბრის წერილის მიღების შემდეგ, ადვოკატები, მოქმედებდნენ რა მათი სახელით, რამდენჯერმე მივიდნენ გურჯაანის საჯარო რეესტრში და გამოთქვეს შეშფოთება გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით. ადვოკატები *inter alia* აღნიშნავდნენ, რომ მათი პოზიციიდან გამომდინარე, არ შეეძლოთ წარედგინათ სასამართლოს მიერ გამოტანილი შეცვლილი, საბოლოო გადაწყვეტილება. პასუხად, გურჯაანის საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა №604 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე სხვადასხვა მიზეზის გამო.

2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ აღუსრულებელი რჩება.

ბ. მეორე სამართალწარმოება

2005 წლის 25 მაისს განმცხადებლებმა შეიტანეს ახალი სარჩელი იმავე სამართლებრივ საფუძველზე, რომლითაც ისინი №646 მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ. აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს №604 ნაკვეთის მეზობლად. სარჩელი გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ იმავე დღეს დაარეგისტრირა.

განმცხადებლების ინფორმაციით, მეორე სარჩელის განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის 6§1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

განმცხადებლებმა წარადგინეს პრეტენზიები 2005 წლის 31 იანვრის სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისა და მეორე სამართალწარმოების დაუსაბუთებელი გაჭიანურების შესახებ.

(ა) მხარეთა არგუმენტები

მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის 6§1 მუხლი *ratione materiae* ვერ იქნება გამოყენებული მეორე სამართალწარმოებასთან მიმართებით, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის უფლებას. წარმოდგენილ არგუმენტებში მთავრობამ აღნიშნა, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ ნათლად განმარტავდა, რომ რესტიტუციის საკითხის განსაზღვრა მოხდებოდა ცალკე კანონით. თუმცა, ქართულ საკანონმდებლო სისტემას ასეთი კანონი დღემდე არ მიუღია.

განმცხადებლები არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ არგუმენტს.

(ბ) სასამართლოს შეფასება

სასამართლო აღნიშნავს, რომ მის მიერ უკვე განხილულ საქმეში „კლაუს და იური კი-

ლაძეები საქართველოს წინააღმდეგ“, მან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ კანონმდებლობა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის ან მათი წინაპრებისთვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის უფლებას არ ითვალისწინებს.

სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელთა პრეტენზია მეორე სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებით *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის 6§1 მუხლთან და არ უნდა დაკმაყოფილდეს 35-ე მუხლის 6§3 და 4 საფუძველზე.

(a) პრეტენზია *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით

პირველ სამართალწარმოებასთან მიმართებით მთავრობამ გაიმეორა არგუმენტი *ratione materiae* დაუშვებლობის შესახებ. განმცხადებლები არ დაეთანხმნენ ამ არგუმენტს.

სასამართლო შენიშნავს, რომ 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა №604 ნაკვეთზე განმცხადებლების თანამფლობელობა. მოპასუხე ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა არ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი.¹ შესაბამისად, კონვენციის 6§1 მუხლი ვრცელდება სამართალწარმოების ამ ნაწილზეც და, აქედან გამომდინარე, მთავრობის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

(b) პრეტენზია მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამონურვასთან დაკავშირებით

მთავრობამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილების აღსრულებლობის წინააღმდეგ არსებობდა მიმართვის რამდენიმე ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება, რომლებიც წინამდებარე საქმეში განმცხადებლებს არ გამოუყენებიათ. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლებმა არ შეიტანეს სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005§1 მუხლის შესაბამისად. მეორე მხრივ, მთავრობის განცხადებით, განმცხადებლებმა, სსკ-ის 381-ე მუხლის მიხედვით, არ შეიტანეს სარჩელი სახელმწიფო მოხელის წინააღმდეგ, რომელიც ოფიციალურად პასუხისმგებელია გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებაზე. ამასთან მიმართებით, მთავრობამ წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის შესახებ, რომელთა განხილვა მოხდა შიდა სასამართლოების მიერ, სსკ-ის 381-ე მუხლის შესაბამისად. დაბოლოს, განმცხადებლებმა არ მოითხოვეს 2005 წლის 2 ნოემბრის წერილის ადმინისტრაციული გადასინჯვა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177§3 მუხლის შესაბამისად.

განმცხადებლები არ ეთანხმებიან მთავრობას. მათი აზრით, შიდა პრეცედენტული სამართლის შესაბამისი მაგალითების ვერ მოყვანით, მთავრობამ ვერ მოახერხა იმის ჩვენება, რომ ზემოხსენებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები ნამდვილად ეფექტიანია. განმცხადებლები დაეყრდნენ საქმეს „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (№28537/02, §35, 2005 წ. 27 სექტემბრის განჩინება), რომ-

¹ Hornsby v. Greece , 19 March 1997, §40, Reports of Judgments and Decisions 1997-II; Burdov v. Russia (no. 2), no.33509/04, §65, ECHR 2009; Apostol v. Georgia, no.40765/02, §37, ECHR 2006-XIV; Jafarli and Others v. Azerbaijan, no.36079/06, §52, 29 July 2010.

ლის განხილვის დროსაც სასამართლომ განაცხადა, რომ ამ და სხვა მსგავს საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ მოყვანილი ფაქტები მიუთითებს სასამართლოს მიერ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემის არსებობაზე. დაბოლოს, განმცხადებლებმა, საქმეზე *Hornsby v. Greece* დაყრდნობით აღნიშნეს, რომ არცერთი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალება არ იყო საკმარისი მათი პრეტენზიის დაკმაყოფილებისთვის.

სასამართლო კონვენციის 35-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მიმართვის ის შიდასამართლებრივი საშუალებები საჭიროებს ამონაურვას, რომლებიც ეფექტურია და რომლებსაც შეუძლია სავარაუდო დარღვევის გამოსწორება.²

უბრუნდება რა პრეტენზიის პირველ ნაწილს, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში, სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვერ ჩაითვლებოდა განმცხადებელთა პრეტენზიის დაკმაყოფილების ეფექტიან საშუალებად. იმის დაშვებითაც კი, რომ მსგავსი მოქმედებების შედეგი სასურველი აღმოჩნდებოდა განმცხადებლებისთვის, საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადო შესრულების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ვერ გახდებოდა იმ ზომების სათანადო ალტერნატივა, რომლებიც საქართველოს სამართლებრივ სისტემას უნდა შეეთავაზებინა განმცხადებლებისთვის, რათა გამოესწორებინა ის ფაქტი, რომ მათ არ შეეძლოთ რეგისტრაციაში გაეტარებინათ მიწის ნაკვეთი, მიუხედავად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისა, რომელიც მათ აღნიშნულ ნაკვეთზე საკუთრების უფლებას ანიჭებდა.³

იგივე ეხება მთავრობის მიერ აღნიშნული მიმართვის სისხლისსამართლებრივ საშუალებასაც. რასაკვირველია, უცნობია, თუ როგორ იმოქმედებდა განმცხადებლის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის სარჩელის დაკმაყოფილება აღუსრულებლობის პრობლემის პირდაპირ და სწრაფ მოგვარებაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის სასამართლოს არ გააჩნდა საკმარისი უფლებამოსილება, კომპეტენტური ორგანოებისთვის დაევალებინა გადაწყვეტილების აღსრულება.⁴

რაც შეეხება მიმართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საშუალებას, სასამართლო იზიარებს მთავრობის იმ არგუმენტს, რომლის თანახმად, საჯარო მოხელის მხრიდან უმოქმედობის ან არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლისგან მოსალოდნელია საჯარო მოხელის ან მოხელეების წინააღმდეგ ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა.⁵ თუმცა, წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ შესაბამის მომენტში არავითარი მიმართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება არ ყოფილა ხელმისაწვდომი განმცხადებლებისთვის. კერძოდ, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლიდან ირკვევა, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, რომელიც უკავშირდება საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას, ამკარად ამოღებულია ამ დებულების მოქმედების სფეროდან. ამ კოდექსის 35-ე „გ“ მუხლის ფორმულირება სრულიად ნათელია და არ ტოვებს განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ეს დასკვნა, სასამართლოს აზრით, შემდგომში კიდევ უფრო გამყარდა იმ ფაქტით, რომ მთავრობამ ვერ წარადგინა შიდა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში აღნიშნული მიმართვის საშუალების გამოყენებას.

² იხ.: *Sejdovic v. Italy* [GC], no.56581/00, §45, ECHR 2006-II.

³ იხ.: *Hornsby*, cited above, §37; *Iatridis v. Greece* [GC], no.31107/96, §83, ECHR 1999-II; და *Mileva and Others v. Bulgaria*, nos.43449/02 and 21475/04, §83, 25 November 2010.

⁴ იხ.: *mutatis mutandis*, *Apostol*, cited above, §§44-46, and *Stoycheva v. Bulgaria*, no.43590/04, §40, 19 July 2011.

⁵ იხ. მაგ., *Romashov v. Ukraine*, no.67534/01, §31, 27 July 2004.

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის მიერ აღნიშნული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები არასაკმარისი იყო გასაჩივრებული დარღვევის გამოსწორებისთვის და მთავრობის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს.

არსებითი მხარე

მთავრობამ წარადგინა პრეტენზია იმის შესახებ, რომ 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება არ აღსრულდა იმიტომ, რომ განმცხადებლებმა მოთხოვნილი დოკუმენტები გურჯაანის საჯარო რეესტრში არ წარადგინეს. შესაბამისად, აღსრულების პროცედურის გაჭიანურება მთლიანად განმცხადებლების მიზეზით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, მთავრობამ განაცხადა, რომ გურჯაანის საჯარო რეესტრს არასოდეს შეუშლია ხელი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. მთავრობის განცხადებით, 2005 წლის 2 ნოემბრის წერილის ერთადერთი მიზანი იყო, განმცხადებლებისთვის ეთხოვათ მინის დასარეგისტრირებლად აუცილებელი სრული ინფორმაციის წარდგენა. აქედან გამომდინარე, სწორედ განმცხადებელთა ქცევა გახდა გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების ძირითადი მიზეზი.

განმცხადებლები არ დაეთანხმნენ მთავრობას. მათ განაცხადეს, რომ საჯარო რეესტრის თვითნებურმა მოთხოვნებმა ხელი შეუშალა გადაწყვეტილების მათ სასარგებლოდ აღსრულებას და რომ მათ ამ თვალსაზრისით არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნიათ. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ რეგისტრატორი მათ საქმეს ბიუროკრატიული მეთოდებით მიუდგა, დააკისრა მათ დამატებითი ვალდებულებები, საბოლოო გადაწყვეტილების შესწორების მიზნით პროცესის დაწყების ფარული ვალდებულების ჩათვლით. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რეგისტრატორის საყვედური 2005 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების შინაარსთან მიმართებით, არ ემსახურებოდა არავითარ ლეგიტიმურ მიზანს, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე დადგენილი იყო და მას ფლობდა საჯარო რეესტრი. ამ არგუმენტის გასამყარებლად განმცხადებლებმა წარადგინეს სოფლის რუკა დადგენილი საზღვრებით, დანომრილი მინის ნაკვეთებთან და დეტალური სიით, რომელშიც აღნიშნული იყო მინის ნაკვეთების მფლობელთა ვინაობა სოფელში, ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და ზომა.

აღნიშნულ რუკასთან დაკავშირებით, მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია. მას ასევე არ განუმარტავს, ნამდვილად ფლობდა თუ არა საჯარო რეესტრი მოთხოვნილ ინფორმაციას.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ.

ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მიზნებისთვის. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლდეს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ის ზიანს არ უნდა აყენებდეს ⁶ მუხლით დაცული უფლების არსს.⁶

⁶ იხ: Hornsby, §40; Jasimienė v. Lithuania, no.41510/98, §27, 6 March 2003; Qufaj Co. Sh.p.k. v. Albania, no. 54268/00, §38, 18 November 2004; and Beshiri and Others v. Albania, no.7352/03, §60, 22 August 2006.

მოსარჩელე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, აღასრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.⁷ თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, ვერ ახერხებენ, ან კიდევ აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩელე მხარისთვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებულ გარანტიას აზრი ეკარგება.⁸

გარდა ამისა, სასამართლო შეახსენებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, როდესაც ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ან ხელს უშლის მათ სრულ და დროულ აღსრულებას, არის შესაბამისი ორგანოების კონტროლის ქვეშ.⁹ ამავე დროს, მოგებული მხარის მიმართ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პროცედურული ზომების მიღების მოთხოვნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების აღსრულება, იმ პირობით, რომ მოთხოვნილი ფორმები არსებითად არ ზღუდავს ან არ ამცირებს აღსრულების პროცედურისადმი მხარის ხელმისაწვდომობას.¹⁰ ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა ათავისუფლებდეს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებისაგან, დროულად და საკუთარი ინიციატივით მიიღონ ზომები მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, რათა აღასრულონ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები.¹¹ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება, უპირველესად, სახელმწიფო სტრუქტურებს ეკისრებათ იმ მომენტიდან, როცა გადაწყვეტილება სავალდებულო და აღსრულებადი ხდება.

წინამდებარე საქმეში განმცხადებლები ასაჩივრებდნენ 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებლობას. მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა მინის მესაკუთრის ვინაობა და განმცხადებლებს შეეძლოთ მისი გამოყენება საჯარო რეესტრში მფლობელებად დარეგისტრირების მიზნით, შემდგომი დამატებითი ადმინისტრაციული ან სასამართლო განხილვის გარეშე. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს ჰქონდათ საფუძვლიანი მოლოდინი, რომ გადაწყვეტილება შესაბამისი წესით აღსრულდებოდა.

მთავრობის მტკიცებით, გადაწყვეტილების აღსრულებლობის მიზეზი იყო განმცხადებლების მხრიდან დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა. სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ რეგისტრატორის მოთხოვნა ისეთი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის თაობაზე, როგორცაა ადვოკატის პირადობის მოწმობის ასლი, რწმუნებულება და სააღსრულებო ფურცლის ორიგინალი, არ წარმოადგენდა ერთპიროვნულ მოთხოვნას. თუმცა, სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების აღსრულების გზაზე ძირითადი წინააღმდეგობა უკავშირდებოდა რეგისტრატორის წერილში სასამართლოს მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების კრიტიკას იმ მოტივით, რომ ის არ იყო სრულყოფილი არსებით ნაწილში, ვინაიდან არ შეიცავდა ინფორმაციას №604 მინის ნაკვეთის ზომის ან მისი კატეგორიის, სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შესახებ. სასამართლო იზიარებს განმცხადებლების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ რეგისტრატორმა მათ *de facto* დააკისრა ახალი სარჩელის შეტანის ვალდებულება სადავო გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საკითხი მდგომარეობს იმის გარკვევაში, ზედმეტად უშლის თუ არა განმცხადებლებს ხელს შესწორებული

⁷ იხ.: Homsby, §41 და Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §29, 3 December 2009.

⁸ იხ.: Antonetto v. Italy, no.15918/89, §28, 20 July 2000.

⁹ იხ.: Sokur v. Ukraine, no.29439/02, 26 April 2005, and Kryshchuk v. Ukraine, no.1811/06, 19 February 2009.

¹⁰ იხ.: Kosmidis and Kosmidou v. Greece, no.32141/04, §24, 8 November 2007; Rompoti and Rompotis v. Greece, no. 14263/04, §26, 25 January 2007; Apostol, §64; და Burdov (no. 2).

¹¹ იხ.: Akashev v. Russia, no.30616/05, §22, 12 June 2008.

გადანყვეტილების წარდგენის ვალდებულება მათ სასარგებლოდ მიღებული სავალდებულო, საბოლოო გადანყვეტილების აღსრულებაში.

უპირველეს ყოვლისა, ახალი სასამართლო პროცესის დაწყების ვალდებულებასთან დაკავშირებით, სასამართლო შეახსენებს, რომ პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადანყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადანყვეტილების აღსრულების მიზნით.

მეორე მხრივ, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილი უნდა ყოფილიყო შესწორებულ სასამართლო გადანყვეტილებაში, განმცხადებელმა აღნიშნეს, რომ №604 მიწის ნაკვეთის ზომა და დანიშნულება მანამდე იყო დადგენილი და ხელმისაწვდომი, სანამ სასამართლო სადავო გადანყვეტილებას მიიღებდა. უფრო მეტიც, ამ სახის ინფორმაციას ფლობდა საჯარო რეესტრი, რომელიც *inter alia* პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენახვაზე, მთავრობას არ გაუპროტესტებია განმცხადებელთა აღნიშნული არგუმენტი.

აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის მიერ იმ ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც იყო ან უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის განკარგულებაში, არავითარ კანონიერ მიზანს არ ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა აღსრულების პროცესის გაჭიანურებას.

სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განმცხადებელთა სასარგებლოდ გამოტანილი გადანყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა; სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გადანყვეტილების აღსრულება შვიდ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობდა მოლოდინი, რომ განმცხადებელი მიიღებდა გარკვეულ პროცედურულ ზომებს მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადანყვეტილების აღსრულების ფარგლებში, აღსრულების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადანყვეტილების აღსრულების პროცესში გამოჩენილი ინერტულობა პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს.¹² შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთა მიერ დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს გადანყვეტილების აღსრულებლობას, ეს არ ათავისუფლებს შესაბამის ორგანოებს ვალდებულებისგან, აღასრულონ სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადანყვეტილება.¹³

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არანაირად არ ამართლებს 2005 წ. 31 იანვრის საბოლოო სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებლობას. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 6§1 მუხლი.

¹² იხ.: Cravencu v. Moldova, no.13012/02, §45, 15 January 2008; Mirzayev v. Azerbaijan, no.50187/06, §§35-36, 3 December 2009, and Kirilova and Others v. Bulgaria, nos. 42908/98, 44038/98, 44816/98 and 7319/02, §121, 9 June 2005.

¹³ იხ.: Gjonbocari and Others v. Albania, no.10508/02, §§52-53, 23 October 2007, and Stoycheva, §58.

II. კონვენციის მე-13 და პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების სავარაუდო დარღვევა

კონვენციის მე-13 და პირველი ოქმის I მუხლებზე დაყრდნობით, განმცხადებლებმა წამოაყენეს პრეტენზია იმის შესახებ, რომ მათ არ ჰქონდათ მიმართვის ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალებები მეორე სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებით და რომ ამ მიმდინარე სამართალწარმოებამ დაარღვია მათი საკუთრების უფლება. პირველი ოქმის I მუხლი ასევე იქნა გამოყენებული 2005 წლის 31 იანვრის სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისა და საბჭოთა კავშირის მიერ 1920-იან წლებში განმცხადებლების სამკვიდრო ქონების ექსპროპრიაციის გასაჩივრების მიზნით.

მეორე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, სასამართლო, მხედველობაში იღებს რა მის ხელთ არსებულ მასალებს, კონვენციის 6§1 მუხლის საფუძველზე ადგენს, რომ კონვენციის მე-13 და პირველი ოქმის I მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები აგრეთვე უნდა იქნეს უარყოფილი, ვინაიდან ისინი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლთან.

პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, პირველი ოქმის I მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 35§3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე. თუმცა, კონვენციის 6§1 მუხლის დარღვევის დადგენიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს იმის განცალკევებით განხილვის საჭიროება, დაირღვა თუ არა პირველი ოქმის I მუხლი წინამდებარე საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

- ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 6§1 მუხლი 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებასთან მიმართებით;
- ადგენს, რომ არ არსებობს პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის განხილვის საჭიროება;

ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ თითოეულ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს: 2 000 (ორი ათასი) ევრო – მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და ორივე განმცხადებელს, ერთობლივად – 1 500 (ათას ხუთასი) ევრო – განუული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, ასევე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

სონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №17767/08

2008 წლის 21 მაისს ადვოკატი სონიაკინამ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 19 ივნისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№17767/08) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე 1956 წლიდან. 2000 წლის 4 მაისს იგი გავიდა პენსიაში საპენსიო ასაკის შესრულების გამო და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ 1999 წლის 12 მაისის კანონის (უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონი) 36-ე მუხლის თანახმად, დაენიშნა პენსია 1,073 ლარის ოდენობით (492 ევრო), რაც მისი ბოლო ხელფასის ოდენობას შეადგენდა.

„უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველადი ვერსიის მიხედვით, რომელიც ძალაში იყო განმცხადებლის პენსიაზე გასვლის დროს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ენიშნებოდა სამისდღეშიო პენსია ხელფასის სრული ოდენობით, რომლის ცვლილება მოხდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სახელფასო შკალაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით. 2001 წლის 16 მარტის ცვლილებით, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი (ცვლილების პუნქტი) ამოღებულ იქნა. 2005 წლის 10 მარტის ცვლილების შედეგად, ცვლილების პუნქტი ისევ იქნა შეტანილი „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონში, ოდნავ სახეცვლილი ფორმით, რომელიც ზრდიდა ცვლილების შესაძლებლობას უზენაესი სასამართლოს პენსიაში გასული მოსამართლეებისთვის, კერძოდ კი, ვისი უფლებამოსილებაც შეწყდა 2005 წლის პირველი იანვრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე, იმ პირობით, რომ ისინი, სულ მცირე, სამი წელი მუშაობდნენ ამ პოზიციაზე (2005 წლის 23 ივნისის კანონის 36-ე და მე-40 (7) მუხლები).

საბოლოოდ, 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის პირველ იანვარს, 36-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება: „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1.200 ლარის (551 ევროს) ოდენობით“.

ამ კანონის მე-40(7) მუხლი, რომელიც იმავე დროს შეიცვალა, განმარტავდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებსაც უფლებამოსილება შეუწყდათ 2005 წლის პირველი იანვრიდან 2006 წლის პირველ იანვრამდე, დაენიშნებოდათ სახელმწიფო კომპენსაცია ბოლო ხელფასის სრული ოდენობით, იმ ვადით, რა ვადითაც მათ უნდა განეხორციელებინათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება. აღნიშნული უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ მოხდებოდა კომპენსაციის თავიდან კალკულაცია, ამ კანონის 36-ე მუხლის ბოლო ვერსიის შესაბამისად. ამ დებულების წინა ცვლილებებისგან განსხვავებით, 2005 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით 36-ე მუხლის არსებულმა ვერსიამ გამოიწვია უკუძალის ეფექტი მე-40(7)(1) მუხლის საფუძველზე, რომელიც იმავე დღეს იქნა შეტანილი „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონში.

2004 წლის 3 სექტემბერს პენსიის დანიშვნის პროცედურით უკმაყოფილო განცხადებელმა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი, მიყენებული ზიანის გამო ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების მოთხოვნით. კერძოდ, იგი ასაჩივრებდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონში 2001 წლის 16 მარტს შესული ცვლილების მოქმედების კანონიერებას. ეყრდნობოდა რა წინამდებარე კანონის 36-ე მუხლის პირველად ვერსიას, განცხადებელმა მოითხოვა, რომ მისი პენსიის ცვლილება მომხდარიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სახელფასო განაკვეთების მატების შესაბამისად, რაც განხორციელდა მისი პენსიაში გასვლის შემდეგ და მას უნდა ანაზღაურებოდა შესაბამისი დავალიანება. 2004 წლის 27 დეკემბერს თბილისში მთანმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი, განმარტა რა, რომ 2001 წლის 16 მარტით დათარიღებულ ცვლილებას, *inter alia* სამოქალაო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად არ უნდა გამოენვია უკუქაღალა, ვინაიდან ცვლილების პუნქტის ამოღებამ გააუარესა განმცხადებლის მდგომარეობა.

2005 წლის 23 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადა რა, რომ განმცხადებლის სიტუაციის გაუარესების წინასწარი ნიშნები სახეზე არ იყო, ხოლო 2006 წლის 21 თებერვალს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამი მოსამართლისგან შემდგარმა კოლეგიამ, ხმათა უმრავლესობით, საკასაციო საჩივრის საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება და გააუქმა 2005 წლის 23 მაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განმცხადებლის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთმა წევრმა, მოსამართლე ს.-მ გამოთქვა განსხვავებული აზრი. მან აღნიშნა: იმ ფორმით, რამდენადაც ეს რელევანტურია, რომ დასარეგულირებელი პუნქტის ამოღებამ „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის პირველადი ვერსიიდან, არ შეიძლება ითქვას, რომ გამოიწვია განმცხადებლის მდგომარეობის გაუარესება, ვინაიდან პენსია შესაძლოა, თანაბრად შემცირებულიყო და არ გაზრდილიყო. მოსამართლეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, მან განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ 1996 წლის 25 ივნისის კანონის მე-8 მუხლი საერთოდ არ უკავშირდება მოსამართლეთა პენსიის უზრუნველყოფის საკითხს. კითხვაზე, შეიძლება თუ არა შემცირდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პენსია, მოსამართლემ ს.-მ დაბეჯითებით უპასუხა, რომ მსგავსი მექანიზმი გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 81(4) მუხლით. მისი აზრით, 2001 წლის 16 მარტის ცვლილება მიესადაგება განმცხადებლის სიტუაციას, ვინაიდან ის არ ლახავს მისთვის პენსიის მიღების უფლებას, მაგრამ ახდენს მისი ოდენობის თავიდან დადგენას.

მოსამართლე ს.-მ აგრეთვე განაცხადა, რომ არც 2001 წლის 16 მარტის ცვლილებით და არც 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებით, რომელიც პენსიაში გასული მოსამართლის პენსიის ოდენობას ადგენს 1.200 ლარით, არ დარღვეულა კანონის ერთგვაროვნება. მან დაასკვნა, რომ განმცხადებლის პენსიის ცვლილება უნდა მოხდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასის მატების შესაბამისად მხოლოდ 2005 წლის 10 მარტის, როცა ცვლილების პუნქტი თავიდან იქნა შეტანილი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში, და 2006 წლის 1 მარტის პერიოდს შორის, როცა 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება *ex post facto* შევიდა ძალაში.

პენსიასთან დაკავშირებული მეორე დავა

2006 წლის 31 მაისს განმცხადებელმა შეიტანა სხვა სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე ფონდის წინააღმდეგ, რომლითაც სადავოს ხდიდა 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილების გამოყენების კანონიერებას მისი მდგომარეობისთვის.

2006 წლის 19 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლოს მიერ მოყვანილი განმარტებები უმეტესად შეესაბამებოდა მოსამართლე ს.-ს არგუმენტებს, რომელიც მან გამოსხატა 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების მიღებისას.

განმცხადებელმა გაასაჩივრა 2006 წლის 19 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც 2007 წლის 6 მარტს არ დააკმაყოფილა თბილისის მეორე ინსტანციის სასამართლომ. საქმეზე – *Kjartan Esmundsson v. Iceland (no. 60669/00, ECHR 2004 IX)* გამოტანილი განჩინების 35-ე და 45-ე პარაგრაფების მხედველობაში მიღებისას, სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი არ უზრუნველყოფს კონკრეტული ოდენობით პენსიის მიღების უფლების დაცვის გარანტიას.

2007 წლის 9 ივლისს განმცხადებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა 2007 წლის 6 მარტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვა არგუმენტებს შორის, განცხადებელი, *Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France ([GC], nos. 24846/94 da 34165/96)* – საქმეზე დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ საკანონმდებლო ჩარევა, რომელმაც უკუძალის ეფექტით იმოქმედა სამოქალაქო უფლებაზე, შეუთავსებელი იყო კონვენციასთან.

2007 წლის 10 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სასამართლო კოლეგიამ, რომელიც შედგებოდა მოსამართლე ს.-გან და ორი სხვა მოსამართლისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ განმცხადებლის პენსიის შესახებ პირველი დავის განხილვაში, გამოიტანა გადაწყვეტილება 2007 წლის 9 ივლისის საკასაციო სარჩელის დაუშვებლობის შესახებ. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, წერილობითი პროცედურით. საკასაციო ინსტანციის სასამართლომ, არ მიიღო რა მხედველობაში განმცხადებლის საკასაციო არგუმენტები, განაცხადა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებით გათვალისწინებული დასაშვებობის არც ერთი პირობა არ იყო დაკმაყოფილებული.

განმცხადებელმა შემდგომში მოითხოვა 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422§1(ა) მუხლის საფუძველზე. მან პრეტენზია გამოსხატა იმის შესახებ, რომ მოსამართლე ს.-ს არ უნდა მიეღო მონაწილეობა 2007 წლის 9 ივლისის საკასაციო სარჩელის განხილვაში, რადგან მას უკვე გამოხატული ჰქონდა თავისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს კი წარმოშობდა მისი აცხადების ან თვითაცხადების საფუძველს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31§ 1 (დ) და 32-ე მუხლების საფუძველზე.

2007 წლის 26 დეკემბრის საბოლოო გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია განმცხადებლის თხოვნა, გაუქმებულიყო სადავო გადაწყვეტილება. ის ფაქტი, რომ მოსამართლემ გამოხატა განსხვავებული აზრი 2006 წლის 21 თებერვლის განჩინებასთან დაკავშირებით, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს აზრით, არ შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცებულებას განმცხადებლის საქმის მიმართ აშკარა, თუ ფარული დაინტერესების შესახებ.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევის შესახებ

განმცხადებელმა პრეტენზია გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე ს.-ს მონაწილეობამ პენსიასთან დაკავშირებული მეორე საქმის განხილვის დროს, დაარღვია კონვენციის მე-6 (წ1) მუხლით გათვალისწინებული მიუკერძოებლობის პრინციპი.

მთავრობამ განაცხადა: თავად ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს. იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ კოლეგიის წევრი, რომელიც განიხილავდა განმცხადებლის ორ განსხვავებულ საქმეს, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, არ წარმოშობს მეორე განხილვიდან გამომდინარე მოსამართლის თვითაცილების დაყენების საფუძველს. პენსიის შესახებ ორი განსხვავებული დავა უკავშირდება სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებასა და სამართლებრივ საკითხს და, შესაბამისად, არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც ერთი განგრძობადი საქმე. ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ჰქონდა მსგავსი დამოკიდებულება ზოგადად საკითხთან მიმართებით ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართალწარმოების დროს, არ არის საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ მას გააჩნია პირადი ინტერესი მეორე სამართალწარმოების შედეგის დადგომის მხრივ.

პასუხად, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მიუკერძოებლობის პრინციპი დაირღვა პენსიის შესახებ მეორე საქმის განხილვისას მოსამართლე ს.-ს მონაწილეობით, რაც უკავშირდება 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებას, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მან უკვე გამოხატა თავისი აზრი იმავე ცვლილებასთან დაკავშირებით პირველი საქმის განხილვის დროს.

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 (წ1) მუხლი მოითხოვს სასამართლოსგან მიუკერძოებლობას. მიუკერძოებლობა განაპირობებს არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის არიდებას ან საქმის განხილვის დროს კერძო დაინტერესების არარსებობას. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლის მიუკერძოებლობის არსებობის ან არარსებობის შესახებ სუბიექტურ ტესტზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს კონკრეტული მოსამართლის პირად შეხედულებას ან ინტერესს მოცემული საქმის დროს, და ასევე ობიექტურობის ტესტზე დაყრდნობით, ანუ ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად იმის გარკვევას, შესთავაზა თუ არა მოსამართლემ საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით.¹ იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი საფუძველი შიშისთვის, რომ ეს მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, მხარის პოზიცია არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტია ის, რომ არის თუ არა ეს შიში ობიექტურად გამართლებული. ამ თვალსაზრისით, გარეგნულ ნიშნებს აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ის, რაც საფრთხის ქვეშ დგება, არის ნდობა, რომელიც სასამართლომ დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა დანერგოს საჯაროდ და სამართალწარმოებაში ჩართული მხარეების წინაშე.²

წარმოდგენილ საქმესთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი სუბიექტურობის ტესტის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის მოსამართლე ს.-ს სასარგებლოდ იყო მოსაზრება პენსიის შესახებ განმცხადებლის დავის განხილვის პროცესში მის მიუკერძოებელ როლთან მიმართებით.³ ის ფაქტი, რომ

¹ Kyprianou v. Cyprus[GC], no. 73797/01, § 118, ECHR 2005 XIII.

² Kleyne and Others v. the Netherlands[GC], nos. 39343/98, 39651/98, 43147/98 and 46664/99, §§191 and 194, 2003.

³ Indra v. Slovakia, no. 46845/99, §§49 and 50, 1 February 2005.

მოსამართლე ს.-მ გამოხატა განსხვავებული აზრი განმცხადებლის პირველი საქმის განხილვის დროს პენსიის შესახებ, მეორე საქმის განხილვისას სასამართლოს მხრიდან არ შეიძლება იქნეს მიჩნეული განმცხადებლის წინააღმდეგ რაიმე პერსონალური ინტერესის წარმოშობისთვის საკმარის მტკიცებულებად.

ობიექტურობის ტესტთან დაკავშირებით, დაეთანხმა რა სასამართლო მთავრობის არგუმენტებს, მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ პენსიის შესახებ განმცხადებლის ორი დავა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თემატურად დაკავშირებული იყო ერთმანეთთან, არ შეიძლება მიჩნეულიყო როგორც „იგივე საქმე“ ან „იგივე გადაწყვეტილება“⁴, ვინაიდან ისინი ეხება განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ ნორმებს. უფრო მეტიც, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსამართლეთა შეზღუდულ რაოდენობას უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ხშირად გარდაუვალი და ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მოსამართლე იყოს ჩართული ისეთი საქმის განხილვაში, რომლის შესახებაც მან უკვე გამოხატა თავისი აზრი წინა, მსგავს, მაგრამ ამასთან არადაკავშირებული სამართალწარმოების დროს საკასაციო დონეზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს. ჩართული იყო პენსიის შესახებ განმცხადებლის ორივე, მსგავს, მაგრამ ერთმანეთთან არადაკავშირებული დავის განხილვის პროცესში, პირველ შემთხვევაში, იყო რა უმცირესობაში, ხოლო მეორედ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში აღმოჩნდა უმრავლესობაში, ობიექტური თვალთახედვიდან არ ამართლებს განმცხადებლის ეჭვს, რომ მოსამართლე გახდა მიკერძოებული მეორე საქმის განხილვის დროს.

აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 (§1) მუხლი მიუკერძოებელ სასამართლოსთან მიმართებით არ დარღვეულა.

პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევა

განმცხადებელმა პრეტენზია გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებამ *ex post facto* მას პენსიის მიღების უფლება წაართვა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის ცვლილების თანახმად, რაც პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

მთავრობამ განმარტა, რომ ცვლილების პუნქტი, როგორც ეს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დასაწყისში იყო განსაზღვრული, მიზნად ისახავდა კეთილდღეობის სპეციალური სტანდარტის უზრუნველყოფას განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებისთვის მათი მხრიდან ქვეყნისთვის განეული სამსახურის გამო. ამ პირებს შორის იყვნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები. მთავრობამ აღნიშნა, რომ მსგავსი პუნქტის შემოღების დროს საჯარო სექტორში ხელფასები, რომელთა შესაბამისად უნდა დანიშნულიყო სამისდღეობა პენსია, იყო ძალიან დაბალი. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობამ განაცხადა, რომ საშუალო ყოველთვიური ხელფასი საჯარო სექტორში იმ დროისთვის მიახლოებით უტოლდებოდა 85 ლარს (39 ევრო). თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2004 წლისთვის საშუალო ხელფასმა საჯარო სექტორში მოიმატა და შეადგინა 192 ლარი (88 ევრო), ხოლო 2008 წელს – 870 ლარი (399 ევრო).

სახელმწიფოს, რომელიც იდგა საბიუჯეტო დეფიციტს წინაშე საჯარო სექტორში ხელფასის მატების გამო, ან უნდა შეენარჩუნებინა მატების შედეგად გამოწვეული პენსიის ზრდა სპეციალური კატეგორიის პირებისთვის, მაშინ როცა მეორე მხრივ, სოციალურად დაუცველი ნაწილის კატეგორია უნდა დაეტოვებინა მიზერული პენსიით, ან დაენიშნა სამართლიანი და შესაბამისი პენსია სპეციალური კატეგორიისთვის, რო-

⁴ იხ. Kleyn and Others, §200.

დესაც იწყებდა პენსიის თანდათანობით, მაგრამ მყარ ზრდას ჩვეულებრივი საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის, შეირჩა მეორე ვარიანტი. მთავრობამ დაამატა, რომ უზენაესი სასამართლოს საპენსიო ასაკის მოსამართლეთა სამისდღეობა და ცვალებადი პენსიის 1.200 ლარამდე (551 ევრო) შემცირების პარალელურად, რომელიც შეეხო მთლიანობაში 21 პირს, მოპასუხე სახელმწიფომ 2005 წლის 27 დეკემბერს მიიღო ახალი კანონი სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ, რომელმაც შეწყვიტა პენსიის ცვლილების იმავე პრინციპის გამოყენება პენსიაში გასული 850 მოსამსახურისთვის, თავდაცვისა და შს სამინისტროების ხელმძღვანელი პირების (191 პირი), ყოფილი პროკურორების (98 პირი) და პარლამენტის ყოფილი წევრებისათვის (561 პირი).

თუმცა, ცვლილების პუნქტის გაუქმების მიუხედავად, სახელმწიფომ შეინარჩუნა სპეციალური სამისდღეობა პენსიის ზოგადი იდეა დამსახურებული პირებისთვის, დაადგინა რა სამართლიანი მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საკმაოდ შორს უსწრებს საშუალო ჩვეულებრივ პენსიას, კერძოდ, განმცხადებლის მიმდინარე დახმარება 1.200 (551 ევრო) ლარის ოდენობით იყო თორმეტჯერ მეტი საშუალო პენსიის ოდენობაზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 100 ლარს (46 ევრო).

მთავრობამ კვლავ განმარტა, რომ სოციალური პოლიტიკის ცვლილება, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შეფასების ფართო არეალისა და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, არანაირად არ უნდა განიმარტოს როგორც პირისთვის სპეციალური პენსიის მიღების უფლება.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი არ განსაზღვრავს გარკვეული ოდენობით პენსიის მიღების უფლებას. თუმცა, როცა ხელშემკვრელ მხარეს აქვს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პენსიის ანაზღაურებას, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს პირობითი წინა გადახდების დროს, კანონმდებლობა უნდა იყოს მიჩნეული როგორც საკუთრების უფლების წარმომქმნელი, რომელიც თავსდება პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის მოქმედების ფარგლებში.⁵ პენსიის შემცირება ან შეწყვეტა შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევას, რომელიც სამართლებრივად უნდა იქნეს განმარტებული.⁶

პრინციპები, რომლებიც ზოგადად გამოიყენება ასეთ შემთხვევებში, პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე არის თანაბრად რელევანტური, როდესაც ის ეხება პენსიებს.⁷ შესაბამისად, პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა არის ის, რომ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში უნდა იყოს კანონიერი და ის უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, „შედიოდეს საზოგადოებრივ ინტერესებში“. ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს პროპორციული რეალიზებად მიზანთან. სხვა სიტყვებით, „სამართლიანობის ბალანსი“ უნდა იქნეს დაცული საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნასა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. საჭირო ბალანსი არ მოიძებნება, თუ ჩართულმა პირმა ან პირებმა აიღეს ინდივიდუალური და ზედმეტი ვალდებულება.⁸

ვინაიდან პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი არ ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფლებას, აირჩიოს შემწეობის სახე და ოდენობა რაც განსაზღვრულია სოციალური დაც-

⁵ *ob. Carson and Others v. the United Kingdom*[GC], no. 42184/05, § 64, ECHR 2010.

⁶ *ob. Rasmussen v. Poland*, no. 38886/05, § 71, 28 April 2009.

⁷ *ob. Stummer v. Austria* [GC], no. 37452/02, § 82, 7 July 2011.

⁸ *ob. The Former King of Greece and Others v. Greece* [GC], no. 25701/94, §§ 79 and 82, ECHR 2000-XII.

ვის სქემის ფარგლებში,⁹ მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის შემოწმება, რომ განმცხადებლის უფლება – მიიღოს სარგებელი სოციალური დაცვის სქემიდან – არღვევს მისი პენსიის მიღების უფლების შინაარსს.¹⁰ ამას გარდა, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ამცირებს მოსახლეობის შესაბამისი ნაწილისთვის ანაზღაურებადი პენსიის ოდენობას, უნდა გატარდეს არადისკრიმინაციული გზით.¹¹

ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლება, მიიღოს ხელფასის სრული ოდენობის სამისდღეობო პენსია, რომლის ცვლილება მოხდება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის თანახმად, ვინაიდან ის დებულება მოქმედებდა განმცხადებლის პენსიაში გასვლის დროს – 2000 წლის 4 მაისს, წარმოშობს საკუთრების უფლებას პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის საფუძველზე.¹² უფრო მეტიც, ცვლილების შესახებ მოთხოვნის შემდგომი შეწყვეტა 2006 წლის პირველი იანვრიდან, რომლის შედეგადაც განმცხადებელმა ვერ შეძლო პრეტენზია განეცხადებინა უფრო მაღალ პენსიაზე უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის მატების მიუხედავად – საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც აშკარად შეამცირა განმცხადებლის პენსიის მიღების უფლების საწყისი მასშტაბი, უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ჩარევა მისი საკუთრების შეუფერხებელ სარგებლობაში. შესაბამისად, აღნიშნული ჩარევა საჭიროებს მის სამართლებრივ განმარტებას „კანონიერების“, „საზოგადოებრივი ინტერესისა“ და „პროპორციულობის“ პრინციპებით, რომელსაც შეიცავს პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.¹³

სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის პრეტენზია საკანონმდებლო ჩარევასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარე სასამართლო განხილვის დროს, რომელიც პენსიის მიღების უფლებას ეხება, არის არასწორად გაგებული. 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილების მიღებისას, პენსიის შესახებ განმცხადებლის პირველი დავა, რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა 2001 წლის 16 მაისის ცვლილების კანონიერება, ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.¹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი დავა გადაწყდა განმცხადებლის სასარგებლოდ უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 21 თებერვლის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს იყო მას შემდეგ, რაც შესაბამისმა დეპარტამენტმა დაიწყო პენსიის ახალი სქემის განხორციელება 2005 წლის 23 დეკემბრის სადავო ცვლილების მიხედვით. განმცხადებელმა შეიტანა მეორე სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც არ იყო დაკავშირებული პენსიასთან დაკავშირებულ წინა სამართალწარმოებასთან.

ზემოხსენებული განმცხადებლის პრეტენზია, რომლითაც სადავო ხდება 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც წინააღმდეგობის განხილვის მცდელობა შიდა სასამართლოს ზოგად ინტერპრეტაციასთან პენსიასთან დაკავშირებული პირველი დავის განხილვისას, რაც უკავშირდება შესაძარებელ ნორმატიულ აქტებს უკუძალის ეფექტით. სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება წინა შემთხვევების დროს, რომლითაც განმარტა, რომ პენსიის სამართლებრივი რეგულირება ექვემდებარება ცვლილებას; რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ აიცილებს თავიდან, მოახდინოს რეგულირება ახალი უკუძალის მქონე დებულებების საშუალებით. მოქმედი კანონმდებლობიდან წარმოქმნილი პენსიის მიღების უფლება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაბამის საკითხზე ვერ იქნება

⁹ იხ. *Stec and Others v. the United Kingdom*[GC], no. 65731/01, §53, ECHR 2006-VI.

¹⁰ იხ. *Wieczorek v. Poland*, no. 18176/05, §57, 8 December 2009.

¹¹ *Lakišević and Others v. Montenegro and Serbia*, nos.27458/06, 37205/06, 37207/06 and 33604/07, §59, 13.12.2011

¹² იხ. *Stec and Others v. the United Kingdom* (dec.), no. 65731/01 and 65900/01, §39 ECHR 2005-X.

¹³ იხ. *Lakišević and Others*, cited above, § 59.

¹⁴ *Torri and Others v. Italy* (dec.), nos.11838/07 and 12302/07, 24 January 2012.

სამართლებრივად გამოყენებული, როგორც მომავალში მსგავსი ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული დამცავი საშუალება.¹⁵

შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის პენსიის მიღების უფლებებში ჩარევა, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 23 დეკემბრის ზუსტად ფორმულირებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, არ წარმოადგენდა თვითნებობას, როდესაც მისი გამოყენება მოხდა შესაბამისი შიდა სტრუქტურების მიერ¹⁶ და აკმაყოფილებდა პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის კანონიერების დაცვის შესახებ მოთხოვნას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა უკეთესად იციან თავისი საზოგადოების საჭიროებები და შეუძლიათ საერთაშორისო მოსამართლეზე უკეთესად განსაზღვრონ, რა შედის „საზოგადოებრივ ინტერესებში“ და ეს გაგება განსაკუთრებით ფართო მნიშვნელობას ატარებს, როდესაც სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება საფრთხის ქვეშ დადგება, სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი, რომ 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება, რომლის ძალაში შესვლის დღიდან ამოღებულ იქნა ცვლილების პუნქტი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლიდან, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – შეენარჩუნებინა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობა და მოეხდინა სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია.¹⁷

სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებამ არ გააუარესა განმცხადებლის საპენსიო დახმარების სარგებლის შინაარსი, ვინაიდან ის დასაწყისშივე განიხილა მოპასუხე სახელმწიფომ.¹⁸

სასამართლო აღნიშნავს, რომ „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონში შეტანილი 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება არ იყო ერთი იზოლირებული სამართლებრივი ცვლილება, არამედ იგი შეადგენდა საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეებისთვის საპენსიო სისტემის უფრო ფართო საკანონმდებლო რეფორმის ნაწილს. კერძოდ, პარალელურად მიღებული კანონით სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ, შეწყდა პენსიების ცვლილების მუხლის გამოყენება პენსიაში გასული 850 სახელმწიფო მოხელისთვის. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეთა პენსიის საერთო რეფორმამ დააკისრა განმცხადებელს, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ჯგუფის წარმომადგენელს, ინდივიდუალური და ზედმეტი ვალდებულება.

სასამართლო მხედველობაში იღებს რა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვარს, რომელიც უკავშირდება საფრთხის ქვეშ მყოფი უფლებების დაბალანსებას ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას კომპლექსური გარდამავალი პროცესების დროს, როდესაც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესი,¹⁹ ასკვნის, რომ ცვლილების მოთხოვნის შეწყვეტა განმცხადებლის პენსიის სპეციალურ დახმარებასთან დაკავშირებით არ იყო არაპროპორციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით.

მოცემულ შემთხვევაში პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი არ დარღვეულა.

¹⁵ Arras and Others v. Italy, no.17972/07, §42, 14.02.2012; Sukhobokov v. Russia, no.75470/01, §26, 13.04.2006.

¹⁶ Torri and Others, cited above, §42, and Moskal v. Poland, no. 10373/05, §56, 15 September 2009.

¹⁷ ob. mutatis mutandis, Panfile v. Romania (dec.), no.13902/11, 20.02.2012; Jbulcs v. Latvia (dec.), no.42923/10, §§ 25 and 29, 6.12.2011; Leinonen v. Finland (dec.), no.33898/96, 7.06.2001; Moskal, §61; and Arras and Others, §81.

¹⁸ Lakižević and Others, §72, and Kjartan Bsmundsson, §45.

¹⁹ ob., მაგალითად, Frimu and Others v. Romania (dec.), nos. 45312/11, 45581/11, 45583/11, 45587/11 and 45588/11 7 February 2011; Maggio and Others v. Italy, nos. 46286/09, 52851/08, 53727/08, 54486/08 and 56001/08, § 63, 31 May 2011; Lenz v. Germany (dec.), no. 40862/98, ECHR 2001 X; and also Jbulcs, cited above, § 26),

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს დასაშვებად კონვენციის მე-6 (წ1) მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის თანახმად წამოყენებულ პრეტენზიებს, რომლებიც შესაბამისად, უკავშირდება მოსამართლე ს.-ს მონაწილეობას განმცხადებლის საქმის განხილვაში და და მისი პენსიის ოდენობას, ხოლო განაცხადის დანარჩენ ნაწილს – დაუშვებლად;
2. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ კონვენციის მე-6 (წ1) მუხლი არ დარღვეულა;
3. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი არ დარღვეულა.

მოსამართლე გულუმიანის განსხვავებული აზრი²⁰

მე არ ვიზიარებ უმრავლესობის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის უფლებები კონვენციის მე-6 (წ1) მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის თანახმად არ დაირღვა მოცემულ შემთხვევაში.

1. განმცხადებელი, რომელიც იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, პენსიაში გავიდა საპენსიო ასაკის დადგომისას და დაენიშნა პენსია „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 12 მაისს. ამ კანონის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ენიშნება სამისდღემშიო პენსია მისი ხელფასის სრული ოდენობით და პენსიის ოდენობის ცვლილება მოხდება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის ცვლილების შესაბამისად. უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლი შემდგომში რამდენჯერმე შეიცვალა.

განმცხადებელმა ორი განსხვავებული სარჩელი შეიტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლითაც სადავო გახადა 2001 წლის 16 მარტის ცვლილების გამოყენების კანონიერება, რომლის თანახმად, ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებული მეორე პუნქტი ამოღებულ იქნა და აგრეთვე – 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა პენსია უკვე პენსიაში გასული მოსამართლეთათვის.

2. პენსიასთან დაკავშირებული პირველი დავის დროს მოსამართლე ს.-მ, გასცდა რა მოცემული საქმის ფარგლებს, რომელიც, როგორც წესი, შეზღუდულია უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 2001 წლის 16 მარტის ცვლილების კანონიერების საკითხთან მიმართებით, ნათლად გამოხატა თავისი აზრი 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილების კანონიერებაზე. მოსამართლე ს.-ს 2005 წლის 23 დეკემბრის განმარტება იყო მხოლოდ თეორიული; მან შესთავაზა, რომ სადავო ცვლილება უნდა გამოყენებულიყო განმცხადებლის მოცემული სიტუაციისთვის.
3. იმდენად, რამდენადაც 2005 წლის 23 დეკემბრის იმავე ცვლილების გამოყენების კანონიერება განმცხადებლის პენსიის მიღების უფლებებთან მიმართებით იყო მეორე დავის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მე მივიჩნევ, რომ იმავე საკითხის განხილვის დროს მოსამართლე ს.-ის მეორედ მონაწილეობით დაირღვა მიუკერძოებ-

²⁰ კონვენციის 45§2 მუხლისა და რეგლამენტის 74§2 მუხლის თანახმად, წინამდებარე განჩინებას თან ერთვის მოსამართლე გულუმიანის განსხვავებული აზრი.

ლობა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად.²¹ რასაკვირველია, განმცხადებლის შიშს, რომ მოსამართლე ს.-ს ჰქონდა წინასწარი წარმოდგენა მეორე დავის გამოსავალზე, ვინაიდან მას უკვე ჰქონდა გამოხატული აზრი ამ საკითხთან მიმართებით, აქვს გამართლება. მისი ჩართულობა მეორე საქმის განხილვაში, შეიძლება ითქვას, რომ არ იყო ხელშემწყობი ნდობის თვალსაზრისით, რომლითაც უნდა სარგებლობდეს სასამართლო საზოგადოებაში.²²

4. ამ მოსაზრებების საფუძველზე მე დავასკენი, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნასთან მიმართებით.

5. პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისობასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ უზრუნველყოფს პენსიის, ან სხვა სოციალური დახმარების განსაზღვრული ოდენობით მიღების უფლებას.²³ თუმცადა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუ განსაზღვრული ოდენობის პენსიის მიღების უფლება დადგენილია კანონით ან სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებით, ასეთი უფლება დაცულია პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად.²⁴

მოსამართლეთა უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებლის უფლება, მიიღოს პენსია იმ ოდენობით, რომელიც ცვლილებადია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასის შესაბამისად, დაცული იყო პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე.

6. უფრო მეტიც, კანონის გამოყენება უკუძალის ეფექტით, რომელიც ლახავს განმცხადებლის ფინანსურ ინტერესს, მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც ქონების ჩამორთმევა პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.²⁵

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების თანახმად, 2001 წლის 16 მარტის ცვლილებას არ ჰქონდა უკუძალის ეფექტი. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებლის პენსიის მიღების უფლებას აქვს უწყვეტი ხასიათი, ეს უფლება, უზენაესი სასამართლოს აზრით, წარმოიშვა განმცხადებლის საპენსიო ასაკის დადგომისას – 2000 წლის მაისში, როცა მას დაენიშნა სამისდღე-შიო პენსია, „უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის“ 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის შესაბამისად.

7. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობა აგრეთვე აღნიშნავდა, რომ უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლი ამკვიდრებს საპენსიო დახმარების მაღალ სტანდარტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთათვის. ის ამასთან მიმართებით აცხადებდა, რომ:

„მაღალი სტანდარტის საპენსიო სისტემის შექმნა არის არა მარტო კონკრეტული საპენსიო ასაკის მოსამართლის სოციალური დაცვის საკითხი, არამედ ის აგრეთვე მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლო-

²¹ Kleyne and Others, §200; Sacilor-Lormines v. France, no.65411/01, §73, ECHR 2006 XIII; and Me-nariž v. Croatia, no.71615/01, §32).

²² De Cubber v. Belgium, 26 October 1984, §26, Series A no.86, and Castillo Algar v. Spain, 28 October 1998, §32, Reports of Judgments and Decisions 1998 VIII.

²³ Aunola v. Finland (dec.), no.30517/96, 15 March 2001.

²⁴ Andrejeva v. Latvia [GC], no.55707/00, §§77 and 78, 18 February 2009; Pravednaya v. Russia, no.69529/01, §§37-41, 18 November 2004; Smirnitckaya and Others v. Russia, no.852/02, §§33- 37, 5 July 2007; and Solodyuk v. Russia, no.67099/01, §§26-27, 12 July 2005.

²⁵ Smirnitckaya, §§49-53, and Smokovitis and Others v. Greece, no.46356/99, §§32-34, 11.04.2002.

ბის შენარჩუნებას ზოგადად, უზრუნველყოფს რა მოქმედი მოსამართლისთვის საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ იმავე სარგებლის მიღებას...“.

8. მოსამართლეთა უმრავლესობა ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მიზეზებს, რომლებიც დაფუძნებულია ეკონომიკურ არგუმენტებზე, რაც დაკავშირებულია „სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობასთან“. მე არ ვკამათობ მიზნების მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიზნებმა გავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე.

უფრო მეტიც, მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი არ უნდა იყოს ის, თუ როგორ და რა ხარისხით შეუქმნის საფრთხეს ბიუჯეტის მდგრადობას ოცდაერთი პირისთვის პენსიის გაზრდა.

მსგავსი არგუმენტის შემთხვევაშიც განმცხადებელს ერთმევა უფლება, მიიღოს გაზრდილი პენსია *ex post facto* 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილების გამო, რაც წარმოადგენს პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევას.

კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №1484/07

2006 წლის 28 დეკემბერს ირაკლი კაკაბაძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა, ჯაბა ჯიშკარიანმა, ზურაბ რთველიაშვილმა და დავით დალაქიშვილმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 2 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№1484/07) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, მე-6 მუხლის I ნაწილი მე-6 § 3 (c) მუხლთან ერთად, მე-11 მუხლი და კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტები არიან ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია – თავისუფლების ინსტიტუტის წევრები. იგი დაფუძნდა 2004 წლის თებერვალში. ამ ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა პენიტენციური და სამართალდამცავი ორგანიზაციების მონიტორინგი და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. ისინი აწყობდნენ საჯარო პრესკონფერენციებს და ქუჩის დემონსტრაციებს, რა დროსაც გამოდნენ ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩაიდინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და აპროტესტებდნენ საქართველოს ციხეებში არებულ მდგომარეობას.

A. 2006 წლის 29 ივნისს მომხდარი ინციდენტი

2006 წლის 29 ივნისს, დაახლოებით დღის 2:20 საათზე, აპლიკანტებმა გამართეს დემონსტრაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის გარეთ შალვა რამიშვილისა და დავით კობრეიძის – კერძო სატელევიზიო არხის „202-ის“ მფლობელების – მხარდასაჭერად, რომელთა საქმის განხილვაც მიმდინარეობდა იმ დღეს. **რამიშვილისა და კობრეიძის საქმის** მიმართ იმ დროისათვის არსებობდა დიდი საზოგადოებრივი ინტერესი.

აპლიკანტთა 2006 წლის 4 და 5 ივლისის წერილობითი მტკიცებულებების თანახმად, რომლებშიც ასახული იყო 2006 წლის 29 ივნისს განვითარებული მოვლენები, ისინი შევიდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში ცენტრალური კარიდან; დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ ერთ-ერთ აპლიკანტს თან ჰქონდა მეგაფონი, რაც არ გაუპროტესტებიათ. აპლიკანტები შეჩერდნენ ათი-ოცი მეტრის მოშორებით სასამართლოს შენობიდან და პირველმა აპლიკანტმა, რომელსაც მეგაფონი ეკავა ხელში, დაიწყო შემდეგი სლოგანების წარმოთქმა:

„ჩვენ არ უნდა გვყავდეს პოლიტიკური პატიმრები საქართველოში! ... ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ, დაემორჩილოთ სამართლიანობას და არა, რამდენიმე მაღალი რანგის ჩინოსნის პირადულ ინტერესებს! ... მომეცით სამართალი ან მომეცით სიკვდილი! ...“.

ამას გარდა, პირველმა აპლიკანტმა, მიაჩნდა რა, რომ ადამიანის უფლებათა კუთხით საქართველოში არსებული სიტუაცია იყო საბჭოთა კავშირის დროს 1930-იან წლებში გაჩაღებული ტერორის მსგავსი, აგდებულად მოიხსენია შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ვ.მ.-ი, როგორც „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი“. მეოთხე და მეხუთე აპლი-

კანტების წერილობითი ჩვენებების თანახმად, ისინი ასევე მოითხოვდნენ ბატონი რამიშვილისა და ბატონი კობრეიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, რადგან ეს პირები უკანონოდ იყვნენ დაპატიმრებულები და მოუწოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს „არ გამხდარიყო [შინაგან საქმეთა მინისტრის] კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე“.

აპლიკანტთა თქმით, ისეთი არაფერი იყო წარმოთქმული ან, რაც შეიძლებოდა მიჩნეულიყო სასამართლოსადმი შეურაცხყოფად: ამის დადასტურება შეეძლოთ იქ მყოფ, სრულიად დამოუკიდებელ მოწმეებს, ისევე, როგორც ამას მოწმობდა ტელეკომპანია „202-ის“ ოპერატორის მიერ გადაღებული კადრები.

პირველი აპლიკანტის გამოსვლა გაგრძელდა დაახლოებით სამი წუთი, როდესაც ფორმაში გამონყობილი რამდენიმე მანდატური მიუახლოვდა მას და, სავარაუდოდ, წინასწარი გაფრთხილების ან განმარტებების გარეშე, ძალით დააკავეს. აპლიკანტები შეიყვანეს სასამართლოს შენობაში და ჩაკეტეს მანდატურთა სამორიგეო ოთახში.

აპლიკანტთა წერილობითი ჩვენებების თანახმად, მათი დაკავების ადგილას არანაირი დაკავების ოქმი არ შედგა. ყოველ შემთხვევაში, მათთვის არც წარუდგენიათ და არც რაიმე დოკუმენტზე ხელმოწერა არ მოუთხოვიათ. პირიქით, მანდატურებმა დაარწმუნეს აპლიკანტები, რომ ისინი ოფიციალურად არ იყვნენ დაპატიმრებულნი, რომ ეს იყო უბრალო გაუგებრობა და მათ ძალიან მალე გაათავისუფლებდნენ.

ამის მიუხედავად, საქმის მასალებში არსებობს თითოეული აპლიკანტის ცალ-ცალკე დაკავების ხუთი ოქმი. ამ ჩანაწერებში მითითებული იყო როგორც შემდგენელი მანდატურის სახელი და გვარი, ასევე თითოეული აპლიკანტის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი. დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ აპლიკანტები დააკავეს დაახლოებით დღის 2:20 საათისათვის, 1997 წლის 13 ივნისის საერთო სასამართლოების იურისდიქციის შესახებ აქტის 76(3) §1(f)-ე მუხლით. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ სამართალდამრღვევმა პირებმა „დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი“, რამაც მიიღო „სასამართლოსადმი უპატივცემულობის, შეურაცხყოფის, მანდატურების კანონიერი განკარგულებებისადმი (შეენწყვიტათ დარღვევები) დაუმორჩილებლობის, სასამართლო მანდატურებისათვის წინააღმდეგობის განწევის, სასამართლოზე ზეგავლენის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშემშლელი სიტყვიერი გამოთქმების და ა.შ.“ ფორმა. ყველა ჩანაწერი იწყებოდა მანდატურების ხელნაწერი ჩვენებებით, რომლებშიც მითითებული იყო, რომ აპლიკანტებმა „უარი განაცხადეს ხელმოწერაზე და შესაბამისად, ასლის მიღებაზე“. მათ დაუყოვნებლივ აცნობეს დარღვევისა და აპლიკანტების დაკავების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და პოლიციას.

აპლიკანტთა განცადებით, მათი დაკავების თაობაზე არსებული დოკუმენტები შეადგინეს და საქმეში ჩაამატეს *ex post factum*.

დაკავებულები სრულიად უცნობი მიზეზების გამო, დაახლოებით სამი საათის განმავლობაში, მოათავსეს სასამართლოს შენობის სამორიგეო ოთახში, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლებმა ისინი გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკავების იზოლატორში; საქმის მასალებში არსებობს ციხის ჟურნალის შესაბამისი ჩანაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მეოთხე განმცხადებელი დაკავების იზოლატორში შეიყვანეს დღის 5:45 საათზე.

საქმეში ასევე დევს სასამართლოს სამი მანდატურის ახსნა-განმარტება, რომლებიც მონაწილეობდნენ აპლიკანტების დაკავებაში. ეს განმარტებითი ბარათები შედგენილია ნახევარ გვერდზე, ხელნაწერი ფორმით, შეიცავს ერთსა და იმავე ფრაზებს და

შედგენილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უფროსი მანდატურის სახელზე. ამგვარად, აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, განმცხადებლებმა „იდგნენ რა სასამართლოს ცენტრალურ შესასვლელთან ახლოს დაახლოებით დღის 2:20 საათზე“, დაიწყეს „პოლიტიკური პატიმრების გამოშვების მოთხოვნა“ და „სასამართლოსათვის შეურაცხყოფის მიყენება თავიანთი ქმედებებითა და გამოთქმებით“. ერთ-ერთმა მანდატურმა თავის მოხსენებით ბარათში დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებელთა საქციელი წარმოადგენდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ზეწოლას, მაშინ როცა მეორემ მიუთითა, რომ აღნიშნული დარღვევები იყო სასამართლო საქმიანობაში ჩარევა. სამივე მანდატური ამტკიცებდა, რომ ვიდრე ისინი დააკავებდნენ განმცხადებლებს, მათ რამდენჯერმე სთხოვეს, შეენწყვიტათ დარღვევები.

როდესაც აპლიკანტები გადაიყვანეს დაკავების იზოლატორში, მათ შეიტყვეს, რომ ისინი დაპატიმრებულები იყვნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით.

B. 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება

როგორც 2006 წლის 29 ივნისის ერთგვერდიანი გადაწყვეტილებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ე.ტ.-მა, განცალკევებით, ზეპირი მოსმენის გარეშე, გადაწყვიტა მხოლოდ მანდატურების წერილობით ახსნა-განმარტების საფუძველზე დაეპატიმრებინა აპლიკანტები 30 დღით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის მიხედვით. ამგვარად, მან მხედველობაში მიიღო მანდატურთა ვერსია 2006 წლის 29 ივნისის მომხდარი ინციდენტის თაობაზე, კერძოდ ის, რომ „[განმცხადებლები], რომლებიც იმყოფებოდნენ სასამართლოს შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შესასვლელში, არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, ხელს უშლიდნენ სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებაში და ცდილობდნენ სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენას კონკრეტული საქმის განხილვისას“. მიუხედავად მანდატურთა მოთხოვნებისა, რომ შეენწყვიტათ არეულობა, აპლიკანტებმა ისევ გააგრძელეს თავიანთი ქმედებები, რამაც მიიღო „სიტყვიერი გამოთქმებისა და ქმედებების“ ფორმა. სასამართლოს თავმჯდომარემ დაასკვნა, რომ აპლიკანტებმა „დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, აჩვენეს რა ღია და უხეში უპატივცემულობა სასამართლოსადმი და საფრთხის ქვეშ დააყენეს მართლმსაჯულების განხორციელება“.

2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების დადგენილებით ნაწილში აღნიშნული იყო, რომ ეს დოკუმენტი არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას, აპლიკანტებს მათზე დაკისრებული სასჯელი უნდა მოეხადათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-2 იზოლატორში და თბილისის პოლიციის დეპარტამენტი პასუხისმგებელი იყო აღსრულებაზე.

C. შემდგომი მოვლენები

2006 წლის 21 ივლისს აპლიკანტებმა მიუთითეს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §7-ე მუხლის მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით შეჩერებული იყო და დაობდნენ, რომ მათი დაკავება იყო ადმინისტრაციული სასჯელი. შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართეს, რომ განეხილა 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლის მიხედვით. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაუშვა აშკარა სასამართლო შეცდომა, როდესაც ისინი დასაჯა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს პასუხისმგებ-

ლობას მხოლოდ სასამართლოს შენობის შიგნით ჩადენილი დანაშაულისათვის; აპლიკანტთა დემონსტრაციის ამსახველი ვიდეოჩანაწერი წარმოდგენილი იყო იმის დასადასტურებლად, რომ აპლიკანტები მოქმედებდნენ მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. ამგვარად, აპლიკანტები დაობენ, რომ ზემოხსენებული ნორმა არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული გონივრულ და შესაბამისად, კანონიერ საფუძველად მათთვის ბრალდების წაყენებასა და დაკავებაში. ამას გარდა, ისინი ჩიოდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია სამართლიანი სასამართლოს პრინციპები, როდესაც გადაწყვეტილება მიიღო სრულიად ცალმხრივი ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც სასამართლოს მანდატურებმა მიანოდეს. განმცხადებლები ასევე ჩივიან, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ გამოიყენა უმკაცრესი სანქცია, რაც კი გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით.

2006 წლის 26 ივლისს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ბატონმა ზ.მ.-მა, განიხილა, *in absentia*, აპლიკანტების 2006 წლის 21 ივლისის საჩივარი და არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები. საჩივრის განხილვის თარიღი წინასწარ არ ეცნობათ განმცხადებლებს.

როგორც 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ირკვევა, მოსამართლე ზ.მ.-მა უპირველესად აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §7-ე მუხლის შეჩერება განმცხადებლებს ავტომატურად არ აძლევს უფლებას, გაასაჩივრონ თავიანთი პატიმრობა. ამის მიუხედავად, აღიარა რა ის, რომ მათი პატიმრობა, თავისი ბუნებით, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პატიმრობას, მან დაადგინა, რომ სასჯელის თაობაზე 2006 წლის 21 ივლისის საჩივარი შეიძლება განხილულიყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 279-ე მუხლის მიხედვით. მოსამართლე ზ.მ.-მა გააკრიტიკა განმცხადებლები მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამო. მან საქმის მასალების მიხედვით დადგენილად ცნო, რომ აპლიკანტებმა მართლაც გამოხატეს „ამჟამად და მზარდი უპატივცემულობა“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ „სასამართლოს შენობის შიგნით, კერძოდ, კი მის ცენტრალურ შესასვლელთან“ აღნიშნული ქმედებების ჩადენით. ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის მიზანი იყო, მოსამართლე ზ.მ.-ის აზრით, დაცული ყოფილიყო საზოგადოებრივი წესრიგი არა მხოლოდ სასამართლოს შენობის შიგნით, არამედ, ასევე – მის გარეთაც, მიმდებარე ადგილებშიც. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციისა, რომელიც დაეკისრათ აპლიკანტებს, რადგან მოცემულ სიტუაციაში ის, რაც რისკის ქვეშ იდგა, იყო „არა კონკრეტულად იმ მოსამართლის კერძო ინტერესი, არამედ სასამართლოს ავტორიტეტი და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება“. საჩივრის პასუხად, იმის თაობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა მხოლოდ ცალმხრივი ჩვენებების საფუძველზე, მოსამართლე ზ.მ.-მა განაცხადა, რომ ყველა მტკიცებულება – აპლიკანტების დაკავების ოქმები და განმარტებითი ბარათები – სასამართლოს თავმჯდომარისათვის განსახილველად, კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვით, შეადგინეს და წარადგინეს სასამართლოს მანდატურებმა. მოსამართლე ზ.მ.-მა ასევე განაცხადა, რომ 30-დღიანი პატიმრობა იყო შესაბამისი სასჯელი, ჩადენილი ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე.

2006 წლის 28 ივლისს აპლიკანტთა პატიმრობის ვადა ამოიწურა და ისინი გათავისუფლდნენ.

D. 2006 წლის 29 ივნისის ინციდენტის ვიდეორჩანანერი

ჩანანერი მომზადებული იყო სატელევიზიო არხის „202-ის“ მიერ 2006 წლის 29 ივნისის ინციდენტის თაობაზე.

პირველ სცენაში მოკლედ იყო ნაჩვენები, თუ როგორ აკავებდა ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე მანდატური ზოგიერთ აპლიკანტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. პირველ აპლიკანტს, რომელსაც ხელში მეგაფონი ეჭირა, მანდატურები ხელს კრავდნენ სასამართლოს ცენტრალური შესასვლელისკენ. სცენის დასასრულს, უცნობმა მამაკაცმა ხელი დააფარა კამერის ლინზას.

პროგრამის ბოლო ეპიზოდში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბატონი ე.ტ.-ი ნაჩვენები იყო უკვე აპლიკანტების დაკავების გამო გამართულ პრესკონფერენციაზე. მან განაცხადა:

„...ამ აქციის ხუთ მონაწილეს, ... რომლებმაც ასეთი პირდაპირი და უხეში უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ და დაარღვიეს წესრიგი სასამართლოში ... ჩემი განკარგულებით მათ მიმართ გამოვიყენებ ოცდაათდღიან პატიმრობას და ეს, კიდევ ერთხელ, იქნება კარგი მაგალითი იმისათვის, რომ პატივისცემის გამოხატვა სასამართლოს მიმართ და სასამართლოში წესრიგის დაცვა იქნება ძალიან მკაცრად დაცული“.

კომენტატორმა აღნიშნა, რომ ვიდრე ქალბატონი ე.ტ.-ი დაიკავებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტს, იგი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვ.მ.-ის მოადგილე იყო.

სატელევიზიო ეთერში გასულ დანარჩენ სიუჟეტებში ნაჩვენები იყო აპლიკანტების ადვოკატებისა და მხარდამჭერების ინტერვიუები, რომელთაგან ზოგიერთი აცხადებდა, რომ განმცხადებლებს არ უნდა დაკისრებოდათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, რადგან ისინი მოქმედებდნენ სასამართლოს შენობის გარეთ.

E. საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მასურაშვილი და მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქმეს საფუძვლად დაედო ორი ადვოკატის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი. ისინი დააპატიმრეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6-ე მუხლის საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო, რომელიც ჩაიდინეს სისხლის სამართლის საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლო დარბაზში.

2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად გამოაცხადა საჩივრები არსებითი განხილვისათვის და შეაჩერა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §7-ე მუხლის მოქმედება.

2006 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ გაუქმებულად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §7-ე მუხლი, როგორც არაკონსტიტუციური.

თავის დასაბუთებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის „სისხლის სამართლის პარაგრაფი“ გამოიყენებოდა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული განხილვებისას. საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომში დაასაბუთა, რომ ის განხილვები, რომლებიც საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლებას აძლევდა მსჯავრდებულად ეცნო პირი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო ადგილზე თათბირით, ზეპირი განხილვების გარეშე, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ყველაზე უმთავრესი გარანტიების უგულვებელყოფას, როგორცაა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროისა და საშუალებების ქონა და ასე შემდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე მსჯავრდებული პირისათვის აპელაციის შეტანაზე უარის თქმით, ამ ნორმის მე-7 პუნქტი არღვევს კონსტიტუციის 42-ე მუხლის I ნაწილს და კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის მოთხოვნებს. ამ ბოლო დასკვნის უფრო მეტი დასაბუთებისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა საქმეზე – *Gurepka v. Ukraine* (no. 61406/00, §§ 59-62, 6 September 2005).

თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გააკრიტიკა სასამართლოსადმი უპატივცემულობის დეფინიცია, როგორც ბუნდოვანი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის VI პარაგრაფშია მოცემული. კერძოდ:

„სადავო ნორმით გათვალისწინებული დარღვევა არ არის ნათლად ფორმულირებული... და მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია იყოს ორაზროვანი, რადგან ეს ნორმა ბუნდოვანია და აკლია სიზუსტე... იქ, სადაც კანონმდებლობა აკისრებს პატიმრობის სანქციას, სამართალდამრღვევს ნათლად უნდა ესმოდეს იმ დარღვევის არსი, რომლის გამოც მას მიესაჯა პატიმრობა და მეორე მხრივ, მოსამართლე, რომელიც იყენებს კანონს, ასევე უნდა მოქმედებდეს კორექტულად და ადეკვატურად. ...“

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების მიღწევა და შენარჩუნება, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა და მართლმსაჯულების სისტემის გამართულად ოპერირება, არ უნდა ხორციელდებოდეს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური უფლებების დამცრობის ხარჯზე.“

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-5 მუხლის I, მე-6 მუხლის I ნაწილის I და III (c) ქვეპუნქტის, მე-10 მუხლისა და მე-11 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ

აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ მათი პატიმრობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო – შემდგომი პატიმრობა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაადგინა 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, იყო უკანონო და არასამართლიანი და წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის I, მე-6 მუხლის I ნაწილის I და III (c) ქვეპუნქტის დარღვევას.

აპლიკანტები შემდგომში ჩიოდნენ, რომ მათი დაკავება და პატიმრობა წარმოადგენდა მათი აზრის გამოხატვისა და მშვიდობიანად შეკრების უფლებების უკანონო და დაუსაბუთებელ აკრძალვას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებს.

1. დაკავებისა და პატიმრობის კანონიერება

(ა) მთავრობის არგუმენტები

მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა დაკავება და პატიმრობა თავსდებოდა კონვენციის მე-5 §1(ც) მუხლით გათვალისწინებულ გამოწვევებში. კერძოდ, ისინი დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოსათვის შეურაცხყოფის მიყენებაში ეჭვმიტანილობის გამო. ეს ქმედებები წარმოადგენს „სამართალდარღვევას“ ამ კონკრეტული ნორმის მნიშვნელობის მიხედვით. რაც შეეხება შიდა საკანონმდებლო ბაზას აპლიკანტებისათვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით, მთავრობა დაეყრდნო სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1(f) მუხლს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1) მუხლს, რომელიც კომპეტენტურ სამართლებრივ ორგანოს აკისრებს სამართალდამრღვევი პირების დასჯის უფლებამოსილებას პატიმრობის მისჯის სახით. ამას გარდა, მთავრობამ შენიშნა, რომ აპლიკანტების დაკავება და დაპატიმრება თავსდება კონვენციის 5 §1(b) მუხლის ფარგლებში.

აცნობიერებს რა იმას, რომ სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1(f)-ე მუხლის დეტალური ფორმულირება შეეხება მხოლოდ სასამართლოს მანდატურის უფლებამოსილებას, სასამართლოს შენობის შიგნით დააკავოს ადამიანები, მთავრობა დაობს, რომ ეს ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს უფრო მეტი ინტერპრეტაციით, ზოგადი მიზნების გათვალისწინებით, რომელიც უნდა ყოფილიყო მიღწეული აღნიშნული სადავო სამართლებრივი ნორმის გამოყენებით. ამგვარად, ვინაიდან სასამართლოების შესახებ აქტის 76(3)-ე მუხლის არსით სასამართლოს მანდატურებს უფლება ჰქონდათ დაეცვათ მართლმსაჯულების განხორციელება, სრულიად ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ იმ აპლიკანტების მიმართ, რომლებიც შეურაცხმყოფლად იქცეოდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში, სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა მათთვის მინიჭებული შესაბამისი უფლება-მოვალეობები არა მხოლოდ სასამართლოს შენობაში, არამედ მის გარეთ დაცულ ტერიტორიაზეც.

შემდგომში მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებლების პატიმრობის პირველადი პერიოდი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ინციდენტის განხილვის მიმდინარეობა, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პატიმრობას, რომელიც ადმინისტრაციული განხილვებისას არის აღმკვეთი ღონისძიება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით. მთავრობა შემდგომში შეეცადა, დაერწმუნებინა სასამართლო, რომ აღნიშნული დაკავება არ აღემატებოდა მაქსიმალურად დაშვებული სამსაათიანი ლიმიტის ზღვარს, როგორც ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვითაა დადგენილი. თავისი პოზიციების მხარდასაჭერად, მთავრობა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ სამი საათი და 25 წუთი გავიდა განმცხადებლების დაკავებასა და ერთ-ერთი მათგანის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაკავების იზოლატორში გადაყვანას შორის. ეს უკანასკნელი მოვლენა კი აუცილებლად მოხდებოდა 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; ამ დროის განმავლობაში 25 წუთზე მეტი დაიხარჯა აპლიკანტების ტრანსპორტირებაზე სასამართლოს შენობიდან მათი შემდგომი პატიმრობის ადგილამდე.

(ბ) აპლიკანტების არგუმენტები

აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ მათი დაპატიმრება უკანონო იყო, რადგან სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1(f)-ე მუხლის თანახმად, სრულიად ნათლადაა გაცხადებული, რომ აღნიშნული ნორმა არ ავალდებულებს სასამართლოს მანდატურს, რომ პირი სასამართლოს შენობის გარეთ დააკაოს. ამ მანდატურებს შეეძლოთ მხოლოდ „აღეკვითათ სამართალდარღვევა სასამართლოს შენობის შიგნით“. აპლიკანტები ჩი-

ვიან, რომ ეროვნული სასამართლოებისა და მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ნორმის გადაჭარბებულმა ინტერპრეტაციამ თვითნებურად გაზარდა მანდატურების უფლებამოსილების ტერიტორიული გამოყენება დაკავებასთან დაკავშირებით, რაც არ შესაბამისაა სავარაუდო მოთხოვნებს და შესაბამისად, იყო უკანონო, კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აპლიკანტებმა შემდგომში განაცხადეს, რომ საქმის მიმდინარეობისას არ იყო ნათელი, თუ რომელი სამართლებრივი ნორმით უნდა მოწესრიგებულიყო მათი პატიმრობის ხანგრძლივობა. ისინი აპროტესტებდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის გამოყენებას, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული პატიმრობის კანონით განსაზღვრულ ლიმიტს და ამტკიცებდნენ, რომ როგორც ეს ცხადლივ იყო ასახული მე-10 მუხლში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი გამოიყენება მხოლოდ ამ კონკრეტული კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების ჩადენისას, მაშინ, როცა აპლიკანტები დამნაშავედ ცნეს და დასაჯეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მიხედვით. მეორე მხრივ, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა გამოყენებულიყო ამ შემთხვევაში, მაშინ ნამოიჭრებოდა აშკარა პრობლემა ამ კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს მანდატურებს სახელმწიფო მოხელეთა იმ ჩამონათვალიდან, რომლებიც კანონით არიან უფლებამოსილები პირთა დაპატიმრებაზე.

რაც შეეხება შემდგომი სასჯელის საფუძველს 30-დღიანი პატიმრობის დაკისრებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის მიხედვით, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ ამ ნორმას ანალოგიურად არ გააჩნია წინასწარი ვარაუდი და სიზუსტე. ამ არგუმენტის მხარდასაჭერად, ისინი ეყრდნობიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის დასკვნებს, ისევე როგორც ამ ნორმის შესაბამის ცვლილებას 2006 წლის 29 დეკემბერს, რაც განმცხადებლების მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან წარმოადგენს მდუმარე თანხმობას მოცემული ნორმის პირველადი ვარიანტის დეფექტურობაზე. აპლიკანტებმა კვლავ აღნიშნეს: მათ არ შეეძლოთ წინასწარ ევარაუდათ ის, რომ მათ მიერ სასამართლოს შენობის გარეთ ჩადენილ ქმედებებს შედეგად მოჰყვებოდა დაპატიმრება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის თანახმად.

(c) სასამართლოს შეფასება

i. ზოგადი პრინციპები

სასამართლო კვლავ იმეორებს: თავისუფლების აღკვეთა უნდა ხვდებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (a)-(f) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებიდან ერთ-ერთში,¹ რომ ჩაითვალოს „კანონიერად“. იქ, სადაც დაკავების უკანონობა სადავოა, კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობას არსებითად ეყრდნობა და აკისრებს ვალდებულებას, რომ დაიცვას ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი და პროცედურული ნორმები.² ეს უპირველესად მოითხოვს იმას, რომ ნებისმიერ პატიმრობას თუ დაკავებას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, არამედ საკითხი ასევე უკავშირდება კანონის ხარისხს; იგი საჭიროებს, რომ შესაბამისობაში იყოს კანონის უზენაესობასთან, რაც კონვენციის ყოველი მუხლის განუყოფელი ნაწილია.³ „კანონის ხარისხი“ – ამ ცნებაში იგულისხმება ის, რომ იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა

¹ *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 170, ECHR 2004 II.

² *Saadi v. the United Kingdom* [GC], no. 13229/03, §67, 29 January 2008.

³ *Stafford v. the United Kingdom* [GC], no. 46295/99, §63, ECHR 2002, *Kafkaris v. Cyprus* [GC], no. 21906/04, §116, ECHR 2008.

აკისრებს თავისუფლების აღკვეთას, ეს უნდა იყოს საკმარისად დასაშვები, ზედმინევით ზუსტი და განჭვრეტადი ამის გამოსაყენებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სახის თვითნებობა.⁴ ამგვარად, კონსტიტუციით დადგენილი „კანონიერების“ სტანდარტი საჭიროებს, რომ ყველა კანონი იყოს ზედმინევით ზუსტი, რათა პირს უფლება ჰქონდეს – საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევისა და კონსულტაციების გათვალისწინებით – განჭვრიტოს შედეგები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მოცემული ღონისძიება, იმ ხარისხით, რაც გონივრულია მოცემულ გარემოებებში.⁵

თუმცა, მხოლოდ ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვა არ არის საკმარისი. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი დამატებით საჭიროებს, რომ თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვისას ინდივიდი დაცული იყოს ყოველგვარი თვითნებობისაგან.⁶ ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ თვითნებური დაკავება არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებს. ცნება „თვითნებობა“ კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილში სცდება ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებს, ისე, რომ თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია დაშვებული იყოს შიდა კანონმდებლობით, მაგრამ კონვენციის მიხედვით კვლავ თვითნებობად ჩაითვალოს და ეწინააღმდეგებოდეს მას. მართალია, სასამართლოს უნინ არ გაუკეთებია გლობალური განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან „თვითნებობად“ კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაგრამ საკვანძო პრინციპები თითოეული ამ კატეგორიის საქმის განხილვისას დადგინდა. ამას გარდა, დაკავება „თვითნებური“ იქნება იმ შემთხვევაში, თუ, მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობისა, ხელისუფლების მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერებას,⁷ ან იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლება უგულებელყოფდა შესაბამისი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას.⁸

ii. ამ პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებთან დაკავშირებით

უპირველესად, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო პასუხი გაეცეს შეკითხვას, ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს საფუძველი გამოეყენებინათ საწინააღმდეგო ზომები საზოგადოებრივი წესრიგის სავარაუდო დარღვევის აღსაკვეთად, ან არსებობდა თუ არა იმის საჭიროება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გაეგრძელებინა მუშაობა ხმაურით გამოწვეული ხელშემშლელი პირობების გარეშე, რომელიც ისმოდა აპლიკანტების მიერ სასამართლო შენობის გარეთ მონყობილი დემონსტრაციის დროს. ამ შემთხვევაში სასწორზე დევს განმცხადებელთა დაკავების კანონიერება. შემდგომში სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა ის, რომ განმცხადებლების დაპატიმრება და მანდატურების მიერ მათი ჩაკეტვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის სამორიგო ოთახში, ისევე როგორც მათი შემდგომი დასჯა დაპატიმრებით, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დააკისრა, წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების განგრძობით დარღვევას. ეს შეიძლება შეფასდეს ორი პერიოდის ინტერვალით – მანამდე და შემდგომ, როცა განმცხადებლები წარუდგინეს მოსამართლეს, რომელმაც სანქცია გასცა მათ დაპატიმრებაზე თავისი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით.

⁴ *Nasrulloev v. Russia*, no.656/06, §71, 11 October 2007, *Mooren v. Germany* [GC], no.11364/03, §76, 9 July 2009.
⁵ *Baranowski v. Poland*, no.28358/95, §52, ECHR 2000 III.
⁶ *Bozano v. France*, 18 December 1986, §54, Series A, no.111.
⁷ *Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, no.37048/04, §53, 13 January 2009; *Bozano*, §59; and *Saadi*, §69.
⁸ *Benham v. the United Kingdom*, 10 June 1996, §47, and *Liu v. Russia*, no.42086/05, §82, 6 December 2007.

რაც შეეხება განმცხადებელთა თავისუფლების აღკვეთის პირველ პერიოდს, სასამართლო მზადაა გაიზიაროს, რომ მას შემდეგ, რაც ისინი დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის ჩადენაში ეჭვმიტანილობის გამო, ეს პრიოდი შესაძლებელია თავსდებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამოწვევის ფარგლებში.⁹ თუმცა, შიდა კანონმდებლობის ხარისხზე დაყრდნობით, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას პატიმრობის სადავო პერიოდის „კანონიერების“ დადგენის მიზნებიდან გამომდინარე (იხილეთ 62-ე პარაგრაფი), სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების დაკავების გარშემო არსებული გარემოებები და დაახლოებით სამი საათის განმავლობაში მათი ჩაკეცვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში, ძალიან ძნელად თავსებადია შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმებთან.

ამგვარად, თუ სასამართლო მიიღებს მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ აპლიკანტები საპატიმროში მოათავსეს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო და მათი პატიმრობა იმ დროისათვის ჯდება ამგვარი ადმინისტრაციული პატიმრობისათვის დადგენილ სამსაათიანი დაკავების ფარგლებში, წარმოიშევა აშკარა პრობლემა სასამართლოს მანდატურების მიერ დაპატიმრების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს მანდატურები არ წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეთაგან იმ პირებს, რომლებიც აღჭურვილები არიან უფლებით განახორციელონ ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პატიმრობა.

მეორე მხრივ, როგორც ეს აპლიკანტთა დაკავების სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან ჩანს, მათი დაპატიმრება უკავშირდებოდა სასამართლოების შესახებ კანონის 76(3) §1 მუხლს, კონკრეტულად კი (f) ქვეპუნქტს, რომელიც მანდატურებს უფლებას აძლევს დააპატიმრონ პირი(პირები), რომლებიც ეჭვმიტანილები არიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოსადმი უპატივცემულობაში. თუმცა, ეს ნორმა, რომელიც ადგენს, რომ მანდატურებს შეუძლიათ განახორციელონ დაპატიმრება „პოლიციისათვის [ეჭვმიტანილის] გადაცემის მიზნით“, არ უზრუნველყოფს დროის რაიმე დადგენილ სავალდებულო ვადებს, რა დროშიც დაპატიმრებული პირი მოთავსებული იქნება საპატიმროში სასამართლო ხელისუფალის წინაშე წარდგენამდე. შესაბამისად, ეს დიდწილად აუხსნელი რჩება, რომლის საფუძველზეც ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმის გათვალისწინებით, სასამართლოს მანდატურებმა თავის თავს მიაჩნეს იმის უფლება, რომ განმცხადებლები ჩაკეცვით სამი საათის განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს იყო მხოლოდ განმცხადებლების დაპატიმრების შემდეგ – 2006 წლის 29 ივნისს, რომელიც საქართველოს კანონმდებელმა საბოლოოდ დააფიქსირა 2006 წლის 29 დეკემბერს, მაქსიმალურად დასაშვები პერიოდი იმ პირთა პატიმრობისათვის, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან შესაბამისი დარღვევის ჩადენაში.

სასამართლო კიდევ ერთ საკითხზე გამოთქვამს წუხილს, კერძოდ, არც სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1 (f)-ე მუხლითა (რომელიც განმცხადებლების დაპატიმრების საფუძველი გახდა) და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ით (რომელიც განმცხადებელთა ბრალის შესაბამისი დადასტურების მიზეზი გახდა) არ არის საკმარისად ნათლად ახსნილი, სამართლებრივად შესაძლებელი იყო თუ არა აპლიკანტთა დაპატიმრება სასამართლოს შენობის გარეთ. ამ ნორმებით შეზღუდულია ტერიტორიული არეალი – როგორც სასამართლოს მანდატურების მიერ დაკავების უფლებამოსილებაზე, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და

⁹ *Makhmudov v. Russia*, no.35082/04, §80 and 81, 26 July 2007, and *Schwabe and M.G.*, cited above, §70.

სასამართლოს შიგნით უპატივცემულო დამოკიდებულების გამოხატვაზე. ამგვარად, სასამართლოს გააჩნია გარკვეული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ შესაბამის დროში და ხარისხში, თუ რა უფრო გონივრული იქნებოდა არსებულ სიტუაციაში, და რომ მათ მიერ განხორციელებული პიკეტირება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინ გამოინვევდა მათ დაკავებასა და დაპატიმრებას, ზემოხსენებული ნორმების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს ჯეროვნად მაღალი ხარისხის, განსაკუთრებით კი მისი გამოყენებისას ნორმები უნდა იყოს განჭვრეტადი, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი რისკი.¹⁰

რაც შეეხება აპლიკანტათვის თავისუფლების შეზღუდვის მეორე პერიოდს, მათი პატიმრობა 30 დღის განმავლობაში, რომელიც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დააკისრა თავისი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და სასამართლოსადმი შეურაცხყოფის მიყენების სახით ჩადენილი დანაშაულის სასჯელი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1) მუხლის დარღვევის გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პერიოდი შესაძლებელია თავსდებოდეს კონვენციის მე-5 §1(a) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების ფარგლებში.¹¹ ამის მიუხედავად, სასამართლო თავმჯდომარემ საერთოდ არ განიხილა მთავარი სამართლებრივი საკითხი: ჰქონდა თუ არა სასამართლოს მანდატურის სამსახურს უფლებამოსილება, დაეპატიმრებინა განმცხადებლები სასამართლოს შენობის გარეთ და იყო თუ არა განმცხადებლების მიერ ქუჩაში ჩადენილი ქმედებები იმის მიზეზი, რომ ლეგიტიმური საფუძველი ყოფილიყო არსებული ადგილობრივი კანონმდებლობით მათზე პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. მისი (მოსამართლის) დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ სასამართლოს მანდატურების ახსნა-განმარტებებს და მსგავსად ანალოგიური განმარტებებისა, მოსამართლის დასაბუთებას არ ახლავს დეტალური ახსნა და გასაოცრად მოკლეა. მოსამართლის დასკვნას საფუძვლად დაედო ტყუილი მტკიცებები იმაზე, რომ თითქოს განმცხადებლებმა აღნიშნული ქმედებები „ჩაიდინეს სასამართლოს შენობის შიგნით, მის შესასვლელში“. ამგვარად, აშკარად ჩანს, რომ მოსამართლემ გამოიჩინა დაუდევრობა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი განხილვისას განმცხადებლების დაკავებასთან დაკავშირებით და ისე გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, რაც ღიად ეწინააღმდეგება კონვენციით უზრუნველყოფილი თვითნებობის წინააღმდეგ ელემენტარულ პროცედურულ ნორმებს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლების დაკავება დაახლოებით სამი საათის განმავლობაში არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც აშკარა და წინასწარ სავარაუდო ადგილობრივ ნორმებზე დაფუძნებული, მაშინ, როცა შემდგომი პატიმრობის დაკისრება 30 დღის განმავლობაში გამოტანილ იქნა სრულიად ზედაპირული ფორმით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ყოველგვარი აუცილებელი კეთილი ნების გამოხატულების გარეშე.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

¹⁰ *M. v. Germany*, no.19359/04, §104, ECHR 2009.

¹¹ *Schwabe and M.G.*, §74 and 83, and *M. v. Germany*, §87.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება

(a) მხარეთა არგუმენტები

აღიარებს რა კონვენციის მე-6 (I) მუხლის სისხლის სამართლის ნაწილის გამოყენებას სადავო განხილვებთან მიმართებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა მივიჩნიოთ დარღვეულად თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ზეპირი განხილვის გარეშე საქმის განხილვის გამო, რამდენადაც ამ ფაქტმა დააზარალა როგორც სასამართლოს მანდატურების, ასევე განმცხადებლების თანასწორობა. მთავრობა შემდგომში ამტკიცებს, რომ განმცხადებლებს კვლავაც შეეძლოთ შეეტანათ წერილობითი შენიშვნები სასამართლოს მანდატურების ახსნა-განმარტებებზე, ვიდრე თავმჯდომარე გამოიტანდა შესაბამის გადაწყვეტილებას. მთავრობამ ასევე აღნიშნა ისიც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება შეიცავდა რელევანტურ და ჯეროვან დასაბუთებას, რომ დამნაშავედ ცნობილიყვნენ აპლიკანტები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის მიხედვით, რასაც შემდგომში სრულად დაუჭირა მხარი უზენაესმა სასამართლომ.

აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ მათ საერთოდ არ ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება სასამართლოს მანდატურების ახსნა-განმარტებებზე – არც ზეპირად და არც წერილობით, თუმცა ეს ახსნა-განმარტებები გახდა შემდგომში მათი დასჯის ერთადერთი საფუძველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. მათ გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ თავმჯდომარე თავისი შუამდგომლობით არ შეეცადა გაერკვია, ან გადაემოწმებინა სასამართლოს მანდატურების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. აპლიკანტებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ისინი წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ თავმჯდომარე აპირებდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ, ადგილზევე გამოტანას, რის შესახებაც მათთვის ცნობილი გახდა *ex post factum* წინასწარი დაკავების ცენტრში და, შესაბამისად, ვერ შეძლეს თავიანთი დაცვის არგუმენტების წარდგენა. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება იყო ძალიან ზოგადი ფორმულირების და არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ ქმედებებზე დაყრდნობილ ფაქტებს, ისევე როგორც არ იყო წარმოდგენილი დეტალური დასაბუთება.

მხარეებმა ასევე გაცვალეს არგუმენტები აპლიკანტების განაცხადთან დაკავშირებით კონვენციის მე-6 §3(c) მუხლის მიხედვით, რომელიც ეხებოდა მათი საქმის განხილვისას პირადად ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაცვის შესაძლებლობების არქონას.

(b) სასამართლოს შეფასება

უპირველესად, სასამართლო ადასტურებს, რომ განმცხადებლებისათვის დაკისრებული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ბუნებიდან გამომდინარე, სადავო განხილვები, რასაკვირველია, წარმოშობს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სისხლის-სამართლებრივი ნაწილის გამოყენებასაც. ეს საკითხი მთავრობის წარმომადგენლებს არ გაუპროტესტებიათ.¹²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის ფორმა, როგორითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ განიხილა აპლიკანტთა საქმე სისხლის სამართლის 208 §7მუხ-

¹² see, *Menesheva*, §94-98.

ლის საფუძველზე – განცალკევებით წარმართული უგულისყურო პროცედურები, რომლებიც ეფუძნებოდა მხოლოდ სასამართლოს მანდატურების წერილობით ჩვენებებს და განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა სასამართლოს თავმჯდომარეს მათი ჩვენებებიც მოესმინა – წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებით გათვალისწინებული ელემენტარული პროცედურული მოთხოვნების სრულ უგულებელყოფას, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაუცველობას, ადეკვატური დროისა და დაცვის მოსამზადებლად საჭირო საშუალებების არქონას, კვალიფიციური სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის არარსებობას და ა.შ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში გადმოცემული დასკვნები, უბრალოდ, წარმოადგენდა სასამართლოს მანდატურების მიერ წარმოდგენილი ბრალდებების გამეორებას და არ იყო გამოტანილი ობიექტური და გულმოდგინებით წარმართული სამართლებრივი განხილვების შედეგად ინციდენტის კონკრეტული გარემოებების შესწავლისას.¹³ სასამართლოს შეშფოთების საგანს ისიც წარმოადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განმცხადებლების დაპატიმრებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე მან გამოიყენა ისეთი ტერმინები, რომლებითაც იგი აშკარად აჭარბებდა ფაქტების შეფასებისას და გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ აპლიკანტები მანამადე იყვნენ ბრალეულნი, ვიდრე მათი ბრალეულობა დადგინდებოდა კანონით დადგენილი წესით.¹⁴

ზემოხსენებული მოსაზრებები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ წარმოდგენილ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი მე-6 § 3 (c) მუხლთან ერთად.

3. აზრის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

(ა) მხარეთა არგუმენტები

აღიარებს რა იმას, რომ განმცხადებელთა მიმართ დაშვებულ იქნა კონვენციის მე-10 §1 და მე-11 §1 მუხლებით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა, მთავრობა დაობს, რომ აღნიშნული ჩარევა დასაბუთებული და გამართლებული იყო ამავე მუხლების მე-2 ნაწილით. კერძოდ, ჩარევა ეფუძნებოდა სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1(f)-ე მუხლსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლს. ეს ნორმები სრულად აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის, გონივრულობის და სიზუსტის მოთხოვნებს. ამას გარდა, ჩარევა ემსახურებოდა მართლმსაჯულების ავტორიტეტის განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ აღნიშნა, რომ 2006 წელს ქვეყანაში მიმდინარეობდა სასამართლო სისტემის რეფორმა, რა დროსაც განსაკუთრებით საჭირო იყო სასამართლო ხელისუფლების დაცვა დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან.

რაც შეეხება აპლიკანტების მხრიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში დემონსტრაციის მსვლელობისას შეურაცხმყოფელი ფრაზების წარმოთქმას, მთავრობა მიიჩნევს, რომ ის გამოთქმები, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა მინისტრის „ნაბიჭვრად“ მოხსენიება და სასამართლოსადმი მოთხოვნების წაყენება, რომ არ და-

¹³ see *Menesheva*, §99; *Ziliberg v. Moldova*, no.61821/00, §§40-42, 1 February 2005; *Hakobyan and Others*, §98.

¹⁴ *Buhmer v. Germany*, no.37568/97, §§54-56, 3 October 2002, *Neždek v. Slovakia*, no.65559/01, §§88-89, 27 February 2007.

მორჩილებოდნენ და არ გამხდარიყვნენ ამ უკანასკნელის „კრიმინალური ქმედებების“ მონაწილე, აჭარბებდა ნორმალური კრიტიკის ზღვარს და მიზნად ისახავდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობის საჯაროდ დამცირებას. რაც შეეხება მოთხოვნების პროპორციულობას, მთავრობამ აღნიშნა, რომ აპლიკანტებისათვის დაკისრებული სასჯელი – 30-დღიანი პატიმრობა – იყო ადეკვატური სასჯელი, აპლიკანტების ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შეფასდა ის ფაქტი, რომ განმცხადებლები, სავარაუდოდ, არ დაემორჩილნენ სასამართლოს მანდატურების პირველ გაფრთხილებებს, შეეწყვიტათ ასეთი მიუღებელი ქმედებები. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ასევე აცნობა სასამართლოს, რომ 2006 წლის 29 ივნისს მომხდარი ინციდენტი ზოგიერთი განმცხადებლისათვის არ იყო ამგვარი არასწორი ქმედებების ჩადენის პირველი შემთხვევა და რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე განმცხადებლები უკვე იყვნენ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულნი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ანალოგიური ქუჩის დემონსტრაციების გამართვის დროს.

აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ, უპირველესად, დემონსტრაციაში ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“, რადგან მანდატურებს არ ჰქონდათ უფლებამოსილება, სასამართლოების შესახებ აქტის 76(3) §1(f)-ე მუხლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლის მიხედვით. ეს ორი სამართლებრივი ნორმა, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ ჩარევისას, ემსახურება სასამართლოს შენობის გარეთ მომხდარი დანაშაულის აღკვეთას. შედეგად, აპლიკანტებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ, თუ რა ფარგლებში შეეძლოთ მათ თავიანთი გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების განხორციელება ისე, რომ არ მომხდარიყო მათი თავისუფლების აღკვეთა. აპლიკანტები შემდგომში ჩიოდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ თავის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში ვერ წარმოადგინა შესაბამისი და ჯეროვანი დასაბუთება ჩარევის საჭიროებასთან დაკავშირებით.

აპლიკანტებმა აღნიშნეს, რომ 2006 წლის 29 ივნისს გამართული დემონსტრაციისას მათ მიერ წარმოთქმული გამონათქვამები ძირითადად წარმოადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრის პოლიტიკურ კრიტიკას და ემსახურებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წახალისების (მხარდაჭერის) საერთო მიზანს, რათა სამართლიანად განეხილა ბატონი შალვა რამიშვილის ცნობილი სისხლის სამართლის საქმე. ერთადერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა, რომელსაც ისინი წარმოთქვამდნენ, იყო „ნაბიჭვარი“, რაც ცალსახად მიმართული იყო შინაგან საქმეთა მინისტრისადმი და არა – სასამართლოსადმი. განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, რომ ისინი წარმოადგენდნენ ადამიანის უფლებათა დამცველ ოფიციალურ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მიზნებშიც შედიოდა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და გმობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ყოველგვარ ზენოლას სასამართლოზე. შესაბამისად, მათ ჰქონდათ უფლება, წვლილი შეეტანათ საქმეზე მიმდინარე საჯარო დებატებში, რომელიც საზოგადოების უდიდეს ყურადღებას იპყრობდა და მხოლოდ უაღრესად დამაჯერებელი არგუმენტებით შეიძლებოდა გამართლებულიყო მათი პოლიტიკური მოსაზრებების შეზღუდვა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებში შედიოდა. აპლიკანტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათთვის დაკისრებული 30-დღიანი სასჯელი იყო არაპროპორციული.

(b) სასამართლოს შეფასება**i. აპლიკანტების საჩივრების კუთხით**

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტთა საჩივრები კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევაზე ეფუძნება იმ განცხადებებს, რომ მათი დაკავებისა და დაპატიმრების მიზანი იყო 2006 წლის 29 ივნისს სააპელაციო სასამართლოს შენობის გარეთ დემონსტრაციის აღკვეთა. ასეთ გარემოებებში კონვენციის მე-11 მუხლი უნდა განვიხილოთ როგორც *lex specialis* და არ არის აუცილებელი მისი მე-10 მუხლთან ერთად განხილვა. მეორე მხრივ, მიუხედავად კონვენციის მე-11 მუხლის ავტონომიურობისა და მისი გამოყენების კონკრეტული სფეროს არსებობისა, მოცემულ საქმეზე, ასევე შეიძლება მოიაზრებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის პრინციპებთან ერთად.¹⁵

ii. კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ შეკრების თავისუფლება მოიცავს როგორც პირადულ შეკრებებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეკრებას, ასევე სტატიკურ მიტინგებსა და დემონსტრაციებს.¹⁶ კონვენციის მე-11 მუხლის II ნაწილში აღნიშნული ტერმინი „აკრძალვები“ უნდა განიმარტოს შემდეგი ფორმით: ეს არის ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ორივე შემთხვევაში – საჯარო შეკრებამდე და საჯარო შეკრების მსვლელობისას, და ისიც, რომ ეს ღონისძიება არის სადამსჯელო ზომა, რომელიც გამოიყენება დემონსტრაციის შემდგომ.¹⁷

სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებმა დემონსტრაცია გამართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის წინ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი დააპატიმრეს და დასაჯეს პატიმრობით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო. მათი სამართლებრივი დევნა, როგორც ეს მთავრობის მხარემ აღიარა, წარმოადგენდა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში ჩარევას. ამიტომ უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა ჩარევა „კანონით განსაზღვრული“, როგორც ეს კონვენციის მე-11 მუხლის II ნაწილშია ასახული, როგორც „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“.

რაც შეეხება „კანონიერების“ მოთხოვნებს, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სასამართლოების შესახებ აქტის 208 §6(1)-ე მუხლი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 §6(1)-ე მუხლი, რომლებიც საფუძვლად დაედო განმცხადებლების დაკავებას და პატიმრობით დასჯას, პირდაპირ და ამის პარალელურად ამტკიცებდნენ, რომ ქმედებები, რომლებიც, სავარაუდოდ, წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოსადმი უპატივცემულობას, შეიძლებოდა აღკვეთილიყო სასამართლოს მანდატურების მიერ და დასჯილიყვნენ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, თუკი ეს ქმედებები განხორციელდებოდა სასამართლოს შენობის შიგნით. რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებას სასამართლოსადმი უპატივცემულობის თაობაზე, სასამართლო შემდგომში ამას თან ურთავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, რომელიც ახასიათებს აღნიშნულს, როგორც ბუნდოვანს. ამგვარად, სასამართლოს, კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნის მსგავსად, ძალიან სერიოზული ეჭვი გააჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ დასაბუთებულად ევარაუდათ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის გარეთ, ეზოში, მათ მიერ მოწყობილ დემონსტრაციას ოდესმე შეეძლოთ თუ არა გამოეწვია პასუხისმგებლობა, რომელიც ფორმულირებულია შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზე-

¹⁵ see, for instance, *Ezelin v. France*, 26 April 1991, §§35 and 37, Series A, no. 202.

¹⁶ see *Djavit An v. Turkey*, no. 20652/92, §56, ECHR 2003 III.

¹⁷ see *Ezelin*, cited above, §39, and *Galstyan*, cited above, §101.

მოსხენებული ნორმებით.¹⁸ თუმცა, უფრო თვალში საცემი პრობლემის გათვალისწინებით, რომელიც წამოიჭრა დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად შეეზღუდა თავისი დასკვნები კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით მხოლოდ ჩარევის კანონიერებასთან მიმართებით.¹⁹

სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს მთავრობის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ სადავო ჩარევა ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს: არეულობის პრევენცია და სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენელთა დაცვა. ის, რაც სასამართლოს ხელისუფლების დაცვასთან დაკავშირებით დგება რისკის ქვეშ, არის ნდობა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული სასამართლოები უნდა ამკვიდრებდნენ ფართო საზოგადოებაში.²⁰ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი შეფასება ასევე უნდა ეხებოდეს იმ საკითხს, არის თუ არა ასეთი ღონისძიება აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეთანხმება რა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სასამართლო ამასთან დაკავშირებით კვლავ იმეორებს, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლება, ისევე როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლება, არის ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი. შესაბამისად, მხოლოდ რეალურად დამაჯერებელი და ყველაზე მეტად დასაბუთებული გარემოებით უნდა იყოს განპირობებული ამ უფლებაში ჩარევა.²¹

სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ ხუთი პიროვნება, დაშალეს დემონსტრაციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში; ამ უაღრესად მოკლე პერიოდში განმცხადებლებმა შეძლეს მხოლოდ რამდენიმე ლოზუნგის წარმოთქმა. ეს ფაქტები უკვე ეჭვქვეშ აყენებს მთავრობის მხარის მტკიცებას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მასშტაბურობაზე.²² სასამართლოს აზრით, არც ლოზუნგების შინაარსი იყო სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატველი. მართალია, ლოზუნგების უმრავლესობა კრიტიკულ მოსაზრებებს შეიცავდა, რომელთა მეშვეობითაც, განმცხადებლები მიმართავდნენ გადაჭარბებულ პოლიტიკურ და უხეშ სიტყვებს, რაც ეხებოდა საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ წუხილს – მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას; განმცხადებლების მიმართეები თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ არ იყო ძალადობრივი და მათ გამოსვლებში არ შეინიშნებოდა დემოკრატიული პრინციპების უარყოფა. სასამართლო ამასთან დაკავშირებით კვლავ იმეორებს, რომ მართლმსაჯულება, ისევე როგორც ყველა სხვა საჯარო ინსტიტუტი, არ შეიძლება დაცული იყოს კრიტიკისაგან, თუმცა შოკისმომგვრელი და მიუღებელი შეიძლება იყოს ზოგიერთი მოსაზრება ან სიტყვები.²³

სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ ერთი აპლიკანტის მიერ გაჟღერდა ერთადერთი შეურაცხმყოფელი ფრაზა მათი ხანმოკლე პიკეტირებისას, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით იყო გამოთქმული, როგორც „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი“. ამის მიუხედავად, სასამართლოს არ ესმის, თუ რატომ იყო ეს ფრაზა სასამართლოსათვის შეურაცხმყოფელი, რადგან იგი არ ეკუთვნოდა სასამართლოს არც ერთ წარმომადგენელს. ნებისმიერ შემთხვევაში დემოკრატიულ საზოგადოებაში ნაჩვენები უნდა იყოს უფრო მეტი ტოლერანტობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც კრიტიკულები არიან საჯარო პირების მიმართ, თუნდაც მათი მოსაზრებები გამოხატული იყოს არაკორექ-

¹⁸ compare, *mutatis mutandis*, with *Altup Taner Akzam v. Turkey*, no.27520/07, §§92-95, 25 October 2011, and also *Amann v. Switzerland* [GC], no.27798/95, §§78-80, ECHR 2000 II.

¹⁹ compare with *Dink v. Turkey*, nos.2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 and 7124/09, §116, 14 September 2010, and *Hyde Park and Others v. Moldova (nos.5 and 6)*, nos.6991/08 and 15084/08, §48, 14 September 2010.

²⁰ see, *mutatis mutandis*, among other authorities, *Fey v. Austria*, 24 February 1993, §30, Series A, no. 255 A.

²¹ see *Djavit An*, cited above, § 56, and *Ouranio Toxo and Others v. Greece*, no. 74989/01, § 36, ECHR 2005 X .

²² compare with *Sergey Kuznetsov v. Russia*, no.10877/04, §44, 23 October 2008.

²³ see *Sergey Kuznetsov*, cited above, §45, and *Skaika v. Poland*, no.43425/98, §34, 27 May 2003.

ტულად და პროვოკაციულად, ისე, როგორც ეს ამ საქმეშია წარმოდგენილი.²⁴

ამას გარდა, სასამართლოსათვის განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს ისიც, რომ თავისი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობები და შეექმნა დამაჯერებელი დასაბუთება, რითიც გაამართლებდა დემონსტრაციის დაშლას და განმცხადებლების დასჯას მათი დაპატიმრებით, უმეტესწილად გამოიყენა ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი დარღვევების კვალიფიკაციის ზოგადი და აბსტრაქტული ტერმინები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოსადმი შეურაცხყოფასთან მიმართებით. მან არ განმარტა, აღნიშნული ინციდენტის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, თუ კონკრეტულად რა ფორმით შეეშალა ხელი მართლმსაჯულების გახორციელებას და განმცხადებლების მიერ წარმოთქმული ფრაზებიდან კონკრეტულად რომელი იყო განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი სასამართლოსადმი; ერთადერთი საკითხი, რასაც ის ეყრდნობოდა თავის გადაწყვეტილებაში – განცხადება, რომ აპლიკანტები დემონსტრაციას მართავდნენ „სასამართლოს შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შესასვლელში“ – არ არის მართალი და შესაბამისად, მიუღებელი დასაბუთებაა, კონვენციის მე-11 მუხლის II ნაწილიდან გამომდინარე.²⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპლიკანტების თავისუფლად შეკრების უფლებების შეზღუდვა არ იყო დასაბუთებული შესაბამისი და ჯეროვანი საფუძვლებით.²⁶

და ბოლოს, სასამართლო შეძრულია შემდეგი ფაქტით: მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტთა მხრიდან არ არსებობდა რაიმე ძალადობრივი ქმედებები მათ მიერ გამართული პიკეტირებისას, მათ მიმართ მაინც იქნა გამოყენებული მკაცრი სასჯელი, კერძოდ კი 30 დღით თავისუფლების შეზღუდვა (compare, for instance, *Galstyan*, §116), რომელშიც სასამართლომ სამდღიანი თავისუფლების შეზღუდვა ქუჩის მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო მიიჩნია შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ძირითადი არსის დარღვევად). მოცემულ საქმეზე ასეთი მკაცრი სასჯელის დაუსაბუთებლობა შემდგომში უფრო მეტად გაიზარდა, როდესაც შეფასდა ზემოხსენებულ 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში შესაბამისი და ჯეროვანი საფუძვლების არარსებობა.

ზემოხსენებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს, ემოქმედათ ჯეროვანი ტოლერანტობით და ვერ გამოხატეს კეთილი ნება აპლიკანტების შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების მიმართ, ვერ შეძლეს წარმოედგინათ შესაბამისი და ჯეროვანი არგუმენტები ჩარევისა და დაკისრებული სანქციის დასაბუთებლად, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იყო არაპროპორციული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

II. კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის სავარაუდო დარღვევა

განმცხადებლები შემდგომ ჩივიან, რომ მათ არ მიეცათ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მათ წინააღმდეგ გამოტანილი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის დარღვევას.

²⁴ see *Hyde Park and Others (nos. 5 and 6)*, §43, and *Nilsen and Johnsen v. Norway* [GC], no.23118/93, §§52 and 53, ECHR 1999 VIII.

²⁵ see, *Christian Democratic People's Party v. Moldova*, no.28793/02, §70, ECHR 2006 II.

²⁶ compare with *Sergey Kuznetsov*, §§40 and 45; and *The Sunday Times v. the United Kingdom (no.1)*, 26 April 1979, §§63 and 64, Series A, no.30.

მთავრობამ აღნიშნა, რომ არ იყო დარღვეული სადავო ნორმა, რადგან უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლის თანახმად, ჯეროვნად განიხილა განმცხადებლების 2006 წლის 21 ივლისის საჩივარი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების თაობაზე.

განმცხადებლები არ დაეთანხმნენ და დაობდნენ იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლის თანახმად, მათი საჩივრის განხილვა არ იყო ეფექტური, რადგან ეს დამოკიდებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების დისკრეციულ უფლებამოსილებაზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საქმე იდენტიურია სასამართლოს მიერ წინათ განხილული ორი მნიშვნელოვანი საქმისა – *Gurepka v. Ukraine* (no. 61406/00, §§ 59-61, 6 September 2005) and *Galstyan* (cited above, §§ 124-127). აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომ განმცხადებლების საჩივარი რეალურად განიხილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის საფუძველზე, განსაკუთრებული განხილვის პროცედურას შეიცავდა აღნიშნული ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმა, რომელიც დამოკიდებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დისკრეციულ უფლებამოსილებაზე და არ ჰქონდა ნათლად განსაზღვრული პროცედურები ან ვადები, რომელიც წარმოადგენდა კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის მიზნებისათვის არაეფექტურ დაცვას. ამას გარდა, დარღვევები, რომელთა გამოც განმცხადებლები 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მსჯავრდებულად ცნო სასამართლომ, რასაც შედეგად მკაცრი სასჯელი მოჰყვა, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „უმნიშვნელო“ და ამგვარად ხვდება შესაბამისი გამონაკლისის ფარგლებში, რომელსაც მოიცავს აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილი (*ibid.*).

ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს, რომ განაცხადები კონვენციის 5 §1, 6 §§1 და 3 (c) მუხლის, მე-10 და მე-11 მუხლების და მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით უნდა გამოცხადდეს დასაშვებად, ხოლო განაცხადების დანარჩენი ნაწილი – დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 5 §1 მუხლი;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 6 §1 მუხლი 6 §3(c) მუხლთან ერთობლივად;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი;
5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლი;
6. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი განაცხადის ცალკე განხილვა, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით;
7. ერთსულოვნად ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლებს უნდა გადაუხადოს:
 - (i) EUR 6,000 (ექვსი ათასი ევრო) – თითოეული აპლიკანტისათვის, პლუს ნებისმიერი გადასახადი, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;
 - (ii) EUR 5,957 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი ევრო) – ერთობლივად, ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №18996/06

2008 წლის 18 ივნისს გიორგი მიქიაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 9 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№18996/06) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

A. აპლიკანტის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და დაპატიმრებისას მის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობა

აპლიკანტი დაიბადა 1984 წელს თბილისში. პოლიციის შესაბამისი ოქმების თანახმად, აპლიკანტი იყო ოდნავ ნასვამი, როდესაც ის დააპატიმრეს 2005 წლის 29 ოქტომბერს და მან ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის ოფიცრებს დაკავებისას. შედეგად, მას მიაყენეს მსუბუქი დაზიანებები, ოდნავ გაუსკდა ტუჩი და მცირე დაჟეჟილობა აღენიშნებოდა შუბლზე.

განმცხადებელს დაკავების შემდეგ, დროებითი დაკავების იზოლატორში მოთავსებისას ჩაუტარდა გარეგანი დათვალიერება. მორიგე ექიმმა შეადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, აპლიკანტს აღენიშნებოდა დიდი ჰემატომა შუბლის მარცხენა მხარეს, დიდი ჰემატომა – მარჯვენა საფერთქელთან, დიდი ჰემატომა – მარჯვენა თავთან ახლოს და ლოყაზე, სისხლიანი ნახეთქები – ტუჩზე, ფართო ჰემატომა – ყელისა და კისრის არეში და მთელ ზურგზე.

2005 წლის 30 ოქტომბერს აპლიკანტს ბრალად დასდეს პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევა და მათთვის მოვალეობების შესრულებისას ხელის შეშლა, რომელიც ჩაიდინა როგორც ჯგუფის წევრმა წინასწარი განზრახვით.

2005 წლის 30 ოქტომბერს გამოძიებელმა, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, სასამართლოს მიმართა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით. აღნიშნული დასაბუთებული იყო იმით, რომ განმცხადებელს შეეძლო მიმალვოდა გამოძიებას და ასევე, ხელი შეეშალა გამოძიებისათვის.

2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი უთხრა აპლიკანტს არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენებაზე და მიუსაჯა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმით, რომ განმცხადებელს შეეძლო თვითმხილველებზე ზეგავლენის მოხდენა და სიმართლის დადგენაში შეეშალა ხელი გამოძიებისათვის. ამას გარდა, აპლიკანტს შეეძლო თავი აერიდებინა სასამართლოსათვის მოსალოდნელი სასჯელის გამო, რაც ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ იყო მოსალოდნელი. მომდევნო ეტაპზე კი წინასწარი პატიმრობის ვადა სასამართლომ კიდევ გაუხანგრძლივა.

დაკავებისას განმცხადებელს მიაყენეს ფიზიკური დაზიანება, რაც გამომწვეული იყო მის მიერ პოლიციელთათვის წინააღმდეგობის განწევით. მისი ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა და სამედიცინო დასკვნა გახდა სადავო დაცვის მხარესა და გამოძიებლებს შორის. ეს უკანასკნელნი არ იზიარებდნენ ადვოკატის მტკიცებებს იმის თა-

ობაზე, რომ განმცხადებელს ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს როგორც დაკავებისას, ასევე – წინასწარი დაკავების იზოლატორში.

ამას გარდა, განმცხადებლის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ზემდგომმა სასამართლო ინსტანციებმაც დატოვეს ძალაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მიმდინარეობის არც ერთ ეტაპზე არ იყო გაზიარებული განმცხადებლისა და მისი ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ამსახველი ფოტოები. გამომძიებლები თავის მხრივ ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული დაზიანებები განმცხადებელს მხოლოდ დაკავებისას განუვითარდა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმებოდა დაცვის მხარე. განმცხადებლის ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ასევე ასაჩივრებდა იმას, რომ გამომძიებლებმა უარი უთხრეს მისი დაცვის ქვეშ მყოფს სამედიცინო შემოწმების გავლაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი არ გაიზიარა, თუმცა მოგვიანებით მოსამართლემ დაავალა საგამომძიებო სამსახურებს, რომ სამედიცინო ექსპერტს შეემოწმებინა განმცხადებლის ფიზიკური მდგომარეობა. ექსპერტმა დაადგინა, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული დაზიანებები შესაძლოა დათარიღდეს დაკავების დღით, რასაც განმცხადებელიც ამტკიცებდა.

2006 წლის 21 ივნისს აპლიკანტს, სავარაუდოდ, ისევ სცემეს. ინციდენტი პირველი ინსტანციის სასამართლოს შენობის დამხმარე სათავსში უნდა მომხდარიყო, ვიდრე მას სასამართლო სხდომაზე გაიყვანდნენ. 2006 წლის 22 ივნისს განმცხადებელი ბრალეულად ცნო სასამართლომ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში და მიუსაჯა ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ პოლიციელები, რომლებმაც დაადასტურეს გამომძიებისას მიცემული ჩვენებები.

განმცხადებელმა გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ პატიმრობის პერიოდში მას სცემდნენ თავის, ზურგისა და მუცლის არეში. მომდევნო ორი კვირის მანძილზე მას არ შეეძლო დაძინება, სტანჯავდა ძლიერი თავის ტკივილები და უცნაურად იქცეოდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად უგულვებლყო სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, რომელიც აღნიშნავდა, რომ განმცხადებელი იყო ნაცემი. განმცხადებლის აზრით, მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო უზენაესმა სასამართლომ შემდგომი საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე აპლიკანტი ჩიოდა, რომ 2005 წლის 29 ოქტომბერს პოლიციამ მის მიმართ ჩაიდინა სასტიკი მოპყრობა და ასევე, ციხის თანამშრომლებმა 2006 წლის 21 ივნისს და 14-15 აგვისტოს განახორციელეს მის მიმართ სასტიკი მოპყრობა, ხოლო შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი არ წარმართეს განმცხადებლის მიერ არაადამიანური მოპყრობის საფუძველზე შეტანილი საჩივრების დეტალური და ადეკვატური გამოძიება.

2008 წლის 18 ივნისს განმცხადებელი თავის დამატებით საჩივარში ჩიოდა, რომ მისი პატიმრობის პირობები თბილისის №1 ციხეში 2005 წელს და №5 ციხეში – 2006 წლის 27-29 მაისს იყო არაადეკვატური და მას ასევე უარი ეთქვა აუცილებელ ფსიქიატრიულ მომსახურებაზე თბილისის №1 ციხეში 2005 წელს, ასევე ციხის საავადმყოფოში

და რუსთავის №6 ციხეში – 2006 წლის 16 აგვისტოდან 2007 წლის 31 იანვრამდე. განმცხადებელი კვლავ მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე.

A. დასაშვებობა

1. მხარეთა არგუმენტები

იმ ფაქტზე მითითებით, რომ განმცხადებელს 2006 წლის 21 ივნისამდე არც პროკურატურასა და არც სასამართლოში არ გაუსაჩივრებია მის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობა, მთავრობამ განაცხადა, რომ განაცხადის ეს ნაწილი კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის გამო უნდა ამოირიცხოს შიდასამართლებრივი ზომების ამოუწურაობის გამო. ალტერნატივის სახით, მთავრობამ განაცხადა, რომ აპლიკანტმა ვერ დაიცვა ექვსთვიანი ვადა განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით და ასევე განაცხადი იყო აშკარად დაუსაბუთებელი.

მთავრობამ წინასწარი პრეტენზიები არ წამოაყენა აპლიკანტის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე შეტანილი განაცხადის დასაშვებობის შესახებ.

აპლიკანტი არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტებს შემდეგი მოსაზრებით: მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის გამო სავარაუდო დამრღვევთა წინააღმდეგ წარუმატებელი განხილვების მიზეზით, რომელიც ორ განსხვავებულ ინციდენტს ეხებოდა, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ ეს მცდელობაც უშედეგო იქნებოდა, ანუ 2006 წლის 21 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ საჩივრის შეტანა აზრს მოკლებული იყო.

2. სასამართლოს შეფასება

2006 წლის 21 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებული საჩივრის თაობაზე სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ გამოძიება, რომელსაც უნდა გამოეწვია ციხის თანამშრომლების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, იყო სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება.¹ ამის მიუხედავად, აპლიკანტმა არ შეიტანა საჩივარი, რომელსაც შეეძლო დაეწყო ამგვარი გამოძიება ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილი პირების მიმართ. ამას გარდა, მან სასამართლოში არ შეიტანა საჩივარი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ან პროკურატურაში მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მოკვლევის მიმდინარეობისას, დაპატიმრების დროს მის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამო.

ამგვარად, აპლიკანტმა ვერ ამოწურა ხელმისაწვდომი ადგილობრივი ღონისძიებები და განაცხადის ეს ნაწილი კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც დაუშვებელი, კონვენციის 35-ე (§§1-4) მუხლის შესაბამისად.

სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ აპლიკანტი ასევე ჩიოდა ფსიქიატრიული მკურნალობის არარსებობის და სხვადასხვა ციხეში პატიმრობის ცუდი პირობების გამო. ეს საჩივრები ეხება 2007 წლის 31 იანვრამდე პერიოდს. წარმოდგენილ საქმეში, ამის მიუხედავად, როდესაც აპლიკანტმა მიმართა სასამართლოს 2006 წლის აპრილ-

¹ *Ramishvili and Kokhredze v. Georgia* (dec.), no.1704/06, 26 June 2007, and *Davtian v. Georgia* (dec.), no.73241/01, 6 September 2005.

ში, მან არ ასახა ეს საჩივრები თავის სააპლიკაციო ფორმაში, არც ფაქტების გადმოცემისას და არც კონვენციის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებში. მხოლოდ 2008 წლის 18 ივნისს, როდესაც განმცხადებელმა შეიტანა დამატებითი სააპლიკაციო ფორმა, მან ეს საკითხები პირველად წამოჭრა. შესაბამისად, სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ამ მოთხოვნებს, აპლიკანტის მიერ ექვსთვიანი პერიოდის დაუცველობის გამო.²

და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის საჩივარი მის მიმართ სავარაუდოდ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2005 წლის 29 ოქტომბერსა და 2006 წლის 14-15 აგვისტოს არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 §3(a)-ე მუხლის მიხედვით. სასამართლო აღნიშნავს, რომ განაცხადი არ უნდა იყოს ცნობილი დაუშვებლად რაიმე სხვა საფუძვლით და, შესაბამისად, აცხადებს მას დასაშვებად.

B. ზომები

1. მხარეთა არგუმენტები

მთავრობამ გაასაჩივრა აპლიკანტის ვერსია მოვლენათა განვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ არ განხორციელებულა რაიმე სახის არაადამიანური მოპყრობა, არც მისი დაპატიმრების დღეს – 2005 წლის 29 ოქტომბერს და არც 2006 წლის 14-15 აგვისტოს.

აპლიკანტის პატიმრობასთან დაკავშირებით მთავრობამ აღიარა, რომ პოლიციამ გამოიყენა ძალა, რაც პროვოცირებული იყო თავად აპლიკანტის მიერ. ძალის გამოყენება იყო ადეკვატური და პროპორციული ღონისძიება აპლიკანტის უდისციპლინო და უკანონო საქციელის პასუხად, განსაკუთრებით პოლიციის ოფიცრების კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის გამო. ციხის ადმინისტრაციის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობები ადასტურებდა, რომ აპლიკანტის მიმართ არ განხორციელებულა არაადამიანური მოპყრობა. ამას გარდა, აპლიკანტის მტკიცებები ეწინააღმდეგება შესაბამისი სისხლისსამართლებრივი მოკვლევის დასკვნებს. ამ განხილვების გათვალისწინებით, მთავრობა მიიჩნევს, რომ სავარაუდოდ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე ჩატარებული გამოძიება იყო დეტალური და ჯეროვანი. აპლიკანტს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობები, ეჩივლა მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდოდ არაადამიანურ მოპყრობაზე, მას შემდეგ, რაც იგი გადაიყვანეს დროებითი დაკავების იზოლატორში, ბრალდებულის სახით მისი დაკითხვისას და ასევე 2005 წლის 31 ოქტომბერს გამართული განხილვებისას, მაგრამ მან ეს არ განახორციელა. შესაბამისად, მთავრობამ განმარტა, რომ აპლიკანტს სამედიცინო გამოკვლევა დაგვიანებით იმიტომ ჩაუტარდა, რომ მან ჯეროვნად ვერ შეატყობინა მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება 2006 წლის 14-15 აგვისტოს ინციდენტს, მთავრობამ აპლიკანტის მტკიცებულებები არასწორად მიიჩნია, მიუთითა რა საწინააღმდეგო დასკვნაზე შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. დამატებით შენიშვნებში მათ წარმოადგინეს შესაბამისი საქმის მასალები, რომლის თანახმადაც დადგენილი იყო, რომ აპლიკანტის მიმართ არ განხორციელებულა რაიმე ფორმის ფიზიკური არაადამიანური მოპყრობა ციხის საავადმყოფოში 2006 წლის 14-15 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნები ემყარებოდა 14 მონმის ჩვენებას, პროკურორმა გადაწყვიტა 2008 წლის 7

² *Aliev v. Georgia*, no. 522/04, §§62 and 63, 13 January 2009, and *Belashev v. Russia*, no. 28617/03, § 48, 4 December 2008.

ივლისის შეენყვიტა სამართლებრივი დევნა 2006 წლის 14-15 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. კერძოდ, მთავრობა ცდილობს სასამართლოს ყურადღება მიაპყროს იმ ფაქტს, რომ თავის ჩვენებებში, რომელიც მოწმის სტატუსით მისცა აპლიკანტმა ადგილობრივ სასამართლოს სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვისას, უარყო ციხის საავადმყოფო პერსონალის მიერ მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტი.

აპლიკანტი არ დაეთანხმა მთავრობის მიერ მოვლენათა აღწერას. იგი ამტკიცებდა, რომ მის სხეულზე აღნიშნული მრავლობითი დაზიანებების არსებობის არაადამიანურებელი ახსნა და მისი სერიოზული ფსიქიკური პრობლემები მომდინარეობდა ხელისუფლების წარმომადგენლებიდან. აპლიკანტი განსაკუთრებით აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ მას საერთოდ არ აცნობეს გამომძიებლის 2008 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება 2006 წლის 14-15 აგვისტოს მომხადარი ინციდენტის თაობაზე აღძრული საქმის შეწყვეტაზე. იგი ამტკიცებდა, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ მას ეცნობა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ საქმეზე გაკეთებული შენიშვნები მასაც გადაეგზავნა.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ, როდესაც პიროვნება პოლიციის განყოფილებაში გადაყავთ ჯანმრთელი, ხოლო გათავისუფლებისას აღენიშნება დაზიანებები, სახელმწიფო ვალდებულია, წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა, თუ რა მიზეზით გაუჩნდა ამ ადამიანს ეს დაზიანებები, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში ცალსახად უნდა დაისვას საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.³ იგივე პრინციპი გამოიყენება სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია დაზიანებები, რომლებიც აპლიკანტს დაკავებისას მიაყენეს.⁴

სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავების შემთხვევაში. ამის მიუხედავად, ასეთი ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და არ უნდა იყოს გადაჭარბებული.⁵ თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებით, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით დააკეცეს, რისი საჭიროებაც არ იყო მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ძალიან აკნინებს ადამიანურ ღირსებას და არსებითად წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას.⁶

ამას გარდა, იქ სადაც სადავო საკითხების შესწავლა სრულად ან დიდწილად ხელისუფლების წარმომადგენელთა ექსკლუზიურ ცოდნას ემყარება, როგორც ეს იმ პირთა შემთხვევაში იყო, ვინც საპატიმროზე ცონტროლს ახორციელებდა, წამოიჭრება ძლიერი ვარაუდი პატიმრობაში ყოფნისას მიყენებული დაზიანებების თაობაზე. მართლაც, მტკიცების ტვირთი შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც ხელისუფლებაზე დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების წარმოდგენა.⁷

³ *Selmouni v. France* [GC], no.25803/94, §87, ECHR 1999-V.

⁴ *Klaas v. Germany*, 22 September 1993, §§23-24, Series A no.269, and *Rehbock v. Slovenia*, no.29462/95, §§ 68-78, ECHR 2000-XII.

⁵ *Altay v. Turkey*, no.22279/93, §54, 22 May 2001; and *Ivan Vasilev v. Bulgaria*, no.48130/99, §63, 12.02.2007.

⁶ *Ribitsch v. Austria*, 4 December 1995, §38, Series A no. 336.

⁷ *Salman v. Turkey* [GC], no.21986/93, §100, ECHR 2000 VII.

და ბოლოს, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ იქ, სადაც პიროვნება წამოჭრის სადავო საჩივარს იმის თაობაზე, რომ პოლიციის თანამშრომელთა მიერ მის მიმართ განხორციელდა სერიოზული ფორმის არაადამიანური მოპყრობა, ან სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ უკანონოდ და კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, რომლის ნორმაც იკითხება კონვენციის I მუხლთან ერთად, სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია თავისი „იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს ამ კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ უნდა ჩატარდეს ოფიციალური ეფექტური გამოძიება. ამ გამოძიებას უნდა შეეძლოს პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა. და თუ ეს ასე არაა, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, პრაქტიკაში არაეფექტური იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეები შეძლებდნენ უფლებების ბოროტად გამოყენებას მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ შესაძლო დაუსჯელობით.⁸

(b) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წარმოდგენილი საქმის გარემოებებისათვის

i. აპლიკანტის მიმართ 2005 წლის 29 ოქტომბერს განხორციელებული საჯაროდ არაადამიანური მოპყრობა

(წ) არსებითი საკითხი

სასამართლო აღნიშნავს, უდავოა ის ფაქტი, რომ აპლიკანტს დაზიანებები, რომლებიც სამედიცინო მტკიცებულებებითაა დადასტურებული, ძირითადად მიაღწა ტიმრებისას და პოლიციასთან შემდგომი შეხლა-შემოხლისას. შემდგომში, აპლიკანტისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ხარისხიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს მათ საკმარისად სერიოზულად, რომ საკითხი განიხილოს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. შესაბამისად, მთავრობას აკისრია დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენის ტვირთი, რომ ძალის გამოყენება აპლიკანტის დაკავებისას და შესაბამისად, დროებითი დაკავების საკანში გადაყვანისას არ იყო გადაჭარბებული.⁹

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის განცხადებების გამოკვლევის მიმდინარეობისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი გაფართოებული და დამაჯერებელი ანგარიში აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებების წარმომავლობის თაობაზე ახსნილია იმით, რომ დაზიანებები მას მიაყენეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავებისას და რომ პოლიციის ოფიცრებს არ გამოუყენებიათ ძალა განმცხადებლის წინააღმდეგ დროებითი დაკავების იზოლატორში. ამ განმარტებების გათვალისწინებით, რომელიც თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წამოაყენეს, სასამართლო შეაფასებს, იყო თუ არა გამოყენებული გადამეტებული ძალა აპლიკანტის დაკავებისას, ივარაუდებს რა, რომ ძალის გამოყენებამ გამოიწვია ყველა სადავო დაზიანების მიყენება.

სასამართლო აღნიშნავს მთავრობის არგუმენტს, რომ ძალის გამოყენება იყო კანონიერი აპლიკანტის დაუმორჩილებელი საქციელის გამო. იზიარებს რა, რომ აპლიკანტი იყო მსუბუქად არაფხიზელ მდგომარეობაში, იქცეოდა აგრესიულად და უარი განაცხადა პოლიციის ბრძანების დამორჩილებაზე, სასამართლო მზადაა აღნიშნოს, რომ

⁸ *Assenov and Others v. Bulgaria*, 28 October 1998, §102, *Reports of Judgments and Decisions* 1998 VIII.

⁹ *Zelilof v. Greece*, no.17060/03, §47, 24 May 2007.

ასეთ ვითარებაში პოლიციის ოფიცრებს შეეძლოთ აუცილებელი ძალის გამოყენება შემდგომი არეულობის აღსაკვეთად და აპლიკანტის დასაწყენარებლად. თუმცა, სასამართლოს არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ სამედიცინო შემონმებისას დადგენილი სისხლჩაქცევები კისრისა და მთელი ზურგის არეში იყო ძალიან მძიმე და აპლიკანტს ასევე ჰქონდა თავის მძიმე დაზიანება და ტვინის შერყევა.¹⁰ სასამართლო შემდგომში აღნიშნავს აპლიკანტისა და პოლიციის ოფიცრებისათვის მიყენებული დაზიანებების ხარისხს შორის არსებულ განსხვავებას: პოლიციის ორივე ოფიცერი, ნ.ჯ. და გ.ა., იმავე დღეს გამონერეს საავადმყოფოდან.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს იმას, რომ აპლიკანტის სხეულის სხვადასხვა ადგილას არსებული მრავალი სისხლჩაქცევა და თავის არეში მიყენებული დაზიანება გამონვეული იყო მხოლოდ შემაკავებელი ძალის გამოყენებისას. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია მხარეებს არ წარმოუდგენიათ რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულებაგამოყენებული ძალის ზუსტი ხასიათისა და ხარისხის შესახებ აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებების დონის ზუსტი განსაზღვრისათვის, მაგრამ ერთობლიობაში თუ განვიხილავთ, სამედიცინო მტკიცებულება, აპლიკანტის დაზიანებების ხასიათი, მისი დეტალური და თანმიმდევრული ჩვენებები, ისევე როგორც მთავრობის მხრიდან დამაჯერებელი და დეტალური განმარტების არარსებობა დაზიანებებთან დაკავშირებით, ქმნის ძლიერ არასახარბიელო დასკვნის საფუძველს, რომ ეს დაზიანებები იყო პოლიციის ოფიცრების მიერ გადაჭარბებული და არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგი.¹¹

ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მის არსებით ნაწილში გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო, რომელიც გამხორიელდა აპლიკანტის მიმართ 2005 წლის 29 ოქტომბერს, პოლიციის მიერ მისი დაკავების დროს.

(გ) პროცედურული საკითხი

სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი მოკვლევა პოლიციის ოფიცრების მიერ ძალა-უფლების ბოროტად გამოყენებაზე, რომელიც 2005 წლის 29 ოქტომბერს აპლიკანტის დაკავებისას მოხდა, აღიძრა მხოლოდ 2005 წლის 20 დეკემბერს, ანუ თითქმის ორი თვის დაგვიანებით. ეს სრულიად არ შეესაბამება ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულებას, რადგან არსებობს რისკი იმისა, რომ არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის კვალი დროთა განმავლობაში გაქრეს და ქრილობებიც განიკურნოს.¹²

სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა იყო გადადებული, რაც კიდევ უფრო ართულებს, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია პროკურატურის წარმომადგენელთათვის, რომ ჩაატარონ სავარაუდო ინციდენტის დეტალური გამოძიება. ამასთან დაკავშირებით, გამოძიებამ ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა აპლიკანტისათვის სამედიცინო შემონმების გადადებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებები მოხსენიებული იყო ორ სამედიცინო დასკვნაში, რომელიც გაიცა 2005 წლის 29 და 31 ოქტომბერს ციხეში. ამის მიუხედავად, ეს ანგარიშები შედგა მხოლოდ აპლიკანტის გარეგანი ვიზუალური დათვალეირების საფუძველზე და მათ, მათი შეზღუდული ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიმუშავეს აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებების სავარაუდო მიზეზები. პირველი სიღრმისეული სამედიცინო გამოკვლევა, მიუხედავად მისი მრავალი მოთ-

¹⁰ *Stefan Iliev v. Bulgaria*, no.53121/99, §44, 10.05.2007, and *Spinov v. Ukraine*, no.34331/03, §50, 27.11.2008.

¹¹ *Rehbock*, cited above, § 76; *Kuzmenko v. Russia*, no. 18541/04, §§ 42-43, 21 December 2010; *Butolen v. Slovenia*, no. 41356/08, § 90, 26 April 2012, and, *a contrario*, *Spinov*, cited above, §50.

¹² see, for instance, *Pedureov v. Moldova*, no. 33134/03, §64, 5 January 2010.

ხოვნისა, ჩატარდა ინციდენტიდან მხოლოდ ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. ეს აშკარად ეწინააღმდეგება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენელთა მტკიცებულებებს სასამართლოს წინაშე, რომ დაგვიანებული სამედიცინო შემომწება აიხსნება იმით, რომ აპლიკანტის მიერ მის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის თაობაზე შემოტანილი საჩივარი, არ იყო დროული და ჯეროვანი ფორმით წარმოდგენილი.

მსგავს ლაფსუსებს ადგილი ჰქონდა აპლიკანტის ფსიქიატრიული შემომწების დროსაც, რაც მხოლოდ 2006 წლის მარტში ჩატარდა, მიუხედავად აპლიკანტის ადვოკატის მრავალი მცდელობისა 2005 წლის 26 დეკემბერს.

ამას გარდა, სასამართლო შენიშნავს ზოგიერთ შეუთავსებელ მიდგომას მტკიცებულების შეფასებისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი თავიანთ დასკვნებს ამყარებდნენ ძირითადად ინციდენტში მონაწილე პოლიციელების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. იმის მიუხედავად, რომ აპლიკანტის ჩვენებიდან ამოღებული ამონარიდები შეტანილი იყო გადაწყვეტილებაში სისხლისსამართლებრივი განხილვების არაღძვრის თაობაზე, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიიჩნიეს ჩვენება სანდოდ, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ეს ასახავდა პირად მოსაზრებას და მოიცავდა აპლიკანტის მიერ წამოყენებულ ბრალდებას. თუმცა, ადგილობრივმა სასამართლოებმა გაიზიარეს პოლიციის ოფიცრების ჩვენებები, როგორც სანდო წყარო, ყოველგვარი საკმარისი დამაჯერებელი განმარტებების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ოფიცრების ჩვენებებიც ასევე შესაძლებელია სუბიექტური ყოფილიყო და მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას, სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამო. სასამართლო ამასთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ პოლიციის ოფიცერთა ჩვენებების სანდოობა ასევე უნდა გამოკვლეულიყო, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, პასუხისმგებლები იყვნენ თუ არა თანამდებობის პირები დისციპლინარული თუ სისხლისსამართლის დანაშაულის ჩადენაში.¹³

ზემოხსენებული შეცდომების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ აპლიკანტის მიმართ ჩატარებული გამოძიება არაადამიანური მოპყრობის თაობაზე მისი დაპატიმრებისას, არ იყო დეტალური, ადეკვატური თუ ეფექტური. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პროცედურულ ნაწილში.

ii. აპლიკანტის მიმართ 2006 წლის 14-15 აგვისტოს განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობა

(ბ) არსებითი საკითხი

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა განხილვებმა ვერ გამოავლინეს რაიმე ხელშესახები მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის მიმართ 2006 წლის 14-15 აგვისტოს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა. აპლიკანტის მიერ მოვლენათა ჩამონათვალი არ არის გამყარებული ნებისმიერი იმ მოწმის ჩვენებით, რომელიც დაიკითხა გამოძიების მსვლელობისას. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, რომლებიც განმცხადებელმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე გააკეთა, ეჭვის ქვეშ აყენებს მისი მტკიცებულების მართებულობას. ერთადერთი, როდესაც აპლიკანტმა იჩივლა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, იყო

¹³ *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, no.46317/99, § 99, 23 February 2006, and *Antipenkov v. Russia*, no. 33470/03, § 69, 15 October 2009.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტისას. 2006 წლის 17 აგვისტოს, როდესაც განმცხადებელი თავის ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა დაკითხვაზე გამომძიებელთან, მან ხელახლა წამოაყენა წინა ბრალდებები არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. სასამართლო მიიჩნევს ამას უალრესად შეუსაბამოდ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აპლიკანტი შესაბამისი სისხლისსამართლებრივი განხილვებისას წარმოადგენილი იყო თავისი ადვოკატით.

გაცდა რა სასამართლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ფაქტებზე გაკეთებულ დასკვნებს და მიმართავს განსაკუთრებულ, ზედმინევენით ზუსტ შესწავლას,¹⁴ სასამართლოს თავის მხრივ არ შეუძლია, საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მხოლოდ აპლიკანტის მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებებით მიიჩნიოს ციხის საავადმყოფოში სადავო არაადამიანური მოპყრობა დადგენილ ფაქტად „მიუხედავად გონივრული ეჭვისა“.¹⁵ ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილი.

(e) პროცედურული საკითხი

სასამართლო უპირველესად შეგვახსენებს, რომ 85-ე პარაგრაფში გაკეთებული დასკვნა არ გამორიცხავს აპლიკანტის საჩივარს კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, რომ „სადავო“ იყოს გამოძიებასთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულებები.¹⁶ ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს: უდაოა, რომ განმცხადებლის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება ეფექტურად დაიწყო და მთელი რიგი გადაუდებელი და შესაბამისი საგამომძიებო ღონისძიებები გატარდა, როგორცაა აპლიკანტის სამედიცინო შემოწმება და სხვადასხვა მონმის დაკითხვა. ამის მიუხედავად, სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობდა სერიოზული ხარვეზები, თუ როგორ გატარდა ეს ზომები გამოძიების დაწყებისას და მისი მიმდინარეობის პერიოდში.

სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ყველა საგამომძიებო ღონისძიებას ახორციელებდა იუსტიციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტი, ზუსტად იგივე სამინისტრო, რომელიც საქმის განხილვისას პასუხისმგებელი იყო სასჯელალსრულების სიტემაზე. მათ დასკვნებს შემდეგ უბრალოდ მხარი დაუჭირა გენერალურმა პროკურატურამ ისე, რომ თავის მხრივ ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევა არ ჩაატარა. აღნიშნული ინსტიტუციონალური კავშირი გამოძიებლებსა და იმათ შორის, ვინც აპლიკანტის მიერ მოხსენიებულია ინციდენტში, სასამართლოს აზრით, წამოჭრის ლეგიტიმურ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარებასთან დაკავშირებით.¹⁷ ის ფაქტი, რომ პროკურორს არც კი უცდია გაეანალიზებინა გამოძიებლის ანგარიში ინციდენტის თაობაზე, შემდგომში გამოძიების ეფექტურობას აყენებს ეჭვის ქვეშ.¹⁸ ამგვარად, სასამართლო ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად აპლიკანტის მიერ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისა (პირველი – სახალხო დამცველის წარმომადგენელთან 2006 წლის 15 აგვისტოს და მეორე – 2006 წლის 17 აგვისტოს გამოძიებელთან), პროკურორმა არ მიიჩნია საჭიროდ დამატებითი დაკითხვა ჩატარებინა.¹⁹ ის საერთოდ არ ეცადა სხვა საშუალებით გამოესწორებინა სიტუაცია და უბრალოდ უგულებელყო აპლიკანტის პირველი ჩვენება, რომელიც მან მისცა 2008 წლის 7 ივლისს.

¹⁴ *Talat Tepe v. Turkey*, no.31247/96, §49, 21 December 2004.

¹⁵ *Davtian v. Georgia*, no.73241/01, §38, 27.072006, *Danelia v. Georgia*, no.68622/01, §§42-43, 17.10.2006.

¹⁶ *Bukey and Kandemir v. Turkey*, nos.71912/01, 26968/02 and 36397/03, §54, 10.03.2009; *Aysu v. Turkey*, no.44021/07, §40, 13 March 2012.

¹⁷ *Tsintsabadze v. Georgia*, no.35403/06, §78, 15 February 2011.

¹⁸ *Matko v. Slovenia*, no.43393/98, §90, 2 November 2006; *Purpevič v. Croatia*, no.52442/09, §§89-90, ECHR 2011 (extracts), and *Butolen*, cited above, §76).

¹⁹ *Iļina and Saruliene v. Lithuania*, no.32293/05, §52, 15 March 2011, and *Purpevič*, §90.

ამას გარდა, პროკურორმა შეზღუდა თავისი თავი პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლებინა ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებმაც, სავარაუდოდ, განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა აპლიკანტის მიმართ, მაგრამ არ განიხილა არსებული სამედიცინო მტკიცებულება და აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებების წარმომავლობა ახსნა თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც წინასწარი გამოძიების შეწყვეტას ეხებოდა. შესაბამისად, მან არ დააკონკრეტა, აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებები იყო თუ არა ა.ა.-ს მიერ განხორციელებული, და თუ ეს ასეა, მაშინ მხოლოდ ერთი დარტყმით როგორ მიაღდა აპლიკანტს სხეულზე უამრავი დაზიანება სხეულის სხვადასხვა ადგილას, როგორც ამას ა.ა. აცხადებდა. არც პროკურორმა განიხილა იმის ალბათობა, რომ აპლიკანტს დაზიანებები მიაყენეს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ცემისას და არც ის, რომ ეს შესაძლოა, ყოფილიყო აპლიკანტის შესაბამისი აგრესიული ქმედების შედეგი ციხის საკანში მოთავსების შემდეგ.

სასამართლო შენიშნავს შემდგომ უზუსტობებს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ინციდენტის ოფიციალური ვერსიის მოწოდებისას. ამგვარად, სასამართლო აღნიშნავს ა.ა.-ს ჩვენებებს, რომელმაც განაცხადა, რომ მან მხოლოდ ერთხელ დაარტყა აპლიკანტს, მაშინ, როცა ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ამტკიცებდნენ, ყოველგვარი დეტალური აღწერის გარეშე, რომ აპლიკანტსა და ა.ა.-ს შორის მოხდა ჩხუბი და ისინი იძულებულები იყვნენ, ჩარეულიყვნენ მათ შესაჩერებლად. ამ გარემოებებით, ვერ ირკვევა, თუ რატომ არ აღმოუჩინეს ა.ა.-ს სამედიცინო დახმარება, რათა დადგენილიყო მისი დაზიანებების ხარისხი. აშკარაა, რომ მისი დაზიანებების ხარისხსა და წარმომავლობას შეეძლო ნათელი მოეფინა ოფიციალური დასკვნისათვის, რომელიც პატიმრებს შორის მომხდარი ჩხუბის კარგად დასაბუთებას ეხებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსია ასევე დადასტურებული იყო სხვა პატიმრების ჩვენებებით, რომლებიც შეესწრნენ აღნიშნულ ინციდენტს. თუმცა, სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ 2006 წლის 14 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით დაკითხული ყველა პატიმარი იმ დროისათვის ციხის ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული იყო ციხის საავადმყოფოში სამუშაოდ. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება ხსნიდეს იმ მონმეების ჩვენებების სრულ თანხვედრას.

და ბოლოს, სასამართლო შენიშნავს, რომ პროკურატურამ არ აცნობა აპლიკანტს განხილვების შეწყვეტის თაობაზე. შედეგად, განმცხადებელი დარჩა “სრულ სიბნელეში” გამოძიების წინსვლასთან დაკავშირებით და წაერთვა შესაძლებლობა, გაესაჩივრობინა ამ გადაწყვეტილების კანონიერება და ეჩივლა ადგილობრივ სასამართლოში გამოძიების ნაკლოვანებების თაობაზე.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს, ჩაეტარებინათ 2006 წლის 14-15 აგვისტოს ინციდენტის ირგვლივ განვითარებული მოვლენების დამოუკიდებელი და დეტალური გამოძიება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მის პროცედურულ ნაწილში.

²⁰ *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia*, no.71156/01, §§122-123, 3 May 2007, and *Muradova v. Azerbaijan*, no.22684/05, §131, 2 April 2009.

II. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

A. დასაშვებობა

აპლიკანტი ჩიოდა კონვენციის მე-5 წმ(ც)-3 მუხლისა და მე-6 მუხლის დარღვევის თაობაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოტანის მიზეზი მისი წინასწარი დაკავების თაობაზე, არ იყო არც ადეკვატური და არც დასაბუთებული და რომ სასამართლო განხილვები, რომელთა შედეგადაც ასეთი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, იყო უსამართლო.

სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 წმ(ც) მუხლის დარღვევის თაობაზე საჩივარი, რომელიც ადგილობრივი სასამართლოების მიერ აპლიკანტისათვის წინასწარ პატიმრობაში მოთავსების გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობას ეხება, უფრო მეტად კონვენციის მე-5 წმ მუხლის ფარგლებში უნდა იყოს განხილული. რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის თაობაზე საჩივარს, ისევე როგორც კონვენციის მე-5 მუხლის შემთხვევაში, *lex specialis* წარმოადგენს პატიმრობაში მოთავსების საკითხს და კონვენციის მე-6 მუხლის საფუძვლით იგივეს შესწავლა აღარ წარმოადგენს საჭიროებას.²¹

საჩივარი, რომელიც ეხება შესაბამისი სასამართლოების გადაწყვეტილებებში შესაბამისი დასაბუთების არარსებობას, რომელიც ხვდება კონვენციის მე-5 წმ მუხლის განხილვის ფარგლებში, არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35წმ-ე მუხლის საფუძვლით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ შეიძლება მივიჩნიოთ დაუსაბუთებლად ნებისმიერი სხვა საფუძვლით და, შესაბამისად, სასამართლო აცხადებს მას დაშვებულად.

B. ზომები

აპლიკანტი ჩიოდა, რომ 2005 წლის 31 ოქტომბრისა და 7 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთა საფუძველზეც მას შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, არ ახლდა დამაჯერებელი დასაბუთება.

მთავრობამ ეს არგუმენტი გააპროტესტა და აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ჯეროვნად იყო დასაბუთებული.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი სასამართლოების 2005 წლის 31 ოქტომბრისა და 7 ნოემბრის გადაწყვეტილებები მოიცავდა იგივე *habeas corpus*-ის განხილვების ორ ეტაპს, რომელიც დაკავშირებული იყო აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის სამთვიან პერიოდთან. შესაბამისად, იმისათვის, რომ დადგენილიყო, იყო თუ არა წინასწარი პატიმრობის ეს პერიოდი გონივრული კონვენციის მე-5 წმ მუხლის მიხედვით, იმ გადაწყვეტილებებში მოცემული მოტივაცია, ისევე როგორც პროცესებზე მხარეთა არგუმენტები, უნდა განიხილებოდეს მთლიანობაში.²²

სასამართლო კვლავ იმეორებს: მაშინაც კი, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, ადგილობრივი სასამართლოები ვალდებული არიან, წარმოაჩინონ „რელევანტური“ და „დასაბუთებული“ საფუძვლები, რათა დადასტურებულად გაამართლონ თავისუფლების აღკვეთა.²³ ეროვნული სასამართლოების მოსამართლეთათვის პირველ ადგილზე უნდა იყოს იმ გარემოებათა განხილვა, რომლებიც ემხრობა ან ეწინააღმდეგება ასეთ იმპერატიულ ინტერესს და ასა-

²¹ *Patsuria v. Georgia*, no.30779/04, §92, 6 November 2007, and *Ramishvili and Kokhreidze* (dec.).

²² *Saghinadze and Others v. Georgia*, no.18768/05, §136, 27 May 2010.

²³ *Punzelt v. the Czech Republic*, no.31315/96, §73, 25 April 2000.

ხოს ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში გათავისუფლებისათვის ნებისმიერ განაცხადში. ამ გადაწყვეტილებებში მოყვანილი მიზეზების საფუძველსა და აპლიკანტის მიერ მის საჩივრებში მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით, სასამართლო არსებითად მონოდებულია, რომ გადაწყვეტოს, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 წმ მუხლი.²⁴ ამ ფუნქციების განხორციელებისას სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ იყო სტერეოტიპული სიტყვებით შედგენილი, ან შემოკლებული ფორმით²⁵ და რომ დასაბუთება არ იყო დეკლარაციული – ზოგადი, თუ აბსტრაქტული ხასიათის.²⁶

წარმოდგენილი საქმის გარემოებებს თუ მივუბრუნდებით, ორი საფუძველი ედო პროკურორის მიერ თავის მოთხოვნაში პატიმრობის ზომის დაკისრებას, რაც დაამტკიცა ადგილობრივმა სასამართლომ სადავო გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იყო, რომ არსებობდა შიში იმისა, რომ გათავისუფლებული აპლიკანტი ზენოლას მოახდენდა მოწმეებზე, და რომ აპლიკანტი შესაძლოა მიმალულიყო, ბრალდების სიმძიმედან გამომდინარე.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ მიმალვის შიში არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ განაჩენის სიმკაცრის რისკით,²⁷ არამედ ეს უნდა გაანალიზდეს შესაბამის, უამრავ, დამატებით ფაქტორებზე მითითებით, რომლებსაც შეუძლიათ, ან დაადასტურონ ასეთი საშიშროების რისკი, ან წარმოაჩინონ ეს იმდენად უმნიშვნელოდ, რომ არ შეუძლია გაამართლოს წინასწარი პატიმრობა.²⁸ ამგვარი საკმარისი დასაბუთების არარსებობის გათვალისწინებით ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აპლიკანტის პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით,²⁹ სასამართლო არ არის მზად, გაიზიაროს ის არგუმენტი, რომ აპლიკანტის მიმალვის საშიშროება წონადი არგუმენტი იყო მისთვის წინასწარი პატიმრობის შესაფარდებლად. თუმცა, სასამართლო უერთდება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსაზრებებს, რომ განთავისუფლების შემთხვევაში აპლიკანტი ზეგავლენას მოახდენდა მოწმეებზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის მეგობრები იყვნენ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეში საკვანძო მოწმეები. ასეთ გარემოებებში, აპლიკანტის შესაძლებლობა მათზე ზეგავლენის მოხდენასთან დაკავშირებით, არ უნდა გამოირიცხოს და, შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია, არ მიიჩნიოს რეალურად ასეთი რისკის არსებობა.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ აპლიკანტი სწრაფად გასამართლდა – რვა თვეზე ნაკლებ დროში. ეს ფაქტორი ასევე დიდი მნიშვნელობის მქონეა კონვენციის მე-5 წმ მუხლთან წინასწარი პატიმრობის თავსებადობის შეფასებისას.³⁰

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილობრივი სასამართლოების არგუმენტი მოწმეებზე ზეგავლენის რისკთან დაკავშირებით შესაძლებელია, ამართლებდეს აპლიკანტის წინასწარ სამთვიან პატიმრობას. შესაბამისად, ამ ნაწილში არ დარღვეულა კონვენციის მე-5 წმ მუხლი.

²⁴ *Stalvaitis v. Lithuania*, no. 47679/99, §82, 21 March 2002.

²⁵ *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, §107, 8 February 2005.

²⁶ *Nikolov v. Bulgaria*, no.38884/97, §73, 30 January 2003, and *Smirnova v. Russia*, nos.46133/99 and 48183/99, §63, ECHR 2003-IX (extracts).

²⁷ *Muller v. France*, 17 March 1997, § 43, *Reports* 1997-II.

²⁸ *Letellier v. France*, 26 June 1991, § 43, *Series A* no. 207.

²⁹ *Љупић v. Croatia*, no. 49905/07, § 100, 31 May 2011.

³⁰ *Kusyk*, §39; *Klamecki v. Poland*, no.25415/94, §§74 and 76, 28.03.2002; and *Galushvili v. Georgia*, no. 40008/04, §40, 17.07.2008.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს საჩივარს კონვენციის მე-3 მუხლისა (აპლიკანტის მიმართ 2005 წლის 29 ოქტომბერს და 2006 წლის 14-15 აგვისტოს განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობა და ამასთან დაკავშირებით არაადეკვატური გამოძიება) და მე-5 §3 მუხლის მიხედვით დასაშვებად, ხოლო განაცხადის დანარჩენ ნაწილს – დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მის არსებით ნაწილში 2005 წლის 29 ოქტომბერს აპლიკანტის მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამო;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი თავის პროცედურულ ნაწილში 2005 წლის 29 ოქტომბერს აპლიკანტის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე არაეფექტური გამოძიების გამო;
4. ადგენს, რომ არ არის საჭირო, განაცხადი განიხილოს კონვენციის მე-6 §1 და მე-13 მუხლების კუთხით 2005 წლის 29 ოქტომბერს აპლიკანტის მიმართ პოლიციელთა მიერ არაადამიანური მოპყრობის გამო;
5. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი მის არსებით ნაწილში 2006 წლის 14-15 აგვისტოს აპლიკანტის მიმართ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ არაადამიანური მოპყრობის გამო;
6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მის პროცედურულ ნაწილში 2006 წლის 14-15 აგვისტოს აპლიკანტის მიმართ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე არაეფექტური გამოძიების გამო;
7. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 §3 მუხლი;
8. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 12.000 ევრო;
9. უარყოფს აპლიკანტის განაცხადის დანარჩენ ნაწილს სამართლიანი დაკმაყოფილების კუთხით.

გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №45566/08

2008 წლის 16 ივლისს გიორგი გოლოშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 20 ნოემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№№45566/08) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი გიორგი გოლოშვილი ამჟამად მსჯავრდებულია და სასჯელს იხდის გეგუთის მე-8 საპყრობილეში. 2006 წლის 8 მარტს იგი დააპატიმრეს ყაჩაღობის ბრალდებით. იმავე წლის 16 ოქტომბერს კასპის რაიონულმა სასამართლომ გიორგი გოლოშვილი და მასთან ერთად კიდევ სამი პირი ბრალდებულად ცნო ყაჩაღობის ჩადენის დაგეგმვაში. ბრალდება ეფუძნებოდა სხვადასხვა მტკიცებულებას, დაზარალებულის ჩვენების ჩათვლით, რომელმაც ამოიცნო აპლიკანტი და დანარჩენი ბრალდებულები – სასამართლოს მიმდინარეობისას. აპლიკანტს მიესაჯა ექვსი წლით პატიმრობა.

საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულს, რომელიც ეროვნებით აზერბაიჯანელი იყო, უჭირდა ქართულად საუბარი და თან ახლდა თარჯიმანი. ბრალდებულის ადვოკატებმა, განმცხადებლის ჩათვლით, დეტალურად გამოკითხეს დაზარალებული და ბრალდების სხვა დანარჩენი მოწმეები. შემდგომში განმცხადებელმა გაასაჩივრა თავისი ბრალდება, კერძოდ, კი გამოძიების სტადიაზე დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენებები დააყენა ეჭვის ქვეშ. იგი მიუთითებდა, რომ გამოძიებლებმა დაზარალებული თარჯიმნის გარეშე დაკითხეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 25 მაისს არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულის ჩვენებასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებდა განმცხადებლის არგუმენტებს, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება უფრო მეტად ეფუძნებოდა იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმის განხილვისას იქნა მოპოვებული, ვიდრე – საგამოძიებო სტადიაზე მოპოვებულ მტკიცებულებებს. 2008 წლის 17 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელს, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრამდე, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები არ ჰქონია. უფრო მეტიც, იგი გორის ძალოსანთა კლუბის წევრი იყო და მისმა მწვრთნელმა დაადასტურა, რომ იგი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა. იმდროისათვის აპლიკანტი იმედისმომცემ სპორტსმენად ითვლებოდა.

საქმეში ასევე იყო 2008 წლის 4 ნოემბერს გორის ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ აპლიკანტი არასდროს ყოფილა იქ დარეგისტრირებული პაციენტის სტატუსით.

დაპატიმრების შემდეგ, 2006 წლის 8 მარტს, განმცხადებელი თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაიყვანეს, სადაც იგი, სავარაუდოდ, მოათავსეს ტუბერკულოზით დაავა-

დებულ პატიმრებთან. ორი წლის შემდეგ აპლიკანტი გეგუთის მე-8 საპყრობილეში გადაიყვანეს და იქ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაიწყო (სიმპტომები: სიცხე და ხველა). აპლიკანტის დედის მოთხოვნით განმცხადებელი გასინჯა სამედიცინო ექსპერტმა და დაუდგინა ტუბერკულოზი. იმავე დღეს პატიმარი გადაიყვანეს ქსნის ციხეში, სადაც ამ სიმპტომებით დაავადებული პატიმრები იყვნენ განთავსებულები.

აპლიკანტს დაენიშნა მკურნალობის შესაბამისი კურსი და პერიოდულად უტარდებოდა შემოწმება, თუ როგორ პროგრესირებდა დაავადება და რამდენად შედეგიანი იყო დანიშნული მედიკამენტებით მკურნალობა. როგორც მომდევნო ტესტირებებმა აჩვენა, დაავადება ეფექტურად დაექვემდებარა მკურნალობის კურსს და პატიმრის მდგომარეობა გაუმჯობესდა. 2009 წლის 26 თებერვალს განმცხადებლის მკურნალობის კურსი დასრულდა და იგი ისევ გადაიყვანეს გეგუთის ციხეში. მკურნალობის შეწყვეტა განპირობებული იყო ქსნის სამკურნალო დაწესებულების ექიმის დასკვნით, რომელიც მონიტორინგს უწევდა ამ პროცესს და აღნიშნული იყო, რომ განმცხადებლის ფილტვებში დაავადების გამომწვევი ბაქტერია აღარ იყო. 2010 წლის 19 აპრილს განმცხადებელს კვლავ ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა და გამოიკვია, რომ განმცხადებელს ფილტვები „სუფთა“ ჰქონდა.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

აპლიკანტი ჩიოდა, რომ იგი ტუბერკულოზით დაავადდა საპატიმროში და სახელმწიფომ მას არ აღმოუჩინა შესაბამისი, ჯეროვანი მკურნალობა, რაც, მისი აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

მთავრობის აზრით, განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე ნაადრევი იყო, რადგან იგი არ ითხოვდა ფულად კომპენსაციას ტუბერკულოზით სავარაუდო დაავადებისა და ციხეში ჯეროვანი მკურნალობის არარსებობის გამო. განმცხადებელს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება უნდა მოეთხოვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსგან, ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების მიხედვით. ამას გარდა, თუკი განმცხადებელი თვლიდა, რომ იგი ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების გვერდით იხდიდა სასჯელს თბილისის მე-5 საპყრობილეში, მას ციხის ადმინისტრაციისათვის უნდა მიემართა პატიმრობის შესახებ 1999 წლის 22 ივლისის კანონის საფუძველზე, რათა გადაეყვანათ სხვა საკანში. შესაბამისად, მთავრობას მიაჩნია, რომ განაცხადი არ უნდა ცნოს სასამართლომ დასაშვებად კონვენციის 35-ე მუხლის I და IV ნაწილების საფუძველზე, შიდასამართლებრივი ზომების ამოუწურაობის გამო. რაც შეეხება განაცხადის დანარჩენ ნაწილს აპლიკანტის მკურნალობასთან დაკავშირებით, მთავრობას მიაჩნია, რომ იგი არ არის დასაბუთებული.

აპლიკანტმა განაცხადა, რომ ციხეებში ტუბერკულოზით დაავადების საკითხი იყო ზოგადი პრობლემა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოებში საქმის წარმოების დაწყება დაკავშირებული იყო დიდი ოდენობის სახელმწიფო ბაჟთან, რისი გადახდაც მისთვის შეუძლებელი იყო. აპლიკანტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ იგი ტუბერკულოზით დაავადდა ციხეში.

ციხეში აპლიკანტის ტუბერკულოზით დაავადებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული განაცხადი არ ეხება საქართველოს ციხეებში არაადეკვატური მოპყრობის სტრუქტურულ პრობლემებს იმ პატიმართა მიმართ, რომლებიც იმ დროისათვის დაავადებულები იყვნენ მძიმე ინფექციური დაავადებით. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელი ზოგადი ად-

მინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ყველაზე შესაბამისი ღონისძიება იქნებოდა. ვინაიდან სრულიად გამოჯანმრთელებულმა აპლიკანტმა არც ერთხელ არ მიმართა სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით ციხეში ტუბერკულოზით დაავადების გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადის ეს ნაწილი უნდა ამოირიცხოს, კონვენციის 35-ე მუხლის I და IV ნაწილების თანახმად, შიდასამართლებრივი ზომების ამოუწურაობის გამო.

რაც შეეხება საქართველოს ციხეებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არარსებობას, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მძიმედ დაავადებული პატიმრებისათვის ფულადი კომპენსაციების გადახდის ნაცვლად, უფრო ადეკვატური იქნებოდა, გამოძებნილიყო ამგვარი მდგომარეობის გამოსასწორებლად პრევენციული ზომები, თხოვნით მიემართათ კონკრეტული სამედიცინო ჩარევისთვის, რაც უშუალოდ იქნებოდა მიმართული დროული და ჯეროვანი სამედიცინო დახმარებით დაავადებით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქებისკენ. თუმცა, 2010 წლის 1 ოქტომბრამდე ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა, „პატიმრობის შესახებ“ 1999 წლის 22 აქტის ჩათვლით, არ უზრუნველყოფდა სამართლებრივ გზებს, რომ ასეთ სამედიცინო სიტუაციებში დაწესებულიყო აკრძალვები; შესაბამისად, ავადმყოფი პატიმრისათვის, რომელსაც სურდა მიემართა ევროპული სასამართლოსათვის არაადეკვატური სამედიცინო დახმარების გამო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე, საკმარისი იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ ყურადღებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ¹.

წარმოდგენილი საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო შენიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაცია ჯეროვნად ინფორმირებული იყო აპლიკანტის ტუბერკულოზით დაავადებასა და მისთვის აუცილებელი მედიკამენტების საჭიროებაზე. შესაბამისად, მთავრობის პროტესტი შიდასამართლებრივი ზომების ამოუწურაობასთან დაკავშირებით უარყოფილია. აქედან გამომდინარე, აპლიკანტის განაცხადი, კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სავარაუდო ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არარსებობის თაობაზე არ არის ამკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით და სასამართლომ განაცხადი მიიჩნია დასაშვებად.

სასამართლო კვლავ იმეორებს: ციხეებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების შეფასებისას, მთლიანობაში უნდა გათვალისწინებული იყოს ჯანმრთელობის დაცვისთვის საჭირო შესაბამისი სტანდარტები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს პატიმრობის კანონიერ მოთხოვნებს, მაგრამ კვლავაც შეესაბამებოდეს ადამიანურ ღირსებებს, რისთვისაც სახელმწიფო ჯეროვნად უნდა ასრულებდეს თავის პოზიტიურ ვალდებულებებს. ამასთან დაკავშირებით, შესაბამის უწყებებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ დიაგნოსტიკა, ხოლო სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს ჯეროვანი და დროული, ხოლო კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობა – რეგულარული და სისტემატური და მოიცავდეს საყოველთაო თერაპიულ სტრატეგიას. სანყის ეტაპზე აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ წარმოშვა გარკვეული ეჭვები ციხეში მკურნალობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა დადგინდეს, თუკი, მეორე მხრივ, დადგინდება, რომ შესაბამისმა შიდა სტრუქტურებმა დროულად გამოიყენეს ყველა შესაძლო სამედიცინო ზომა, რათა არ მომხდარიყო დაავადების პროგრესირება. მართლაც, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მძიმედ დაავადებული პატიმრების სამკურნალოდ წარმოადგენს ერთ-ერთ ღონისძიებას და არა – შედეგს.²

¹ *Goginashvili v. Georgia*, §§51-61, and *Makharadze and Sikharulidze v. Georgia*, §§53-55.

² *Goginashvili*, cited above, §§69-71.

სამედიცინო ჩანაწერების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციამ აპლიკანტის დედის მიერ საჩივრის შეტანის მეორე დღესვე დაიწყო მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა – მას ეძლეოდა მედიკამენტები, უტარებოდა შესაბამისი სამედიცინო შემონმება, სარგებლობდა ყოველმხრივი სამედიცინო გამოკვლევებითა და ექიმთა კონსულტაციით.³

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ციხის ადმინისტრაციამ გამოავლინა ჯეროვანი გულმოდგინება აპლიკანტისათვის ეფექტური და სისტემატური მკურნალობის ჩასატარებლად. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

³ *Makharadze and Sikharulidze*, §§78-81; see also *Gladkiy*, §94.

ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №35887/05

2005 წლის 29 ივნისს გივი ჯანიაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 27 ნოემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№35887/05) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

გივი ჯანიაშვილი საქართველოს მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს თბილისში.

ა. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების პირველი ეტაპი

2004 წლის 13 მაისს აპლიკანტი, რომელიც იძებნებოდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ, აპირებდა საქართველოს საზღვრების დატოვებას ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან, რა დროსაც იგი დააკავეს სასაზღვრო პოლიციის ოფიცრებმა და ჩაუტარეს დეტალური ჩხრეკა. ასევე, გაჩხრიკეს მისი ბარგი. რაიმე უკანონო საგანი ან ნივთიერება ვერ იქნა აღმოჩენილი. აპლიკანტის საბუთებიც კანონიერი იყო და ყველა პარამეტრით – მონესრიგებული. ამის მიუხედავად, აპლიკანტი მაინც დააკავეს და, შესაბამისად, აცნობეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს.

სამინისტროდან ოფიციალური წარმომადგენლების საზღვარზე ჩასვლამდე აპლიკანტი იმყოფებოდა ახალციხის სასაზღვრო პოლიციის უფროსის სახლში. იმ მომენტი-სათვის იგი ოფიციალურად დაპატიმრებული არ იყო. სამინისტროს წარმომადგენლები 2004 წლის 14 მაისს, გამთენიისას, ჩავიდნენ და ერთი უწყებიდან მეორე უწყების წარმომადგენლისათვის აპლიკანტის გადაცემასთან დაკავშირებით შედგა ოფიციალური დოკუმენტი.

იმავე დღეს, 2004 წლის 14 მაისს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებმა განმცხადებელს ჩაუტარეს განმეორებითი ჩხრეკა. იმ დროისათვის შედგენილი ანგარიშის მიხედვით, მეორე ჩხრეკა ჩატარდა ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში და აპლიკანტის ბარგში აღმოჩნდა უკანონო ნივთიერება. შედგა დაკავების ოქმი.

მოგვიანებით აპლიკანტს, რომელიც წარმოდგენილი იყო თავისი ადვოკატით, წარედგინა ბრალდება 0.06 გრამი ჰეროინის უკანონო ტრანსპორტირებისათვის. განმცხადებელი აცხადებდა, რომ ჩხრეკისას მისთვის არ აღმოუჩენიათ რაიმე ნარკოტიკი. 2004 წლის 16 მაისს განმცხადებლის ადვოკატმა შეაგროვა იმ მესაზღვრეებისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების წერილობითი ჩვენებები და განმარტებები, რომლებიც ესწრებოდნენ აპლიკანტის ჩხრეკას ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში. ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ პირველი ჩხრეკისას არც განმცხადებლისათვის და არც მის ბარგში არ აღმოუჩენიათ უკანონო საგნები თუ ნივთიერებები.

2004 წლის 16 მაისს ადიგენის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დაცვის მხარემ გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ – უშედეგოდ. საქმის მასალებიდან ნათლად

არ ჩანს, თუ რომელ საპატიმროში გადაიყვანეს განმცხადებელი. 2004 წლის განმავლობაში წინასწარი პატიმრობის ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა და ბოლოს, უკვე უზენაესმა სასამართლომ 2005 წლის 14 იანვრამდე გააგრძელა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა. წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების დასაბუთება ყველა ინსტანციაში ერთმანეთის მსგავსი იყო, კერძოდ: განმცხადებლის მიმალვის მაღალი რისკი, გამოძიებასთან თანამშრომლობისგან თავის არიდება; საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლა და ასევე, საჭირო იყო მეტი დრო დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად.

2004 წლის 20 ნოემბერს განმცხადებელი გადაიყვანეს თბილისის მე-5 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო განყოფილების პალატაში, სადაც ის ექიმების შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა გათავისუფლებამდე – 2005 წლის 3 მაისამდე.

მისი საქმის განხილვა ასპინძის სასამართლოში დაიწყო 2005 წლის 13 იანვარს. პროცესზე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათ არანაირი უკანონო საგანი თუ ნივთიერება არ აღმოუჩენიათ ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში განმცხადებლის ჩხრეკისას და რომ განმცხადებელი თბილისიდან ჩამოსული სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებისათვის მის გადაცემამდე განმეორებით აღარ გაუჩხრეკიათ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც შეადგინეს ანგარიში მეორე ჩხრეკასთან დაკავშირებით, გამოძახებულები იყვნენ იმ მოწმის ამოსაცნობად, ვისაც, სავარაუდოდ, სთხოვეს, ყოფილიყო მოწმედ ჩხრეკისას. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მისი ამოცნობა.

2005 წლის 3 მაისს ასპინძის სასამართლომ გაამართლა განმცხადებელი და განკარგულება გასცა მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. პროკურატურამ განაჩინა გაასაჩივრა. 2006 წლის 20 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და გამამართლებელი განაჩინა ძალაში დატოვა.

ბ. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების მეორე ეტაპი

2005 წლის 9 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერმა თავის ხელმძღვანელობას მიმართა მოხსენებით, რომ მან სატელეფონო საუბრების მოსმენისას, რომელსაც სრულიად სხვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გამო აწარმოებდა, შემთხვევით აღმოაჩინა, რომ განმცხადებელი შესაძლოა, ყოფილიყო ნარკომანი, ინახავდა რა ჰეროინს თავის სახლში რეალიზაციისათვის. იმავე დღეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით დაიწყო საქმის წარმოება.

2005 წლის 11 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით, პოლიციას ნებართვა მისცა განმცხადებლისა და მისი საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკაზე. 2005 წლის 12 მაისს გამოძიებლებმა, რომლებიც აწარმოებდნენ ახალ საქმეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით, გასცეს აპლიკანტის დაკავების ორდერი. აპლიკანტს მიენიჭა ბრალდებულის სტატუსი.

აპლიკანტი სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა დააკავეს საკუთარ სახლში და ჩაუტარეს დეტალური ჩხრეკა. მოგვიანებით პოლიციის ანგარიშში აისახა, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებები გამოიწვია დაკავებისას მისმა წინააღმდეგობის გაწევამ. ჩხრეკისას აპლიკანტის პიჯამის ჯიბეში აღმოჩნდა 1.14 გრამი ჰეროინი, ორი ახალი შპრიცი და კოვზი.

განმცხადებელმა წარმოადგინა მისი აყვანის ოპერაციის ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ასახული იყო, რომ ათზე მეტი შეიარაღებული პოლიციელი შევარდა მის სახლში.

მას გადაუგრიხეს ხელები, მაგრამ ჩანანერში არ ჩანდა, თუ როგორ სცემეს მას. თუმცა, ვიდრე დაინწყებოდა სახლის დეტალური ჩხრეკა, აპლიკანტს შუბლზე უკვე ჰქონდა ღია ჭრილობა. ჩხრეკა ჩატარდა მოწმეთა გარეშე. ნარკოტიკის აღმოჩენისას მან მეუღლეს დაუძახა, რომ ძალით ჩაუდეს ეს ნივთიერება ჯიბეში. სახლი დეტალურად გაჩხრიკეს და კოვზი აღმოაჩინეს მხოლოდ სააბაზანოში, უნიტაზის უკან.

2005 წლის 12 მაისს აპლიკანტმა საქმის გამომძიებლებზე შეიტანა საჩივარი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მის სახლში შეიჭრნენ პოლიციელები და მხოლოდ ამის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა მოახერხა მის ჯიბეში ნარკოტიკის ჩადება. შემდეგ მას სასტიკად სცემეს. განმცხადებელი ითხოვდა სამედიცინო შემოწმებას, აცხადებდა რა, რომ მას მთელ სხეულზე ჰქონდა დაზიანებები.

განმცხადებელი გასინჯა ციხის ექიმმა, რომელმაც დაადგინა, რომ მას დაზიანებები ჰქონდა სხეულზე. ექიმმა აღნიშნა, რომ აპლიკანტს ჰქონდა ჰეპატიტი და ნარკომანიით იყო დაავადებული.

2005 წლის 13 მაისს განმცხადებელს მისი ორი ადვოკატის თანდასწრებით წარედგინა ბრალი ნარკოტიკების შენახვის გამო. მომდევნო დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიუსაჯა წინასწარი პატიმრობა, თუმცა ეს გადაწყვეტილება საქმის მასალებში არ არის. ის მოათავსეს თბილისის მე-5 საპრობილის სამედიცინო განყოფილებაში, სადაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა მისი სიმპტომების გათვალისწინებით.

2005 წლის 18 მაისს განმცხადებლის ადვოკატების მოთხოვნით მას ჩაუტარდა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც გამოავლინა მთელი რიგი დაზიანებები, რაც, სავარაუდოდ, უნდა განვითარებულიყო 2005 წლის 12 მაისს, დაკავებისას. კერძოდ, განმცხადებელს ჰქონდა ძლიერი თავის ტკივილი, უჭირდა სუნთქვა, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე ნეკნის მოტეხილობით და ვერ ახერხებდა წონასწორობის დაცვას. სახეზე, თვალის არეში, ჰქონდა ძლიერი სისხლჩაქცევა, ხოლო რამდენიმე ადგილას – ღია ჭრილობა. მომდევნო სამედიცინო შემოწმებისას დადგინდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა ქრონიკული ჰეპატიტი, ცერებრალური სინდრომი თავის არეში მიყენებული ჭრილობის გამო და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება. განმცხადებელს ასევე ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რა დროსაც გამოიკვია, რომ იგი საქმის განხილვის დროს მხოლოდ ნაწილობრივ იყო პასუხისმგებელი თავის ქმედებებზე.

2005 წლის 28 სექტემბერს განმცხადებელი, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას გაუნიეს ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება.

2005 წლის 29 ივნისს თბილისის საქალაქო პროკურატურამ დაიწყო განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე მოკვლევა, რომელიც მისი დაკავებისას შსს-ს ოფიცრების მიერ სავარაუდო ძალის გადამეტებას უკავშირდებოდა. გამომძიებისას დაიკითხა განმცხადებლის მეუღლე და დაპატიმრებისას მის სახლში სტუმრად მყოფი რამდენიმე მოწმე, ასევე – ოპერაციაში მონაწილე პოლიციელები. ვინაიდან მოკვლევისას არ გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის რაიმე ნიშნები, საჩივრის განხილვა შეწყდა, ხოლო დასკვნაში აღინიშნა, რომ დაკავებისას გამოყენებული ღონისძიებები პროპორციული იყო. განმცხადებელმა პროკურატურის აღნიშნული დასკვნა აღარ გაასაჩივრა. 2006 წლის 20 ივლისს რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი ბრალეულად ცნო განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაში და მიუსაჯა 15 წლით პატიმრობა, ხოლო პოლიციის მხრიდან მისი დაკავებისას გამოყენებული ღონისძიება მიიჩნია აუცილებელ საჭიროებად.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

აპლიკანტი ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები, კერძოდ: ა) 2005 წლის 12 მაისს, დაპატიმრებისას, მის მიმართ პოლიციელებმა განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა და შესაბამისმა ორგანოებმა ეს ინციდენტი ჯეროვნად არ გამოიძიეს; ბ) თბილისის მე-5 და მე-7 საპყრობილეებში იგი მოთავსებული იყო პატიმრებით გადატვირთულ საკნებში; გ) არ უტარდებოდა მისი დაავადებების ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა.

სასამართლომ განმცხადებლის განაცხადი დაუშვებლად ცნო მისი დაკავებისა და ამ ღონისძიებისას გამოყენებული არაადამიანური მოპყრობის და ასევე, აღნიშნულის არაჯეროვანი გამოძიების ნაწილში, რადგან არ იყო ამონურული შიდა სამართლებრივი ზომები.

რაც შეეხება საკნებში პატიმართა გადატვირთულ რაოდენობას – სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს პენიტენციალური სისტემისათვის, თუმცა ასევე მიუთითა, რომ განმცხადებელს ამის თაობაზე არც ერთხელ არ მიუმართავს ადგილობრივი არასამთავრობო თუ სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის. შესაბამისად, არ იყო ამონურული შიდა სამართლებრივი ზომები ამ საკითხის შესწავლისას. სასამართლომ განაცხადის ეს ნაწილიც მიიჩნია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი და აღარ განიხილა.

განმცხადებლის მიმართ ჩატარებული სამედიცინო მკურნალობის თაობაზე სასამართლომ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო განხილვებისას წარმოდგენილ მის სამედიცინო ისტორიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა ჯეროვანი გულმოდგინებით, მისი მკურნალობა ატარებდა სისტემურ ხასიათს და შესაბამისად, განაცხადის ეს ნაწილიც არის აშკარად დაუსაბუთებელი. კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, სასამართლომ უარყო მისი განხილვა.

II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის სავარაუდო დარღვევა

აპლიკანტი ჩიოდა, რომ მისი პატიმრობის ხანგრძლივობა საქმის განხილვებისას სისხლისსამართლებრივი დევნის ორივე ეტაპზე არ იყო გამყარებული ჯეროვანი და ადეკვატურად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებებით, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას. აღნიშნული ნორმის მიხედვით:

„ამ მუხლის I „c“ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად, დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით“.

განაცხადის კომუნიკაციის შემდეგ განმცხადებელმა დააზუსტა, რომ მისი საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევის თაობაზე სისხლისსამართლებრივი დევნის პირველ ეტაპთან დაკავშირებით ეხებოდა სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებებს, დათარიღებულს 2004 წლის 16 მაისითა და 2 ივნისით, რომლებითაც მას მიესაჯა წინასწარი პატიმრობა პირველი ორი თვის განმავლობაში და აგ-

რეთვე – 13 აგვისტოს შემდგომ გადაწყვეტილებებს, 2004 წლის 13 სექტემბერსა და 13 ნოემბერს, რომლებითაც აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება გაგრძელდა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის მეორე ეტაპის განხილვებს, აპლიკანტმა თავისი მოთხოვნები შეზღუდა და მხოლოდ 2005 წლის 15 და 19 მაისს სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილებები გაასაჩივრა, რომლითაც მას დაეკისრა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა.

მთავრობის წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ განაცხადის ამ მოთხოვნებს.

ა. დასაშვებობა

რაც შეეხება აპლიკანტის განაცხადს სისხლისსამართლებრივი დევნის მეორე ეტაპისას სასამართლო განხილვების დაწყებამდე დაკავების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა აღარ გაასაჩივრა პირველადი სასამართლო გადაწყვეტილებების გარემოებები წინასწარი სამთვიანი პატიმრობის დაკისრების თაობაზე, მიიჩნია რა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დასაბუთებული იყო მისი დაკავების საწყისი პერიოდი, თუნდაც ეს უმეტესად დაფუძნებული ყოფილიყო გონივრულ ეჭვზე, რომ აპლიკანტმა ჩაიდინა ის დანაშაული, რომელიც მას ბრალად წაუყენეს.¹ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განაცხადი არის აშკარად დაუსაბუთებელი და კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით უნდა ამოირიცხოს.

რაც შეეხება აპლიკანტის განაცხადს სისხლისსამართლებრივი დევნის პირველი ეტაპისას სასამართლო განხილვების დაწყებამდე დაკავების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ, მიუთითა რა აღნიშნული პატიმრობის ხანგრძლივობაზე, რომელიც ადგილობრივმა სასამართლოებმა სხვადასხვა მიზეზის გამო გააგრძელეს, მიიჩნია, რომ განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადი მიიჩნია დასაშვებად.

ბ. ზომები

აპლიკანტის სასამართლო განხილვებამდე დაკავების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით პირველი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, რომელიც გაგრძელდა თითქმის ერთი წელი, სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ადგილობრივი სასამართლოების მიერ 2004 წლის 16 მაისსა და 2 ივნისს გამოტანილ პირველ გადაწყვეტილებებში დადასტურებული საფუძველი – განმცხადებლის მიმალვის რისკი – საკმარისად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმის გარემოებებთან, მაგრამ სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებები, 2004 წლის 13 აგვისტოს, 13 სექტემბრისა და 13 ნოემბრით დათარიღებული, ამის საპირისპიროდ, ფორმულირებული იყო უფრო აბსტრაქტულად. მომდევნო გადაწყვეტილებებში ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ განახორციელეს თავიანთი ვალდებულება, დამაჯერებლად დაემტკიცებინათ გარკვეული ფაქტების არსებობა, რაც გაამართლებდა პატიმრობის განხანგრძლივებას და ასევე არ განიხილეს ალტერნატიული, არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების შესაძლებლობა. მხოლოდ ერთ, გარკვეულწილად, კონკრეტულ საფუძველს დაეყრდნო ადგილობრივი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პატიმრობის გაგრძელების თაობაზე როდესაც მიუთითა, რომ აპლიკანტისათვის საჭირო იყო ფსიქიატრიული ესპერტიზის ჩატარება, რაც კვლავაც არადაამაჯერებლად გამოიყურება,

¹ compare, for instance, with *Galuashvili v. Georgia*, no.40008/04, §50, 17 July 2008; *Saghinadze and Others v. Georgia*, no.18768/05, §137, 27 May 2010; *Klamecki v. Poland*, no.25415/94, §§74 and 76, 28 March 2002; and also *Malikowski v. Poland*, no.15154/03, §52, 16 October 2007.

რადგან სასამართლომ არ ახსნა, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა დაგეგმილი სასამართლო ღონისძიების განხორციელება ალვეთის არასაპატრიმრო ზომას. ამგვარად, აღნიშნული, აშკარად არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც უმეტესად ეყრდნობოდა სტერეოტიპულ ფორმულებს, ახდენდა რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა პერეფრაზირებას,² აპლიკანტი მთლიანობაში პატიმრობაში იმყოფებოდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად.³

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი განმცხადებლის მიმართ პირველი სისხლისსამართლებრივი განხილვების პერიოდში.

სახელმწიფოს დაეკისრა 600 ევროს გადახდა – არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1000 ევროს გადახდა – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

² Patsuria, §§12, 14 and 15; Javakhishvili v. Georgia (dec.), no.42065/04, 2.10.2007; and Giorgi Nikolaishvili, §79.

³ Saghinadze, §139; Giorgi Nikolaishvili, §§73, 76; and Patsuria, §74.

მინდაქე საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №17012/09

2008 წლის 29 დეკემბერს ირაკლი მინდაქემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 11 დეკემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№17012/09) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი ირაკლი მინდაქე ამჟამად მსჯავრდებულია და მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში. იგი თავის ნაცნობთან ერთად დააკავა პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისა და რეალიზაციისათვის (სსკ-ის 260ფ3(ა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაული). პოლიციის მიერ შედგენილი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მას ბინაში აღმოაჩნდა 80 გრამი ჰეროინი, ხოლო 1.6150 გრამი – თავისი ჟაკეტის ჯიბეში. განმცხადებლისა და მისი ნაცნობის დაკავებამდე ბინაში იმყოფებოდა კიდევ ორი პირი, რომლებიც ასევე დააკავა პოლიციამ, თუმცა მოგვიანებით ისინი გათავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც განმცხადებლისა და მისი ნაცნობის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. სასამართლო განხილვების მოგვიანებით სტადიაზე, მათ უარყვეს თავიანთი პირველი ჩვენებები და აღნიშნეს, რომ პოლიციამ ეს ჩვენებები იძულებით მიაცემინა. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა განმცხადებლის პირადი ჩხრეკის ოქმი, თუმცა იგი ამტკიცებდა, რომ უარი განაცხადა ხელი მოეწერა პირადი ჩხრეკის ოქმზე. მისი თქმით, ჰეროინი პოლიციის ოფიცრების მიერ იყო ჩადებული.

2007 წლის 28 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას პროკურატურამ მოუხსნა ბრალდება ჰეროინის ბინაში აღმოჩენის ნაწილში და დაუტოვა მხოლოდ მისი ჟაკეტის ჯიბეში აღმოჩენილი ჰეროინის (რაც 1.6150 გრამს შედაგენდა) გამო წაყენებული ბრალდება. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეუმცირა სასჯელის ვადა 12 წლამდე. 2009 წლის 7 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი.

განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა

სამედიცინო ისტორიის ასლიდან ირკვევა, რომ განმცხადებელი დაკავებამდე დაავადებული იყო C და B ჯგუფის ჰეპატიტით. ასევე, მას აწუხებდა დისბაქტერიოზი. დაკავების შემდეგ განმცხადებელი მოათავსეს თბილისის მე-5 საპრობილის სამედიცინო განყოფილებაში. ადვოკატის თხოვნით სამედიცინო განყოფილებამ გასცა ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელი არ ითხოვდა სტაციონარულ მკურნალობას. ცნობაში ასევე მითითებული იყო, რომ განმცხადებელს აწუხებდა არტერიული ჰიპერტენზია, ქრონიკული ჰეპატიტი და ნეფლული.

შემდგომში აპლიკანტი რამდენჯერმე გადაიყვანეს სხვადასხვა ციხეში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო სამედიცინო განყოფილებაში მოთავსების შემდეგ არასათანადო მკურნალობის შედეგად იგი ტუბერკულოზით დაავად-

და, რაც სამედიცინო გამოკვლევებითაც დადგინდა. მთავრობა აცხადებდა, რომ განმცხადებელს უტარდებოდა ყველა საჭირო სამედიცინო ღონისძიება, რასაც არ დაეთანხმა დაცვის მხარე.

მთავრობასთან კომუნიკაციის შემდეგ განმცხადებელი მოათავსეს ციხის საავადმყოფოში დანვრილებითი სამედიცინო გამოკვლევებისთვის, დაენიშნა შესაბამისი მკურნალობის კურსი და მედიკამენტები. უნდა ითქვას, რომ 2006 წლიდან 2010 წლის ჩათვლით სახალხო დამცველის მოხსენებებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამკრძალავი საერთაშორისო კომისიის და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოხსენებებში მრავალჯერ აღინიშნა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული არასათანადო მოპყრობისა და ასევე, არასათანადო სამედიცინო მკურნალობის თაობაზე. მთავრობას რამდენჯერმე მიემართა რეკომენდაციით, თუ რა ზომები უნდა გატარებულიყო ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე

განმცხადებელი ჩიოდა, რომ არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების გამო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხეში მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხოლო ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა იგი საავადმყოფოში დროულად არ გადაიყვანეს. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები.

მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ამონური შიდასამართლებრივი ზომები აღნიშნული პრეტენზიის განსახილველად და, შესაბამისად, სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ განაცხადი დაუშვებლად ეცნო. სასამართლომ მიიჩნია, რომ განაცხადი დასაბუთებული იყო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების მიხედვით და იგი დასაშვებად ცნო.

სასამართლოს სადავოდ არ მიაჩნია ის საკითხი, რომ განმცხადებელმა არ მიმართა შესაბამისი ციხის ადმინისტრაციას არასაკმარისი სამედიცინო მკურნალობის თაობაზე და ასევე, ისიც ცნობილია, რომ ციხის ადმინისტრაცია საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (მას აწუხებდა ჰეპატიტი და სხვა დაავადებები). შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისთვის ცნობილი იყო აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათ შეეძლოთ, შეეთავაზებინათ მისთვის ამის მოგვარება.¹ მართალია, აპლიკანტმა არ გამოიყენა უფლება, ადმინისტრაციული წესით გაესაჩივრებინა თავისი საქმე (როგორც ეს მთავრობის წარმომადგენელმა შემოგვთავაზა), მაგრამ სასამართლო მაინც აღნიშნავს, რომ პრობლემა რომელიც უკვე არსებობდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ჯეროვანი სამედიცინო მომსახურების არარსებობასთან დაკავშირებით, ატარებდა სტრუქტურულ ხასიათს და აღარ ეხებოდა მხოლოდ ამ კონკრეტული აპლიკანტის საქმეს.²

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებათა კვეთილი პირების ფიზიკური ჯანმრთელობა.³ ამავე დროს, ეს არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ზოგადი ვალდებულება, გაათავისულოს დაკავებული პირები ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე. პა-

¹ *Melnik v. Ukraine*, no.72286/01, §70, 28 March 2006; *Siawomir Musiai v. Poland*, no.28300/06, §74, ECHR 2009-... (extracts); and *Hummatov v. Azerbaijan*, nos.9852/03 and 13413/04, §92, 29 November 2007.

² *Poghosyan*, §69, and *Ghavitadze v. Georgia*, no.23204/07, §104, 3 March 2009.

³ *Kudia v. Poland* [GC], no.30210/96, §94, ECHR 2000 XI.

ტიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შედარება მის განგრძობით დაკავებასთან, თუნდაც ის ძალიან სერიოზული ავადმყოფი იყოს, უფრო მეტად განპირობებულია სახელმწიფოს უნარიანობით, უზრუნველყოს საჭირო ხარისხის შესაბამისი მკურნალობა ციხეში.⁴

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაკავებული პირი გასინჯა ექიმმა და დაუნიშნა კონკრეტული მკურნალობა, არ შეიძლება ავტომატურად ნიშნავდეს ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას.

საქმის მასალების თანახმად, აპლიკანტი დააკავეს 2007 წლის 31 მარტს და მოათავსეს თბილისის მე-5 საპყრობილეში. ციხის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ 2007 წლის 14 აგვისტოს აპლიკანტი, მისი საჩივრის საფუძველზე, გასინჯა სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელმაც დაასკვნა, რომ მას არ ესაჭიროებოდა სტაციონარული მკურნალობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამედიცინო ჩანაწერები, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი, თუ როდის და რა ფორმით ჩაუტარდა აპლიკანტს სავარაუდო სამედიცინო შემოწმება მე-5 საპყრობილეში. საქმეში არც პაციენტის ამბულატორიული მკურნალობის ჩანაწერი მოიძებნა. 2008 წლის 18 ივლისს აპლიკანტი რუსთავის მე-6 საპყრობილეში გადაიყვანეს. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელი მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იყო და წარმოადგინა რუსთავის მე-6 საპყრობილის მთავარი ექიმის მიერ 2011 წლის 29 ივნისს გაცემული ცნობა. სასამართლოს გააჩნია გარკვეული ეჭვი აღნიშნული ცნობის სიზუსტესთან დაკავშირებით. კერძოდ, მაშინ, როცა ცნობა დეტალურად აღწერს რუსთავის მე-6 საპყრობილის სამედიცინო განყოფილების შესაძლებლობებს, ძალიან ბუნდოვანია ინფორმაცია აპლიკანტისათვის განეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე, რომლითაც უნდა ესარგებლა მას ამ განყოფილებაში ყოფნის განმავლობაში. ამას გარდა, სამედიცინო ცნობა დათარიღებულია 2011 წლის 29 ივნისით და არ არსებობს სხვა რაიმე სამედიცინო ჩანაწერი განმცხადებლის მკურნალობის თაობაზე, რომელსაც იგი, სავარაუდოდ, იღებდა რუსთავის მე-6 საპყრობილეში 2008 წლის 18 ივლისიდან 2010 წლის 16 ივნისამდე.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს აპლიკანტისათვის ყოველმხრივი სამედიცინო მკურნალობის ჩატარების თაობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობამ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ აპლიკანტს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო ჩამოკვლევა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჯეროვანი დიაგნოსტიკური გამოკვლევის გარეშე აპლიკანტის მიტოვებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაინფიცირებული იყო ჰეპატიტით, ხელისუფლების შესაბამისმა წარმომადგენლებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დააყენეს რისკის ქვეშ.⁵ აპლიკანტს ასევე არ მიაწოდეს სათანადო ინფორმაცია თავისი დაავადების შესახებ და ამგვარად, მან ვეღარ შეძლო რაიმე სახით ეკონტროლებინა დაავადება.⁶

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტი ციხეში მოხვდა სერიოზული დიაგნოზით, რომელიც მას ადრე ჰქონდა დასმული. ასეთ გარემოებებში, სასამართლომ თუნდაც რომ გაიზიაროს მთავრობის არგუმენტი, რომ განმცხადებლის ზემოაღნიშნული დიაგნოზები ატარებდა წინასწარ ხასიათს, სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ციხის ადმინისტრაცია ვალდებული იყო, ოპერატიულად გადაემოწმებინა ეს ინფორმაცია, რათა ჯეროვნად განესაზღვრა აპლიკანტის სამომავლო მკურნალობა.

⁴ *Goginashvili*, §§69-70, and *Makharadze and Sikharulidze*, §§71-73.

⁵ *Goginashvili*, cited above, §80.

⁶ *Testa v. Croatia*, no.20877/04, §52, 12 July 2007.

და ბოლოს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად ორი ანგარიშისა აპლიკანტის კარდიოლოგიური შემოწმების თაობაზე, რომელიც მან 2010 წლის 23 იანვარსა და 30 ივლისს გაიარა, სამედიცინო ისტორიაში არ მოიძებნა რაიმე მსგავსი ჩანაწერი. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი განმცხადებლის მიმართ ციხეში ჯეროვანი და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების განევის თაობაზე.⁷

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი აპლიკანტის მიმართ ციხეში ადეკვატური მკურნალობის არარსებობის გამო;
2. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

⁷ *Malenko v. Ukraine*, no.18660/03, §§55-58, 19 February 2009; *Ashot Harutyunyan v. Armenia*, no.34334/04, §112, 15 June 2010, and, *a contrario*, *Goginashvili*, §72.

დვალისპილი საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №19634/07

2007 წლის 6 აპრილს რევაზ დვალისპილიმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 18 დეკემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№19634/07) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

პოლიციელებმა აპლიკანტი დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ტაქსის მძღოლზე თავდასხმის გამო. იგი ეჭვმიტანილის სტატუსით გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მან განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო და გამოიყენა დუმილის უფლება. ტაქსის მძღოლმა ის ამოიცივნო, როგორც ერთ-ერთი თავდამსხმელი. აპლიკანტის მტკიცებით, აღიარების მოთხოვნით, სამმა პოლიციელმა მას სასტიკად სცემა. ისინი მოითხოვდნენ, რომ აპლიკანტს ელიარებინა ტაქსის მძღოლზე თავდასხმა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. მომდევნო დღეს მას ბრალი წაუყენეს სსკ-ის 239 §2 (ა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. იგი დაკითხეს ადვოკატის გარეშე, უკვე როგორც ბრალდებული, რა დროსაც მან აღიარა დანაშაული. მოგვიანებით აპლიკანტისათვის საჭირო გახდა სამედიცინო დახმარების გამოძახება. ექიმმა და მედდამ, რომლებმაც ვიზუალურად, პროკურორის თანდასწრებით, გასინჯეს განმცხადებელი, დაადგინეს, რომ პაციენტს მარჯვენა თვალზე აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები და გატეხილი ჰქონდა ცხვირი. ექიმების შეკითხვას დაზიანებების თაობაზე განმცხადებელმა უპასუხა, რომ იგი პოლიციელებისგან გაქცევის მცდელობისას წაიქცა, რამაც გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები.

წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ აპლიკანტი თავდებით გაათავისუფლა გირაოს სანაცვლოდ. სასამართლო სხდომაზე მან გაიმეორა პოლიციის განყოფილებაში მიცემული აღიარებითი ჩვენება, რადგან პოლიციელები სანაცვლოდ დაჰპირდნენ გაათავისუფლებას.

მომდევნო დღეს აპლიკანტი თავის ძლიერი ტკივილით, ზოგადი სისუსტისა და ღებინების სიმპტომებით გადაიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში. რეგისტრატურაში მან განაცხადა, რომ სცემეს პოლიციელებმა. სამედიცინო შემონმების შემდეგ დაუდგინდა თავის ქალას შიდა ტრავმა, ჰემატომა მარჯვენა თვალზე და სხვადასხვა დაზიანება. განმცხადებელმა საავადმყოფოში ერთი თვე იმკურნალა, თუმცა განერიდან მეორე დღესვე უკან შეაბრუნეს თავის ძლიერი ტკივილების გამო. საქმის გამომძიებელმა დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო დაზიანების სიმძიმე და მისი გამომწვევი მიზეზები, რაც მოკვლევით დადგინდა.

2006 წლის 12 ოქტომბერს აპლიკანტის ადვოკატმა მოითხოვა ალტერნატიული სამედიცინო შემონმება, რათა დადგენილიყო, შეიძლებოდა თუ არა მინაზე მხოლოდ ერთხელ ნაქცევით თავისი დაცვის ქვეშ მყოფს მიეღო ასეთი ხარისხის მრავლობითი დაზიანებები. ექსპერტმა გამოიკვლია მიყენებული დაზიანებები და დაადგინა, რომ შეუძლებელი იყო ასეთი მძიმე დაზიანებების მიღება მინაზე მხოლოდ ერთხელ ნაქცევით.

2006 წლის 28 დეკემბერს წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ აპლიკანტი დამნა-

შავედ ცნო და მიუსაჯა ერთი წლით პატიმრობა, ასევე, დააკისრა ჯარიმა. სასამართლომ არ გაიზიარა აპლიკანტის ჩვენებები მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. ქუთაისის სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

აპლიკანტის მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამოძიება

2006 წლის 10 თებერვალს აპლიკანტმა დასავლეთ საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შეიტანა საჩივარი პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამო. გამოძიება დაიწყო იმავე დღეს სსკ-ის 144(1)-ე მუხლის საფუძველზე.

პროკურატურაში დაიკითხა შვიდი პოლიციელი, მათ შორის ისინი, ვინც დააკავა განმცხადებელი და ისინიც, ვინც, სავარაუდოდ, მონაწილეობდა აპლიკანტის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში. პოლიციელებმა განაცხადეს, რომ დაზიანებები აპლიკანტმა მიიღო დაკავებისას, როდესაც ის გარბოდა და დაეცა მიწაზე. პროკურორმა ასევე დაკითხა ტაქსის მძღოლი, რომელმაც ამოიცნო აპლიკანტი, როგორც თავდამსხმელი და ასევე დაიკითხა ის ხუთი მოწმეც, ვინც ამოცნობის პროცესში მონაწილეობდა. მათ დაადასტურეს, რომ განმცხადებელს დაკავებისას არ გაუწევია წინააღმდეგობა პოლიციელთათვის, უფრო მეტიც, აპლიკანტს არ აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები იმ მომენტისათვის. ასევე დაიკითხნენ სასწრაფო დახმარების ექიმი და მედდა, რომლებმაც ვიზუალურად შეამოწმეს დაკავებული. მათ დაადასტურეს თავიანთი დიაგნოზი მიყენებული დაზიანებების თაობაზე და გაიმეორეს, რომ აპლიკანტს არ დაუჩივლია პოლიციელებზე და რომ დაზიანებები, მისი თქმით, მიიღო ნაქცევისას, როდესაც ცდილობდა დანაშაულის ადგილიდან მიმალვას.

2006 წლის 24 მაისს საქმეზე არსებული მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე პროკურატურამ ძიება შეწყვიტა და აპლიკანტისათვის მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით სრულად გაიზიარა პოლიციის ოფიცრების ჩვენებები. 2006 წლის 21 მარტის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე პროკურატურამ დაასკვნა, რომ დაზიანებები განმცხადებელს შესაძლოა, მიეღო შემთხვევით დაცემისას ან პოლიციელების მიერ დაკავებისას, აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგად. ადვოკატმა პროკურატურის აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ – უშედეგოდ.

სასამართლოს შეფასება

ა) სავარაუდო არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით

განმცხადებელი ჩიოდა, რომ წყალტუბოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა მის მიმართ განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა. მოგვიანებით კი შესაბამისი უწყების წარმომადგენლებმა არ ჩაატარეს დეტალური და ადეკვატური გამოძიება მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. განმცხადებელს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მთავრობის წარმომადგენელი არ დაეთანხმა ამ პრეტენზიას და არგუმენტაციის სახით სასამართლოს შეახსენა პოლიციის დეპარტამენტში მიყვანისას აპლიკანტისათვის ჩატარებული ვიზუალური დათვალეირების დასკვნა. მთავრობის წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ აპლიკანტმა ადგილობრივი საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვისას ვერ შეძლო მტკიცებულებების წარდგენა, რათა დაედსტურებინა, განხორციელდა თუ არა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობა. რაც შეეხება კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით გათვალისწინებულ პოზიტიურ ვალდებუ-

ლებას, რომლის შესრულებაც დაკისრებული აქვს ხელშემკვრელ სახელმწიფოს, მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპლიკანტის განცხადებები და საჩივრები გულდასმით შეისწავლა პროკურატურამ, საგამოძიებო დასკვნები გასაჩივრდა ადგილობრივი სასამართლოს ორ ინსტანციაში და ყველა ეტაპზე სასამართლომ ძალაში დატოვა.

აპლიკანტი არ დაეთანხმა მთავრობის არც ერთ არგუმენტს.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი აბსოლუტურად კრძალავს წამებას და არაადამიანურ, თუ დამამცირებელ მოპყრობას. სასტიკი მოპყრობა თავისი გამოხატულებით უნდა აღწევდეს სიმკაცრის მინიმალურ ზღვარს, რათა მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. ამ მინიმუმის შეფასება შედარებითია: ეს, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს საქმის გარემოებებზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში – მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თავისუფებააღკვეთილი პირის მიმართ ძალის გამოყენება, რომელიც არ იყო აუცილებელი მისი ქცევებიდან გამომდინარე, აზიანებს ადამიანის ღირსებას და, პრინციპში, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას¹.

სასამართლო სენსიტიურია თავისი დამხმარე როლის მიმართ და აღიარებს, რომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს როლის მორგებისას იქ, სადაც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ აირიდებს ამას თავიდან.² თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ეხება, სასამართლომ უნდა განახორციელოს განსაკუთრებულად დეტალური მოკვლევა³ და ეს უნდა მოხდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მასალის საფუძველზე დაყრდნობით.

მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ დაადგინა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ არსებული მტკიცებულების სტანდარტი.⁴ ასეთი მტკიცება შესაძლებელია, გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, აშკარა და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტის მსგავსი უდავო პრეზუმფციიდან.⁵ ამას გარდა, იმ შემთხვევაში, როცა სადავო მოვლენები სრულიად ან დიდწილად განპირობებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა ექსკლუზიური ცოდნით, ისე, როგორც საპატიმროზე ზედამხედველი პირების შემთხვევაში, წარმოიშვება ფაქტის ძლიერი პრეზუმფცია პატიმრობისას მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით. მართლაც, მტკიცების ტვირთი უნდა განიხილებოდეს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაკისრებული აუცილებლობა, რათა უზრუნველყონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტებები.⁶

და ბოლოს, სასამართლო კვლავ იმეორებს: როდესაც ინდივიდი ჩივის, რომ მის მიმართ პოლიციელებმა განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა, უნდა ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება. გამოძიებამ უნდა დაადგინოს და საჭიროების შემთხვევაში დასაჯოს კიდეც პასუხისმგებელი პირები. სხვაგვარად, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, პრაქტიკაში არაეფექტურად განხორციელდება და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა, სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ძალა-უფლების ბოროტად გამოყენებაც გამოვლინდეს.⁷

¹ *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, 6 April 2000, §§ 119-20, ECHR 2000-IV.

² *McKerr v. the United Kingdom* (dec.), no. 28883/95, 4 April 2000.

³ *Blk v. Ekin v. Turkey*, no. 27602/95, §135, 16 July 2002.

⁴ *Orhan v. Turkey*, no.25656/94, §264, 18 June 2002, and *Avcar v. Turkey*, no.25657/94, §282, ECHR 2001 VII.

⁵ *Blk v. Ekin*, cited above, §142.

⁶ *Salman v. Turkey* [GC], no.21986/93, §100, ECHR 2000 VII.

⁷ *Assenov and Others v. Bulgaria*, 28 October 1998, §102, *Reports of Judgments and Decisions* 1998 VIII.

აპლიკანტისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნულს მიიჩნევს, როგორც მძიმე დაზიანებებს, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება, გააკეთოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება დაზიანებების გამომწვევი მიზეზების დასადგენად. ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს, დანვრილებით შეესწავლათ სამედიცინო დასკვნები და შემოიფარგლნენ მხოლოდ იმით, რომ აღნიშნული დასკვნები არ ადასტურებდა არაადამიანურ მოპყრობას. მთავრობას არც ის საკითხი განუხილავს, რომ აპლიკანტისათვის მიყენებული დაზიანებები შეუძლებელია, გამონვეულიყო მხოლოდ ერთხელ ნაქცევით. ამას გარდა, სასამართლო ასკვნის, რომ ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს მონმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით. საქმის მასალების მიხედვით, მონმეთა ჩვენებები მიუთითებს, რომ განმცხადებელი ადგილზევე დააპატიმრეს პოლიციელებმა და მას არ უცდია გაქცევა. შესაბამისად, განმცხადებელი ვერ მიიღებდა ფიზიკურ დაზიანებებს დაპატიმრებისას, გაქცევის მცდელობის დროს. ამას თვითმხილველი მონმეებიც ადასტურებენ, რომ აპლიკანტს დაკავებისას არანაირი დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ აპლიკანტმა ვერ შეძლო მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის დამტკიცება პროკურატურასა და სასამართლო ინსტანციებში. განმცხადებელს ასევე არ ახლდა ადვოკატი დაკავების პირველსავე ეტაპზე. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ აპლიკანტმა მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე განაცხადა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გათავისუფლდა გირაოთი და საავადმყოფოდან გამოწერისთანავე მიმართა პროკურატურას.

ყოველივე ზემოხსენებულისა და საქართველოს პოლიციის წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ჩადენის სამწუხარო ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ აპლიკანტის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან იგი იყო პოლციელთა მხრიდან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

ბ) სავარაუდო არადეკვატურ გამოძიებასთან დაკავშირებით

სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა აწარმოეს მოკვლევა აპლიკანტის საჩივრის თაობაზე მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამო და რამდენიმე შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიება, როგორცაა სხვადასხვა მონმის დაკითხვა, მართლაც რომ ჯეროვნად გატარდა. ამის მიუხედავად, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ მოკვლევა იყო ჯეროვნად დეტალური და ეფექტური. შესაბამისად, მას არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოძიებას არ დაუნიშნავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება აპლიკანტის დაზიანებების გამომწვევი მიზეზების დასადგენად. პროკურატურის წარმომადგენლები მხოლოდ ორ სამედიცინო დასკვნას დაეყრდნენ, რომლებიც მოთავსებული იყო აპლიკანტის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეში. თუმცა, სასამართლოს გააჩნია კონკრეტული დათქმები იმაზე, რომ აღნიშნული სამედიცინო დასკვნები ზუსტი და სანდოა.

პირველი სამედიცინო დასკვნა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმმა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით შეადგინა, პროკურორის თანდასწრებით დაინერა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის სამედიცინო შემოწმება უნდა განხორციელდეს პოლიციელთა და მთავრობის სხვა წარმომადგენლების თანდასწრებით გარე-

შე, რათა მიღწეულ იქნეს დამოუკიდებლობისა და გულმოდგინების ყველა საჭირო სტანდარტი.⁸

რაც შეეხება მეორე სამედიცინო დასკვნას, რომელიც გაიცა აპლიკანტის ფაქტობრივი შემონმების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მასში დეტალურადაა აღწერილი მიყენებული დაზიანებები, იგი ვერ წარმოადგენს დამაჯერებელ ახსნას ტრავმების წარმომავლობის თაობაზე და ამგვარად, ვერ პასუხობს საკვანძო კითხვას, კერძოდ იმას, რომ სხეულის სხვადასხვა ადგილას აპლიკანტისათვის მიყენებული მრავლობითი დაზიანებები შეიძლებოდა თუ არა გამონვეულიყო მხოლოდ ერთხელ ნაქცევით, ისე, როგორც ამას პოლიციელები ამტკიცებდნენ. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩავარდნა იყო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ სამედიცინო შემონმების არაჯეროვნად წარმართვა და ამგვარად, მან ვერ უზრუნველყო ინციდენტთან დაკავშირებული საკვანძო მტკიცებულებების შენახვა.

სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეულწილად შეუსაბამოდ მიუდგნენ მოცემულ საქმეზე არსებული მტკიცებულებების შეფასებას. ეს გამომდინარეობს პროკურატურისა და სასამართლოების გადანყვეტილებებიდან, რადგან მათი მოსაზრებები ძირითადად ეფუძნებოდა ინციდენტში მონაწილე პოლიციის ოფიცრების ჩვენებებს, აპლიკანტის აღიარებას და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნისას წარმოებულ პირველადი გამოძიების შედეგებს. სასამართლოს წარმოუდგენლად მიაჩნია ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ნაცვლად იმისა, რომ აპლიკანტის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის შესახებ არსებული განაცხადები გადაემონმებინათ, დაეყრდნენ იმავე აღიარებას, რაც განმცხადებლის მტკიცებით, მოპოვებული იყო მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის შედეგად. ამას გარდა, პროკურატურამ და სასამართლომ, ყოველგვარი დამამტკიცებელი გარემოებების გარეშე, სანდოდ მიიჩნიეს პოლიციელთა ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ისინი სუბიექტური ყოფილიყო და მიზნად ისახავდა აპლიკანტზე განხორციელებული სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის გამო პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას. პოლიციელთა ჩვენებები ასევე უნდა გადამონმებულიყო, რადგან მიიჩნევა, რომ გამოძიებას უნდა დაედგინა, დაეკისრებოდა თუ არა აღნიშნულ პოლიციელებს დისციპლინური პასუხისმგებლობა ან წარედგინებოდათ თუ არა მათ სისხლისსამართლებრივი ბრალი.⁹

შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილიც.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა – არამატერიალური ზიანის ასაზღაურებლად.

⁸ *Akkoz v. Turkey*, nos.22947/93 and 22948/93, §118, ECHR 2000 X; *Karademir v. Turkey*, no.32990/96, §53, 30 October 2001; and *Lopata v. Russia*, no.72250/01, §114, 13 July 2010.

⁹ *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, no.46317/99, §99, 23 February 2006, and *Antipenkov v. Russia*, no.33470/03, §69, 15 October 2009.

ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ

განაცხადი №39804/04

2004 წლის 6 აგვისტოს ადამ ბაისუევმა და რუსტამ ანზოროვმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 18 დეკემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№39804/04) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I და II ნაწილები.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები რუსეთის მოქალაქე ეთნიკური ჩეჩნები არიან და სადავო მოვლენათა განვითარებისას იმყოფებოდნენ თბილისში, სადაც მათ ლტოლვილის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული.

აპლიკანტთა განცხადებით, 2002 წლის 7 დეკემბერს, გამთენიისას, ისინი სახლში დაკითხეს პოლიციელებმა. ასევე, პოლიციამ მათ სახლებში ორდერის გარეშე ჩაატარა ჩხრეკა. ისინი წაიყვანეს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებაში, დაკითხეს რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე, გადაუღეს ფოტოები, აუღეს თითის ანაბეჭდები და სამი საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

მთავრობა არ დაეთანხმა მოვლენების აპლიკანტების მიერ წარმოდგენილ აღწერას და განაცხადა, რომ პოლიციამ მათგან მოითხოვა პირადობის დამადასტურებელი საბუთები და მოსთხოვეს, გაჰყოლოდნენ პოლიციაში, სადაც გადამოწმდებოდა დოკუმენტაციის ნამდვილობა. პოლიციელთა განცხადებით, აპლიკანტებმა მხოლოდ ნახევარი საათი დაჰყვეს განყოფილებაში და შემომსმების დასრულებისთანავე გაათავისუფლდნენ.

აპლიკანტების მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებები

აღნიშნული დაკავების თაობაზე აპლიკანტებმა საჩივრით მიმართეს გენერალურ პროკურატურას, სადაც გაასაჩივრეს პოლიციელთა მიერ გატარებული ღონისძიებები და მოითხოვეს განმარტება, თუ რა საფუძვლით ჩატარდა მათ საცხოვრებელში ჩხრეკა, ან რატომ გახდა საჭირო მათი გადაყვანა პოლიციის განყოფილებაში. თუმცა, სახელმწიფოს წარმომადგენელმა სასამართლოზე აღნიშნა, რომ მთავარ პროკურატურაში აღნიშნული განცხადება ვერ მოიძიეს.

შემდგომში უკვე მეორე განმცხადებელმა შესაბამის ორგანოებს რამდენჯერმე მიმართა ხელახალი საჩივრით და მოითხოვა, აეხსნათ, თუ რა მიზეზით დააკავეს ისინი და რატომ გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მოგვიანებით განმცხადებლებმა წერილობითი ფორმითაც მოითხოვეს განმარტებები. ამის მიუხედავად, პოლიციას საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია და საკითხის შესწავლის ნაცვლად, საჩივრები ქვემდებარეობის მიხედვით ისევ რაიონული პოლიციის განყოფილებას გადაეგზავნა. მთავრობის წარმომადგენლებმა ვერც ამ საჩივრების მოძიება შეძლეს.

განმცხადებლები ითხოვდნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას იმ პოლიციელთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ დააკავეს, გადაიყვანეს განყოფილებაში და ორდე-

რის გარეშე ჩაატარეს ჩხრეკა, თუმცა არც ამ მოთხოვნას მოჰყოლია რაიმე რეაგირება შესაბამისი უწყებების მხრიდან. გამოძიების მასალები ისევ პოლიციელთა განმარტებებს ეყრდნობოდა.

სასამართლოს შეფასება

აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ 2002 წლის 7 დეკემბერს ისინი დააკავეს პოლიციის განყოფილებაში ყოველგვარი შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევას. ამას გარდა, ისინი ჩიოდნენ, რომ არ აცნობეს, თუ რა იყო მათი დაკავების მიზეზი და არ მიეცათ აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობა ადგილობრივ სასამართლოებში.

მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ამონურული შიდა სამართლებრივი ღონისძიებები და, შესაბამისად, განაცხადი არ უნდა მიეჩნია სასამართლოს დასაშვებად. აპლიკანტების აზრით, გამოძიება არაეფექტური იყო, რადგან ინციდენტიდან გასული იყო სამ წელზე მეტი და მთავრობის მხრიდან რეაგირება ჯერ კიდევ არ იყო.

სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი არც შიდასამართლებრივი ზომების ამოუწერაობასა და არც ექვსთვიანი ვადის ამონურვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადი დასაშვებად ცნო.

კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით

მთავრობის მხარემ აღნიშნა, რომ საქმეში აღწერილი მოვლენების განვითარებისას საქართველოში პრევალირებდა უსაფრთხოების საკითხები. 1999 წლის ბოლოს, ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლის შემდეგ, სახელმწიფო დაადანაშაულეს ჩეჩენი მებრძოლებისათვის თავშესაფრის მიცემაში. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული რეგიონი პანკისის ხეობა იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო ლტოლვილთა რეგისტრაციის პროცესში აქტიურად იყო ჩართული, რა დროსაც მისი წარმომადგენლები ამონმებდნენ უცხო პირთა პირადობის მოწმობებს და საქართველოში მათი ყოფნის სამართლებრივ სტატუსს. განმცხადებლების მიმართ განხორციელებული ღონისძიებებიც სწორედ ამ პროცესში ჩართულობით იყო გამომწვეული. მთავრობამ აღნიშნა, რომ აპლიკანტების დაკავება დროებითი იყო და მათ მხოლოდ იმდენი ხანი გაატარეს პოლიციაში, რამდენიც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმების პროცესს ესაჭიროებოდა. შესაბამისად, დაკავება კანონიერი იყო. განმცხადებლები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას.

სასამართლომ კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლით გამყარებულია ფუნდამენტური უფლება, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ პიროვნების თვითნებური დაკავებისგან დაცვა. ამ მუხლის მიზანია, უზრუნველყოს, რომ არავინ დააკაონ თვითნებურად. თუმცა, ეს არ ეხება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, რაც კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლითაა გათვალისწინებული. იმისათვის, რომ დადგინდეს, აღუკვეთეს თუ არა აპლიკანტებს თავისუფლება, საწყის წერტილად უნდა განისაზღვროს პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული სიტუაცია, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული საქმის გარშემო არსებულ გარემოებებს და სადავო ღონისძიებების შედეგებსა და განხორციელების ფორმებს.¹ კონვენციის მე-5 მუხლი შე-

¹ see *Guzzardi v. Italy*, 6 November 1980, Series A no. 39, § 92, and *H.L. v. the United Kingdom*, no. 45508/99, § 89, ECHR 2004-IX; see also *Austin and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 39692/09, 40713/09 and 41008/09, §§ 52-60, ECHR 2012.

იძლება გამოყენებული იყოს თავისუფლების შეზღუდვის ძალიან ხანმოკლე პერიოდის შემთხვევაშიც.²

სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (ა) და (ა) ქვეპუნქტები მოიცავს იმ საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებშიც მითითებულია, თუ რა შემთხვევაში იქნება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა კანონიერი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები დაობენ იმაზე, თუ რა ხანგრძლივობით იყვნენ აპლიკანტები დაკავებული პოლიციის განყოფილებაში, რადგან, მომჩივანთა მტკიცებით, ისინი სამი საათის განმავლობაში იყვნენ დაკავებულები, ხოლო მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებლები 30 წუთზე მეტ ხანს არ დაუკავებიათ. ამ საკითხის განსაზღვრისას სასამართლო მიიჩნევს, რომ ამაზე, მთავრობის მხრიდან რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, ეჭვი განმცხადებლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან მთავრობის უპირველესი მოვალეობაა, ასეთ შემთხვევაში წარმოადგინოს დეტალური და საათობრივი ჩანაწერი.³

სასამართლომ ახლა უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა აპლიკანტთა დაკავება თვითნებური. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ მიუთითა შიდა კანონმდებლობაზე – კერძოდ, პოლიციის შესახებ კანონის მე-8 მუხლსა და პრეზიდენტის №634 ბრძანებულების მე-3 და მე-5 მუხლებზე. სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტის მნიშვნელობა.

ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმის შესახებ, რომ აპლიკანტების ქმედებებში იყო რაიმე უკანონობა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი პატიმრობა არ თავსდებოდა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებში.

ამას გარდა, აპლიკანტთა თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ იყო დოკუმენტურად დასაბუთებული. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივი ხანგრძლივობისა, პიროვნების ოფიციალურად დაურეგისტრირებელი პატიმრობა წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების უარყოფას და წარმოაჩენს ამ მუხლის ძალიან უხეშ დარღვევას.⁴

კონვენციის მე-5 მუხლის II ნაწილის სავარაუდო დარღვევა

მთავრობის წარმომადგენლებმა კვლავ განაცხადეს, რომ აპლიკანტებს თავისუფლება არ შეზღუდვიათ კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მნიშვნელობით. შესაბამისად, კონკრეტულ პოლიციელებს არ ევალებოდათ, აპლიკანტებისათვის ეცნობებინათ დაკავების მიზეზები. აღნიშნულს არ იზიარებენ განმცხადებლები.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნებისმიერმა პირმა უნდა იცოდეს, თუ რატომ შეეზღუდა მას თავისუფლება. ეს პირობა უნდა შესრულდეს დაკავებული პირისთვის გასაგებ ენაზე, რა დროსაც მას უნდა განემარტოს თავისი უფლებები.⁵

² see *Gillan and Quinton v. the United Kingdom*, no. 4158/05, § 57, ECHR 2010 ... (extracts), where the applicants were stopped for a search which did not exceed thirty minutes; see also *Iliya Stefanov v. Bulgaria*, no. 65755/01, § 71, 22 May 2008, and *Foka v. Turkey*, no. 28940/95, § 75, 24 June 2008.

³ see *Creangă v. Romania* [GC], no. 29226/03, §§ 89-90, 23 February 2012; see also *Salayev v. Azerbaijan*, no. 40900/05, § 39, 9 November 2010; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, § 157, 9 November 2010; and *Boris Popov v. Russia*, no. 23284/04, § 61, 28 October 2010.

⁴ see *Kurt v. Turkey*, 25 May 1998, §125, *Reports* 1998-III.

⁵ see *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, 30 August 1990, § 40, Series A no. 182; see also *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no. 36378/02, § 413, ECHR 2005 III.

წარმოდგენილ საქმეში სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ აპლიკანტებს შეეზღუდათ თავისუფლება. ის ფაქტი, რომ აპლიკანტებს არ წარედგინათ რაიმე წერილობითი დოკუმენტი მათ დაკავებასთან დაკავშირებით და 2002 წლის 7 დეკემბერს იმყოფებოდნენ სრულ გაურკვევლობაში, ამყარებს მათ არგუმენტებს თავისუფლების დაუსაბუთებელი აღკვეთის თაობაზე. შემდგომში უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელთა თქმით, მათ მიმართ განხორციელდა სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიება პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას. საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტთა დაკითხვამ ისინი უფრო მეტ გაუგებრობაში ამყოფა მათი დაკავების მიზეზებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

1. დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი;
2. დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის II ნაწილი;
3. სახელმწიფოს განმცხადებელთა სასარგებლოდ დაეკისრა: თითოეულისთვის 500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 100 ევროს გადახდა – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ

ბანაცხადი №1871/08

2007 წლის 7 დეკემბერს გენადი ჯელაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2012 წლის 18 დეკემბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№1871/08) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების გამო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი ამჟამად სასჯელს იხდის რუსთავის №6 კოლონიაში. 2004 წლის 21 ივლისს იგი დააკავეს, როგორც ექვმიტანილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობასა და ფიზიკური დაზიანებების მიყენებაში (სსკ-ის 109-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული). პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, რაც შემდგომში, სხვადასხვა დროს გაგრძელდა. 2006 წლის 30 ივნისს აპლიკანტს შეეფარდა 18-წლიანი პატიმრობა. მისი თქმით, სასამართლო სხდომებზე მოსამართლემ არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ მოყვანილი მოწმეების ჩვენებები. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციომ, ხოლო შემდეგ უკვე უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 7 ივნისს დატოვა ძალაში.

აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა

აპლიკანტის ადვოკატმა 2007 წლის 4 ივნისს მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლა, მაგრამ უარი ეთქვა. მოგვიანებით შესაბამისმა ორგანოებმა მაინც ჩაუტარეს აპლიკანტს სამედიცინო გამოკვლევა, თავისი დაფინანსებით. აღნიშნული კვლევით დადგინდა, რომ აპლიკანტი დაავადებული იყო C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმით. ექსპერტებმა მისი მდგომარეობა არ შეაფასეს, როგორც საგანგაშო და რეკომენდაცია მისცეს შესაბამისი მკურნალობის ჩატარებაზე.

შემდგომში ადვოკატმა მოითხოვა აპლიკანტის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და განუცხადა, რომ პატიმარს შესაბამისი მკურნალობის კურსი ციხეში უტარდებოდა და მისი გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში არ იყო საჭირო, რადგან მდგომარეობა სტაბილური იყო. ამასობაში განმცხადებელი უცნობი მიზეზებით რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადაიყვანეს რუსთავის №2 დაწესებულებაში, რაც მისმა ადვოკატმა გაასაჩივრა შესაბამის უწყებაში. ადვოკატი ითხოვდა ციხის ადმინისტრაციისგან განმარტებას, თუ რა იყო მისი დაცვის ქვეშ მყოფის გადაყვანის მიზეზი და კვლავ მოითხოვა მისი საავადმყოფოში მოთავსება, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო შესაბამისი მკურნალობის ჩატარება. პასუხად ციხის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ აპლიკანტი საპატიმროში გადიოდა სიმპტომატური მკურნალობის კურსს და არ იყო საჭირო მისი საავადმყოფოში გადაყვანა.

განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნა, მიეღო მისი დაცვის ქვეშ მყოფის სამედიცინო ისტორიის ასლი, უპასუხოდ დარჩა. 2008 წლის 21 ივლისს ადვოკატმა მოითხოვა თავისი კლიენტისთვის ხელახალი სამედიცინო შემოწმების ჩატარება, რათა დადგე-

ნილიყო, თუ რამდენად პროგრესირებადი იყო C ჰეპატიტის ვირუსი. სამედიცინო კვლევის ხარჯები, ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსთან შეთანხმებით, აპლიკანტს უნდა დაეფარა. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მომსახურების საფასური 1000 ლარი იყო, 2008 წლის 30 სექტემბერს ადვოკატმა, განმცხადებლის ოჯახის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე მითითებით, თხოვნით მიმართა ციხის ადმინისტრაციას სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე. ამასთან, მიუთითა, რომ განმცხადებელი C ჰეპატიტით ციხეში დაავადდა. ციხის ადმინისტრაციამ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე, რომ მთავრობისათვის მიემართათ დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, ვიდრე შემუშავდებოდა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის გეგმა. 2008 წლის 22 ოქტომბერს მთავრობას მიემართა თხოვნით, სასამართლოსთვის მიენოღებინა ინფორმაცია აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მიმდინარე მკურნალობის შესახებ სასამართლოს რეგლამენტის 54§2(a) მუხლის მიხედვით.

2008 წლის 13 ნოემბერს მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა აპლიკანტის სამედიცინო ისტორიის ასლი, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ აპლიკანტი 2003 წლის 30 ოქტომბერს გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე მთავრობამ განაცხადა, რომ აპლიკანტის დაავადება არ პროგრესირებდა და მისი მდგომარეობა სტაბილური იყო, ასევე მიუთითებდა მკურნალობისას დანიშნულ მედიკამენტებზე.

სასამართლოს შეფასება

აპლიკანტი ჩიოდა, რომ ციხეში იგი დაავადდა C ჰეპატიტით და შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა არ უზრუნველყვეს ადეკვატური სამედიცინო მკურნალობით, რაც, მისი აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

მთავრობის მხარე არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ციხის ადმინისტრაციას არ ევალება C ჰეპატიტის შემთხვევაში აპლიკანტისათვის სკრინინგის ჩატარება. ასევე, ხაზი გაუსვა იმას, რომ პატიმარს ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა, საწყის ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო, სხვადასხვა დროს უტარდებოდა გამოკვლევები, იგი იღებდა ვიტამინებსა და ჰეპატოპროტექტორებს. მთავრობის აზრით, ის ფაქტი, რომ აპლიკანტს ვირუსის გამოვლენისთანავე არ დაენიშნა ანტივირუსული მკურნალობა, თავისთავად, არ წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. რაც შეეხება მკურნალობას, მთავრობამ აღნიშნა, რომ აპლიკანტს ჩაუტარდა ყოველმხრივი და კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობის კურსიც. მთავრობამ შემდგომში წუხილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ აპლიკანტმა თავად თქვა უარი ანტივირუსული მკურნალობის კურსზე.

განმცხადებელი არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტებს.

სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებამებლადული პირების ფიზიკური ჯანმრთელობა.¹ ამავე დროს, მას არ შეუძლია, სახელმწიფოს დააკისროს ვალდებულება, გაათავისუფლოს პატიმრები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ასეთ დროს სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პატიმართა შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა ციხეებში.²

¹ *Kudia v. Poland* [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000 XI.

² *Goginashvili v. Georgia*, no.47729/08, §§69-70, 4 October 2011, and *Makharadze and Sikharulidze v. Georgia*, no. 35254/07, §§71 73, 22 November 2011.

სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში დაადგინა: მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაკავებული პირი მოინახულა ექიმმა და დაუნიშნა შესაბამისი მკურნალობა, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ სამედიცინო მკურნალობა ადეკვატური იყო.³ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ პაციენტის ავადმყოფობის ისტორიისა და მკურნალობის დეტალური ჩანერა;⁴ რომ დიაგნოზი დასმულია და მკურნალობა ჯეროვნად და გულდასმით ხორციელდება⁵ და რომ დაავადების სირთულის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ზედამხეველობა რეგულარული, სისტემური და კომპლექსური თერაპიის ფონზე მიმდინარეობს – პაციენტის განკურნებამდე, ან მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.⁶ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე უნდა წარმოაჩინონ, რომ ყველა საჭირო პირობაა შექმნილი მკურნალობის ჩასატარებლად.⁷ ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებისას, მან უნდა იხელმძღვანელოს ჯეროვანი გულმოდგინების ტესტით, რადგან სახელმწიფოს ვალდებულება – უმკურნალოს მძიმედ დაავადებულ პაციენტს – არის ერთ-ერთი საშუალება და არა შედეგი.⁸

უპირველესად, სასამართლოს სურს ყურადღება მიაპყროს მთავრობის მიერ წამოჭრილ საკითხზე C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტისათვის იძულებითი სკრინინგის ჩატარების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ C ჰეპატიტის გავრცელების პრობლემის სირთულეზე საქართველოს ციხეებში, ისევე როგორც ზემოხსენებული სკრინინგის როლზე ამ დაავადების გავრცელების შესამცირებლად, სასამართლომ უკვე აცნობა თავის ერთ-ერთ წამყვან საქმეში **პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ**.

წარმოდგენილ საქმეში აპლიკანტს არ ჩაუტარდა C ჰეპატიტზე სკრინინგ-ტესტი პაციენტობის პირველი სამი წლის განმავლობაში. მაშინაც კი, როცა პაციენტს C ჰეპატიტის პირველი სიმპტომები აღმოაჩნდა, მისი თხოვნა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების თაობაზე უარყო ციხის ადმინისტრაციამ და დაავალდებულა, რომ თავისი ხარჯებით ჩაეტარებინა სამედიცინო გამოკვლევა. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ამგვარი გულგრილობა შეუთავსებელი იყო სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებასთან, რაც მიზნად ისახავდა ციხეებში C ჰეპატიტისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციას. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ ვერ უზრუნველყო რაიმე სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენა თავისი განცხადებების დასადასტურებლად, რაც სასამართლოს აზრით, სწორედ მთავრობას ევალებოდა მტკიცების ტვირთის ფარგლებში.⁹

სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტი თხუთმეტ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა ყოველგვარი შესაბამისი დიაგნოსტიკური მკურნალობის გარეშე, რაზედაც არ არსებობს რაიმე საპირისპირო არგუმენტი. იგი ასევე იმყოფებოდა სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში თავისი დაავადების თაობაზე და, შესაბამისად, არ ჰქონდა რაიმე კონტროლის შესაძლებლობა მასზე.¹⁰ ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტები არარელევანტურია და სამედიცინო მტკიცებულებებით არ არის გამყარებული (აპლიკანტს უნდა მიეღო შესაბამისი ჰეპატოპროტექტორები და ვიტამინები).¹¹

³ *Hummatov v. Azerbaijan*, nos. 9852/03 and 13413/04, § 116, 29 November 2007.

⁴ *Khudobin v. Russia*, no.59696/00, §83, ECHR 2006-XII.

⁵ *Hummatov*, cited above, §115, and *Melnik v. Ukraine*, no.72286/01, §§104-106.

⁶ *Hummatov*, cited above, §§109 and 114; *Sarban v. Moldova*, no.3456/05, §79, 4 October 2005; and *Popov v. Russia*, no. 26853/04, § 211, 13 July 2006.

⁷ *Hummatov*, cited above, §116, and *Holomiov v. Moldova*, no.30649/05, §117, 7 November 2006.

⁸ *Goginashvili*, cited above, §71.

⁹ *Malenko v. Ukraine*, no.18660/03, §§55-58, 19.02.2009; *Petukhov*, §§94-96; *Khudobin*, §88; and *Goginashvili*, §72.

¹⁰ *Testa v. Croatia*, no.20877/04, §52, 12 July 2007.

¹¹ *Testa*, cited above, §52, and *Poghosyan*, §§57-58.

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება დაპატიმრებული აპლიკანტის სამედიცინო პირობებთან დაკავშირებით, მათ ასევე ვერ განახორციელეს აპლიკანტის სკრინინგი C ჰეპატიტზე და რაც ყველაზე მთავარია: მთავრობის რეაგირება აპლიკანტის C ჰეპატიტის დიგნოზზე იყო დაგვიანებული და არაადეკვატური.¹² ამდენად, სასამართლომ ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, 2008 წლის 30 ოქტომბრამდე განხორციელებული არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2008 წლის 30 ოქტომბრის შემდეგ აპლიკანტი გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მას უკვე დაენიშნა შესაბამისი მკურნალობის კურსი და მედიკამენტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

- დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, 2008 წლის 30 ოქტომბრამდე განხორციელებული არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო.
- სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 5000 ევროს გადახდა – არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 75 ევრო – მატერიალური ზიანის, ხოლო 615 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

¹² *Permanović v. Serbia*, no.48497/06, §§58, 23 February 2010.

თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

გადაწყვეტილება

ბანაცხადი №46055/06

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ 2012 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე მხედველობაში მიიღო 2006 წლის 17 ოქტომბერს შეტანილი წინამდებარე განაცხადი, ასევე, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ 2012 წლის 16 მაისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელიც სასამართლოსგან მოითხოვდა წინამდებარე განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვასა და აღნიშნულ დეკლარაციაზე განმცხადებლის პასუხს და განხილვის შემდეგ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ა. შიდა სამართალწარმოება

2004 წლის 22 სექტემბერს განმცხადებელი, სოციალური დაცვის სააგენტოს სამედიცინო ექსპერტი, დააკავეს ქრთამის აღების ფაქტზე. მისი დაკავება მოხდა ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩაზე, სავარაუდოდ დაზარალებულის მიერ განმცხადებლისთვის ქართული ლარის ბანკნოტების გადაცემის მომენტში. იგი დაგეგმა პოლიციამ დაზარალებულის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ. სავარაუდოდ, ქუჩაში ბანკნოტების გადაცემის ფაქტს სამი დამატებითი თვითმხილველი („ბრალდების მოწმე“) ჰყავდა.

განმცხადებელი გათავისუფლდა და ვიდრე გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, შინაპატიმრობა მიესაჯა.

2005 წლის 9 ივნისის განაჩენით ქუთაისის საოლქო სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო მისთვის ბრალად წაყენებულ ქმედებებში. მსჯავრი ძირითადად ეფუძნებოდა დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეთა მამხილებელ ჩვენებებს. განმცხადებელს შეეფარდა ერთწლიანი პირობითი სასჯელი. 2006 წლის 18 აპრილს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა.

განმცხადებლის დაცვის მთავარი არგუმენტი სასამართლო პროცესის დროს იყო ის, რომ სინამდვილეში დაზარალებული და ბრალდების მოწმეები პოლიციის მიერ დაქირავებული აგენტ-პროვოკატორები იყვნენ. ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს აღნიშნული არგუმენტი გადაწყვეტილების მიღების დროს.

ბ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე (ე) მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის პირველ იანვარს, შემდეგნაირად იკითხება:

„განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ... (ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება“.

სსსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასინჯვის მოთხოვნით მიმართვის ვადაა ერთი წელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან.

პრეტენზიები

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განმცხადებელი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ 2004 წლის 22 სექტემბერს, დაკავებისას, პოლიციელებმა მას ფიზიკური ზიანი მიაყენეს. მან აგრეთვე გამოთქვა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივმა დევნამ არასათანადო მოპყრობის ხასიათი მიიღო.

კონვენციის მე-5 (§1) მუხლის საფუძველზე განმცხადებელმა გამოთქვა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო პროცესამდე მისი შინაპატიმრობა უკანონო და არაგონივრული იყო.

კონვენციის მე-6 (§§ 1,2 და 3) და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე „შეთითხნილი“ იყო, ვინაიდან დაზარალებულიცა და სამიდან, სულ მცირე, ორი მოწმე, სინამდვილეში პოლიციის მიერ დაქირავებული აგენტ-პროვოკატორები იყვნენ.

ბოლოს, კონვენციის მე-8 და მე-4 დამატებითი ოქმის პირველ მუხლებზე დაყრდნობით განმცხადებელმა გაიმეორა სასამართლო პროცესამდე მის შინაპატიმრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები.

სასამართლოს შეფასება

ა. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული კომუნიცირებული პრეტენზია

კონვენციის 37-ე (§1 „გ“) მუხლი საშუალებას აძლევს სასამართლოს, ამორიცხოს განაცხადი განსახილველ საქმეთა სიიდან, თუ „სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით, განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული“.

სასამართლოს რეგლამენტის 62-ე („ა“) მუხლის შესაბამისი ნაწილები, რომლებიც აწესრიგებს ცალმხრივი დეკლარაციების გამოყენებას, შემდეგი შინაარსისაა:

„1. ა) როდესაც განმცხადებელი უარს ამბობს წინამდებარე რეგლამენტის 62-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული მეგობრული მორიგების შეთავაზებაზე, კონვენციის 37-ე (§1) მუხლის შესაბამისად, შესაბამის ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის მოთხოვნით.

ბ) მსგავს მოთხოვნას უნდა ერთვოდეს დეკლარაცია, რომელშიც ნათლად უნდა იყოს აღიარებული განმცხადებლის მიმართ კონვენციის დარღვევა, შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებასთან ერთად, მოახდინოს დარღვევის ადეკვატურად გამოსწორება და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

გ) ამ მუხლის 1-ლი („ბ“) პარაგრაფის გაგებით, დეკლარაცია უნდა შემუშავდეს საჯარო და შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში, რომელიც კონვენციის 39-ე (§2) და რეგლამენტის 62-ე (§2) მუხლებით გათვალისწინებული სავარაუდო

მეგობრული მორიგების პროცედურისაგან დამოუკიდებლად და მისი კონფიდენციალურობის დაცვით მიმდინარეობს.

...

3. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ დეკლარაცია საკმარის საფუძველს შეიცავს იმ დასკვნისათვის, რომ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს განაცხადის განხილვის გავრძელებას, მას შეუძლია, განაცხადი განსახლველ საქმეთა სიიდან ამორიცხოს სრულად ან ნაწილობრივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განმცხადებელს სურს განაცხადის განხილვის გავრძელება.

...“

სასამართლო შენიშნავს, რომ 2011 წლის 5 ოქტომბერს მან მთავრობას აცნობა განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის შესახებ, რომელიც ეხებოდა აგენტ-პროვოკატორების მეშვეობით დანაშაულის ჩადენაში მის ჩათრევას.

მას შემდეგ, რაც მეგობრული მორიგების მცდელობები ჩაიშალა, 2012 წლის 16 მაისის წერილით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ მან შესთავაზა ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება განაცხადის კომუნიცირებულ ნაწილში დაყენებული საკითხის გადაწყვეტის მიზნით. მთავრობამ ასევე სთხოვა სასამართლოს განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

დეკლარაციის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„1. მე, ლევან მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი ... ვაცხადებ და ვაღიარებ, რომ მოცემული საქმე შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რომლებმაც განაპირობა განმცხადებლისთვის კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევა.“

მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმეზე შიდა სამართალწარმოება წარმართა იმ პერიოდში, როდესაც ქართულ სისხლის სამართლის სისტემას ... ჰქონდა სერიოზული ნაკლოვანებები. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებას ძალისხმევა არ დაუშურებია სისხლის სამართლის სისტემაში სიტუაციის გასაუმჯობესებლად ... მთავრობა მზად არის, განმცხადებელს, ქ-ნ ლონდა თაქთაქიშვილს, *ex gratia* გადაუხადოს 3.000 ევრო.

... აღნიშნული თანხა, რომელიც ფარავს მორალურ ზიანს, ასევე ხარჯებსა და დანახარჯებს, გათავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან, რომელიც შესაძლოა გადასახდელი გახდეს, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მთავრობისთვის შეტყობინების დღიდან სამი თვის ვადაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 37-ე (§1) მუხლის შესაბამისად.

საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა მიიჩნევს, რომ ... ცალმხრივი დეკლარაცია და მასში შემოთავაზებული პირობები საკმარის საფუძველს წარმოადგენს ამ განაცხადში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.“

2012 წლის 8 ივნისის წერილით მთავრობამ, სასამართლოს მოთხოვნის პასუხად, თანხმობა განაცხადა ცალმხრივი დეკლარაციის ტექსტიდან ტერმინის „*ex gratia*“ ამოღებაზე.

2012 წლის 4 ივლისის წერილით განმცხადებელმა მიუთითა, რომ მას არ აკმაყოფილებდა ცალმხრივი დეკლარაციის პირობები, რადგან ისინი ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, არ მოიცავდა მის მიერ გასაჩივრებული კონვენციის სხვა დებულებების დარღვევათა აღიარებას და მისთვის შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა არ შეესაბამებოდა უსამართლო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად მისი რეპუტაციისთვის მიყენებულ ზიანს. დამატებით, საქმეში *Pirali Orujov v. Azerbaijan (no. 8460/07, §30, 3 February 2011)* სასამართლოს მიდგომაზე მითითებით, ის ამტკიცებდა, რომ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია არ იყო საკმარისი მისი სრული რეაბილიტაციისთვის, ვინაიდან კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მას არ მისცემდა საქართველოს სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლის საფუძველზე საქმის გადასინჯვის მოთხოვნის შესაძლებლობას. ასევე, მას არ ექნებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობა კონკრეტული პოლიციელების წინააღმდეგ, რომლებმაც საქმეში აგენტ-პროვოკატორების ჩართვის გზით, სავარაუდოდ, მის წინააღმდეგ „შეთხზეს“ სისხლის სამართლის საქმე.

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 37-ე (§1 „გ“) მუხლის თანახმად, მას შეუძლია განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამორიცხვა მოპასუხე სახელმწიფოს ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განმცხადებლის მხრიდან საქმის განხილვის გაგრძელების სურვილის შემთხვევაშიც კი.¹ ამასთან დაკავშირებით, სასამართლო გულდასმით განიხილავს დეკლარაციას პრეცედენტული სამართლით, კერძოდ, *Tahsin Acar*-ის საქმეზე გამოტანილი განჩინებით ჩამოყალიბებული პრინციპების ქრილში.²

წინამდებარე საქმეში მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის პირობების გათვალისწინებით, სასამართლო შენიშნავს, რომ დეკლარაცია შეიცავს განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დროს დაშვებულ, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევის საკმარისად ნათელ აღიარებას. ამ კუთხით, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, შენიშნავს, რომ უკვე არსებობს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა საგამოძიებო მეთოდების შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებსაც წინამდებარე პრეტენზია ეხება.³

განმცხადებლის პროტესტთან დაკავშირებით, რომ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია მას დარღვევის საკმარის გამოსწორებას არ სთავაზობს, ვინაიდან მას, სავარაუდოდ, არ ექნება საქმის გადასინჯვის მოთხოვნის შესაძლებლობა და, შესაბამისად, არ მოხდება მისი რეპუტაციის სრული რეაბილიტაცია, სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის კონტექსტში, შესაბამისი შიდასამართლებრივი დებულება (სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლი) ნათლად ადგენს, რომ არა მარტო განაჩენი, არამედ, ასევე გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კონვენციის დებულებების დარღვევას, შეიძლება გახდეს საქმის გადასინჯვის საფუძველი (საპირისპიროა საქმესთან – *Pirali Orujov, §30*). კონვენციით დადგენილი და სასამართლოს რეგლამენტით დამატებით რეგულირებული პროცედურის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ერთადერთი შესაძლო ვარიანტი, რომელიც მოიცავს კონვენციის დებულების დარღვევის შესახებ მითითებას, თავისი ბუნებით, არის გადაწყვეტილება მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე განსახილველ საქმეთა სიიდან საქმის ამორიცხვის შესახებ (იხ. რეგლამენტის 62-ე („ა“) მუხლი).

¹ *Martyna v. Poland (dec)*, no.72040/01, 15 January 2008.

² *Tahsin Acar v. Turkey*, [GC], no.26307/95, §§75-77, ECHR 2003-VI.

³ *Teixeira de Castro v. Portugal*, 9 June 1998, §§35-36 and 39, Reports of Judgments and Decisions 1998-IV; *Miliniene v. Lithuania*, no.74355/01, §§32-41, 24 June 2008; *Ramanauskas v. Lithuania [GC]*, no.74420/01, §54, ECHR 2008; *Gorgievski v. “the former Yugoslav Republic of Macedonia”*, no.18002/02, §§52 and 53, 16 July 2009; and *Bannikova v. Russia*, no.18757/06, §§33-65, 4 November 2010.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მტკიცება, რომლის თანახმად, მისი საქმის გადასინჯვა, სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლის თანახმად, გამოინვევს მის სრულ რეაბილიტაციას, წმინდა ჰიპოთეტური ხასიათისაა, ვინაიდან ხსენებული დებულების ფორმულირების მიხედვით, საქმის გადასინჯვა არ ნიშნავს იმას, რომ მას აუცილებლად მოჰყვება განმცხადებლის გამართლება ან მისთვის სასარგებლო რაიმე სხვა შედეგი.⁴ სასამართლოსთვის გაუგებარია თუ რატომაა განმცხადებელი დარწმუნებული იმაში, რომ სამართალწარმოების გაგრძელებისა და მისი საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის 35-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის ყველა საჭირო კრიტერიუმი დაკმაყოფილებული იქნება, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევა აუცილებლად დადგინდება. ამასთან დაკავშირებით, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოს სურს ხაზი გაუსვას იმას, რომ მთავრობის მიერ ზემოხსენებული დებულების დარღვევის ამჟამინდელი აღიარება ვერავითარ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენდა წინამდებარე საქმის დასაშვებობისა და არსებითი მხარის განხილვაზე, თუკი სასამართლო ასეთ განხილვას შეუდგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ხაზს უსვამს მისი რეპუტაციის აღდგენის მნიშვნელობას, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის გამო, ზიანი მიადგა საზოგადოების თვალში, სასამართლო განმარტავს, რომ ღირებულება, რომელიც ცალმხრივ დეკლარაციას გააჩნია მსგავსი შემთხვევის დროს, არასათანადოდ არ უნდა შეფასდეს. რასაკვირველია, დეკლარაცია შეიცავს ქართული სახელმწიფოს მიერ სამართლიანი სასამართლო პროცესის დარღვევის აღიარებას განმცხადებელთან მიმართებით და ამასთანავე, იღებს კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, რომელიც წინამდებარე საქმის გათვალისწინებით, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს დარღვევის ადეკვატურ გამოსწორებას. ამ კომპენსაციის ადეკვატურობის შეფასებისას სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი არასოდეს ყოფილა დაკავებული არც გასამართლებამდე და არც შემდგომ.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების, მთავრობის დეკლარაციაში დარღვევის ნათლად აღიარებისა და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული (37-ე (§1 „გ“) მუხლი). უფრო მეტიც, ზემოხსენებული მოსაზრებების ფონზე და განსაკუთრებით, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნათელი და ამომწურავი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო კმაყოფილია, რომ კონვენციითა და დამატებითი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს განაცხადის განხილვის გაგრძელებას (37-ე (§1) მუხლი).

სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ გადასახდელი თანხა კონვერტირებულ უნდა იქნეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად, ხოლო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების მთავრობისთვის შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში, 37-ე (§1) მუხლის თანახმად. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დამატება სამი პროცენტი.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება არის ამ განაცხადის საბოლოო გადაწყვეტა იმ ფარგლებში, რაშიც ეს მის მიმართ სამართალწარმო-

⁴ Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland, no.23614/08, §§27 and 66, 30 November 2010.

ებას ეხება. აღნიშნული ზიანს არ აყენებს განმცხადებლის მიერ მისთვის ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენებას.

და ბოლოს, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან ცალმხრივი დეკლარაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში, განსახილველ საქმეთა სიაში განაცხადი აღდგება, კონვენციის 37-ე (§2) მუხლის შესაბამისად.⁵

ბ. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან განმცხადებელს არასოდეს მოუთხოვია პოლიციის მხრიდან მისი დაკავებისას განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყება, მის მიერ ამ საკითხთან მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის საფუძველზე, მიმართვის შიდა-სამართლებრივი საშუალებების არამონურვის გამო.

რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიას სისხლისსამართლებრივი დევნისას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, ის აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე (§§ 3 („ა“) და 4) მუხლის შესაბამისად.

განმცხადებლის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ მისი შინაპატიმრობა იყო უკანონო და არაგონივრული, რამაც, სავარაუდოდ, დაარღვია კონვენციის მე-5 მუხლი,⁶ დაგვიანებულია, ვინაიდან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გამოვლინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის კონკრეტული შემთხვევა დასრულდა განმცხადებლის პირველ ინსტანციაში მსჯავრდებით, 2005 წლის 9 ივნისს, მაშინ, როდესაც წინამდებარე განაცხადი შემოტანილ იქნა ერთი წლის შემდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრეტენზია წამოყენებულ იქნა ვადის გადაცილებით და ის უარყოფილ უნდა იქნეს, კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის შესაბამისად.

ბოლოს, რაც შეეხება განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-6 (§§ 2 და 3) მუხლზე მითითებასა და კონვენციის მე-8 და მე-4 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, სასამართლო, მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით და იმ ფარგლებში, რაშიც გასაჩივრებული საკითხები მის კომპეტენციას ეხება, აცხადებს, რომ აღნიშნული მასალებით არ გამოვლინდა კონვენციითა და დამატებითი ოქმებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის რაიმე ნიშნები. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს, 35-ე (§§ 3 (ა) და 4) მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ხმათა უმრავლესობით, მხედველობაში იღებს მოპასუხე მთავრობის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესახებ გაკეთებული დეკლარაციის შინაარსსა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების პირობებს;

კონვენციის 37-ე §1 (გ) მუხლის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ, იმ ფარგლებში, რაც ეს ეხება კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიას;

დაუშვებლად აცხადებს განაცხადის დანარჩენ ნაწილს.

⁵ იხ.: Josipovic v. Serbia (dec), no.18369/07, 4 March 2008.

⁶ იხ.: Danov v. Bulgaria, no.56796/00, §80, 26, October 2006.

დანართი

აღნიშნულ კრებულს თან ერთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სტატისტიკური მაჩვენებლები 1999-2012 წლების მონაცემების მიხედვით. ამას გარდა, მოყვანილია იმ წევრი სახელმწიფოების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც გამოტანილია ყველაზე მეტი გადაწყვეტილება, სადაც დადგენილია კონვენციის მოთხოვნათა დარღვევები.



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დღიდან მისი დაარსებისა (1959 წელი) გამოიტანა 16.000-ზე მეტი გადაწყვეტილება სხვადასხვა საქმეზე. მიღებულ გადაწყვეტილებათა თითქმის ნახევარი ეხება შემდეგ ქვეყნებს: თურქეთი (18,49%), იტალია (18,58%), რუსეთი (8,15%), პოლონეთი (6,36%) და საფრანგეთი (5,70%), ხოლო დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების მთლიანი მაჩვენებელია – 46,72%.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმეების საერთო რაოდენობიდან 83%-ში დადგენილია მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევა.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ყველაზე ხშირად დადგენილია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც გამომწვეული იყო სამართლიანი სასამართლოს არარსებობის ან არაგონივრულ ვადებში საქმეთა განხილვის გამო. ამას გარდა, სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევათა 58% ეხება კონვენციის მე-6 მუხლსა და პირველი ოქმის I მუხლს (საკუთრების დაცვა). სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევათა 11%-ზე მეტი ეხება სიცოცხლის უფლებას ან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას (კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები).

უფრო კონკრეტულად, მონაცემები ცალკეული მუხლების დარღვევათა რაოდენობის შესახებ ასე გამოიყურება:

- მე-6 მუხლი – 45,01%
- I ოქმის I მუხლი – 13,35%
- მე-5 მუხლი – 11,46%
- მე-13 მუხლი – 8,1%
- მე-3 მუხლი – 7,5%
- მე-2 მუხლი – 4,15%

დანარჩენი მუხლების დარღვევათა მთლიანი მაჩვენებელი – 10,43%-ია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების სტატისტიკური მაჩვენებლები (1999-2012)

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1999-2012 წლებში გამოტანილია 52 გადაწყვეტილება. აქედან, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა ევროპული კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა 9 საქმეში. ამას გარდა, განსახილველ საქმეთა სიიდან ამოირიცხა 46 განაცხადი, მათ შორის 6 საქმე მთავრობასა და განმცხადებელს შორის მორიგებით დასრულდა.

მონაცემები ასე გამოიყურება:

9 საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მუხლების დარღვევა. კერძოდ:

- მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა არ დადგინდა 5 საქმეზე;
- მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა არ დადგინდა 1 საქმეზე;
- მე-3 მუხლის დარღვევა არ დადგინდა 2 საქმეზე;
- პირველი ოქმის I მუხლის დარღვევა არ დადგინდა 1 საქმეზე.

43 საქმეზე დადგინდა კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევა. კერძოდ:

- მე-2 მუხლი დაირღვა 4 საქმეზე;
- მე-3 მუხლი დაირღვა 14 საქმეზე;
- მე-5 მუხლის I ნაწილი დაირღვა 6 საქმეზე;
- მე-5 მუხლის II ნაწილი დაირღვა 2 საქმეზე;
- მე-5 მუხლის III ნაწილი დაირღვა 4 საქმეზე;
- მე-5 მუხლის IV ნაწილი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-6 მუხლის I ნაწილი დაირღვა 17 საქმეზე;
- მე-6 მუხლის III ნაწილი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-8 მუხლი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-9 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-10 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-11 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-13 მუხლი დაირღვა 5 საქმეზე;
- მე-14 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- 34-ე მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- 38-ე მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- I ოქმის I მუხლი დაირღვა 6 საქმეზე;
- VII ოქმის II მუხლი დაირღვა 1 საქმეზე.

შენიშვნა: დარღვევათა რაოდენობა განსხვავდება საქმეთა რაოდენობისგან, რაც აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე დადგენილი იყო ერთდროულად რამდენიმე მუხლის დარღვევა.

მუხლი	დასახელება	დარღვევათა რაოდენობა
მე-2 მუხლი	სიცოცხლის უფლება	4
მე-3 მუხლი	წამების აკრძალვა	14
მე-5 მუხლის I ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (დაკავების კანონიერება)	6
მე-5 მუხლის II ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ბრალდების წაყენება)	2
მე-5 მუხლის III ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოს წინაშე წარდგენა)	4
მე-5 მუხლის IV ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოსადმი მიმართვა და უკანონო პატიმრობა)	3
მე-6 მუხლის I ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სამართლიანი სასამართლო; გონივრული ვადა)	17
მე-6 მუხლის III ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (ბრალდებულის უფლებები)	1
მე-8 მუხლი	პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	3
მე-9 მუხლი	აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება	1
მე-10 მუხლი	აზრის გამოხატვის თავისუფლება	1
მე-11 მუხლი	შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება	1
მე-13 მუხლი	ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი	5
მე-14 მუხლი	დისკრიმინაციის აკრძალვა	1
34-ე მუხლი	ინდივიდუალური საჩივარი	1
38-ე მუხლი	საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა	1
I ოქმის I მუხლი	საკუთრების დაცვა	6
VII ოქმის II მუხლი	სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება	1

აქედან, 14 საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის გარკვეული მუხლების დარღვევა გამოიწვია ადგილობრივი სასამართლოების მიერ საქმეების ხარვეზებით განხილვამ. კერძოდ:

- მე-5 მუხლის III ნაწილი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-5 მუხლის IV ნაწილი დაირღვა 2 საქმეზე
- მე-6 მუხლის I ნაწილი დაირღვა 9 საქმეზე;
- მე-8 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- I ოქმის I მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- VII ოქმის II მუხლი დაირღვა 1 საქმეზე.

შენიშვნა: დარღვევათა რაოდენობა განსხვავდება საქმეთა რაოდენობისგან, რაც აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე დადგენილი იყო ერთდროულად რამდენიმე მუხლის დარღვევა.

ცხრილი №2

მუხლი	დასახელება	დარღვევათა რაოდენობა
მე-5 მუხლის III ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოს წინაშე წარდგენა)	3
მე-5 მუხლის IV ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოსადმი მიმართვა და უკანონო პატიმრობა)	2
მე-6 მუხლის I ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სამართლიანი სასამართლო; გონივრული ვადა)	9
მე-8 მუხლი	პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	1
I ოქმის I მუხლი	საკუთრების დაცვა	1
VII ოქმის II მუხლი	სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება	1

საქმეთა დასახელების ჩამონათვალი, რომელთა განხილვისას დადგინდა ან არ დადგინდა კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევები

1. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლის I ნაწილი.
2. შამაგვი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-13 მუხლი; მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.
3. შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი; I ოქმის I მუხლი.
4. შპს „ამატ-ჯი“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი; I ოქმის I მუხლი.
5. დონაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
6. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
7. დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
8. დანელია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-13 მუხლი.
9. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-8 მუხლი.
10. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-9 მუხლი; მე-14 მუხლი.
11. გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-10 მუხლი.
12. მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
13. რიჟამაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
14. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
15. ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის III ნაწილი.
16. ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
17. გოგოლაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
18. ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
19. საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის III მუხლი.
20. გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი.
21. გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა.
22. ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
23. ალიევი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
24. გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-5 მუხლის III ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი; მე-8 მუხლი.

25. რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი.
26. ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
27. პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
28. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
29. ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
30. კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
31. კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი.
32. გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-3 მუხლი.
33. ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
34. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის I მუხლი.
35. სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის I მუხლი; მე-8 მუხლი; მე-5 მუხლის III ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი.
36. ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; I ოქმის I მუხლი.
37. ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი.
38. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი.
39. ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი; 38-ე მუხლი.
40. გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.
41. მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი; 34-ე მუხლი.
42. ბეჟაური საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა დარღვევა (ამოირიცხა სიიდან)
43. დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
44. ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის და I ოქმის I მუხლის დარღვევა.
45. კაკაბაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლი III ნაწილი, მე-11 მუხლი, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი.
46. მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
47. გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.
48. ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის III ნაწილი.
49. მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
50. დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
51. ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
52. ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი და მე-5 მუხლის II ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge